

# შემოსავლების სამსახურის უფროსის

ბრძანება №12858

2012 წლის 1 აგვისტო

ქ. თბილისი

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ვგვაძებ:

1. დამტკიცდეს:

ა) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების ინსტრუქცია (დანართი №1);

ბ) დეკლარირების კლასიფიკაციონი (დანართი №2).

2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან/საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2010 წლის 31 დეკემბრის №2724 ბრძანება.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯ. ებანოიძე

დანართი №1

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასთან / საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელების ინსტრუქცია

თავი I.

ASYCUDA- ს მეშვეობით საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის შევსება, გაცემა და კონტროლიდან მოხსნა, TIR - წიგნაკის შესახებ მონაცემების ელექტრონულად აღრიცხვა

მუხლი 1. მოწმობის შევსება და გაცემა

1. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის (შემდგომში – მოწმობის) ელექტრონულად შევსებას, რეგისტრაციას „ASYCUDA“ - ს მეშვეობით და გაცემას ახორციელებს საგადასახადო ორგანო. შევსებულ მოწმობას ენიჭება უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი.

2. საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული გაფორმების ეკონომიკური ზონის დანიშნულებით გადაადგილებულ საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებაზე აღრიცხვის მოწმობის შევსება რეგისტრაცია და საბაჟო კონტროლი ხორციელდება მხოლოდ ელექტრონული ფორმით.

3. მოწმობა შეიძლება შეივსოს აგრეთვე სისტემაში დაშვებული პირის მიერ, რომელიც წარმოადგენს საქონლის შემოტანისას – სასაქონლო პარტიის მიმღებს, საქონლის გატანისას – სასაქონლო პარტიის გამგზავნს, ტრანზიტით გადაადგილებისას – სასაქონლო პარტიის მფლობელს, ხოლო საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული საბაჟო საწყობის დანიშნულებით ან ამავე რადიუსში მდებარე საბაჟო საწყობიდან საზღვაო ნავსადგურის დანიშნულებით საქონლის გადაადგილებისას, ასევე საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული საბაჟო საწყობიდან საქონლის გადაადგილებისას – საწყობის მფლობელს, ან ამ პუნქტში მითითებული პირის წარმომადგენელს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 37-ე მუხლის შესაბამისად.

4. პირის ASYCUDA-ში დაშვება ხორციელდება ამ ბრძანების მე-9 მუხლის შესაბამისად.

5. ASYCUDA-ში დაშვებულ პირს უფლება აქვს, წინასწარ ელექტრონულად შეავსოს მოწმობა.

6. საქონლის და სატრანსპორტო საშუალების წარდგენისას, მფლობელი საგადასახადო ორგანოს წარუდგენს სატრანსპორტო დოკუმენტაციას და წერილობით ან სიტყვიერად აწვდის შევსებული სტატუსის მქონე მოწმობის შესახებ ინფორმაციას. უფლებამოსილი თანამშრომელი ახორციელებს სისტემაში რეგისტრირებული მოწმობის მომიერას და გამოძახებას (ეკრანზე გამოსახვის ბრძანებას). მოწმობის გამოძახების ბრძანების მიცემა



ნიშნავს მოწმობის საგადასახადო ორგანოში წარდგენის დადასტურებას.

7. მოწმობა ივსება დეკლარანტის მიერ წარმოდგენილი სატრანსპორტო დოკუმენტების, ხოლო საქონლის გატანისას – ასევე საბაჟო დეკლარაციის საფუძველზე.

8 . საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების განხორციელების შემთხვევაში, მოწმობა ივსება დათვალიერების შედეგების საფუძველზე. საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერების შეუძლებლობის შემთხვევაში, მოწმობა ივსება წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე და ხორციელდება საქონლის გადაადგილება უახლოეს საგადასახადო ორგანომდე ან კანონმდებლობით დადგენილ სხვა ადგილამდე (არასაგადასახადო ორგანო) დათვალიერების განხორციელების მიზნით. ასეთ შემთხვევაში საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება იდენტიფიკაციის საშუალებების დადებას და მოწმობის D გრაფის („გამგზავნი საგადასახადო ორგანოს კონტროლი“) განყოფილებაში „შედეგი“ მიეთითება A3. იმ შემთხვევაში, როდესაც ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო მოწმობის D გრაფაში ვერ ხორციელდება აღნიშნული მითითება, გამოწერილ მოწმობაზე დაისმება დამდა – „ექვემდებარება დათვალიერებას“.

9. ერთი მოწმობა გაიცემა მხოლოდ ერთ სასაქონლო პარტიაზე.

10. მოწმობა წერილობითი ფორმით გაიცემა 2 ეგზემბლარად:

ა) პირველი ეგზემბლარი თან მიყვება საქონელს ან/და სატრანსპორტო საშუალებას დანიშნულების საგადასახადო ორგანომდე;

ბ) მეორე ეგზემბლარი რჩება დეკლარანტს ან გადამზიდველს.

11. მოწმობაზე შტრიბ-კოდის (ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო მოწმობას შტრიბ-კოდი არ მიენიჭება – კონტროლზე აყვანის დამადასტურებელი დამდისა და ხელმოწერის) გარეშე აკრძალულია ამ მოწმობაში ასახული საქონლის და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება საბაჟო კონტროლის ზონიდან.

12. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის საბაჟო გამშვები პუნქტიდან უკან დაბრუნების შემთხვევაში, საბაჟო გამშვები პუნქტი ერთდროულად ახორციელებს მოწმობის კონტროლიდან მოხსნას და ახალი მოწმობის გამოწერას. აღნიშნულთან ერთად, წარდგენილ დოკუმენტებზე (სატრანსპორტო ზედდებული ან ინვოისი ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა დოკუმენტი) საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი აკეთებს აღნიშვნას – „დაბრუნებულია საქონელი“, უთითებს თარიღს და ადასტურებს მრგვალი ბეჭდით, ხოლო მოწმობის კონტროლიდან მოხსნას ახორციელებს საბაჟო გამშვები პუნქტი.

12<sup>1</sup>. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის გაფორმების ორგანოდან უკან დაბრუნების შემთხვევაში, გაფორმების ორგანო ერთდროულად ახორციელებს მოწმობის კონტროლიდან მოხსნას და ახალი მოწმობის გამოწერას. აღნიშნულთან ერთად, წარდგენილ დოკუმენტებზე (სატრანსპორტო ზედდებული ან ინვოისი ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა დოკუმენტი) გაფორმების ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი აკეთებს აღნიშვნას – „დაბრუნებულია საქონელი“, უთითებს თარიღს და ადასტურებს მრგვალი ბეჭდით, ხოლო მოწმობის კონტროლიდან მოხსნას ახორციელებს საბაჟო გამშვები პუნქტი.

12<sup>2</sup>. წინასწარ დეკლარირებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას საბაჟო გამშვებ პუნქტში საბაჟო დეკლარაციისათვის „წითელი“ ან „ყვითელი“ დერეფნის შერჩევის დროს, აგრეთვე დეკლარაციასა და საქონლის თანმხლებ დოკუმენტებში შეუსაბამობისას თუ ხორციელდება მოწმობის გამოწერა საქონლის გაფორმების ორგანოში წარსადგენად, გამოწერილი მოწმობის M-40 გრაფის ქვემოთ არსებულ ცარიელ ადგილზე, გამგზავნი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ დაესმება საბაჟო დამდა წარწერით „ყურადღება!!! საქონელი წარსადგენია საბაჟო კონტროლის ზონაში“.

12<sup>3</sup>. არასატარიფო ღონისძიებებს დაქვემდებარებულ საქონელზე (საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის გარდა) შესაბამისი ნებართვის/სერტიფიკატის ზოგადი დეკლარირებისათვის განსაზღვრულ ვადაში წარუდგენლობის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი დეკლარანტს გადასცემს „შეტყობინებას საქონლის განკარვის განზრახვის თაობაზე“ (დანართი №I-04) და ადგენს ნაკლოვანებების აღმოფხვრის ან საქონლის უკან დაბრუნების ან რეესპორტის განხორციელების 3 სამუშაო დღის ვადას, ხოლო საზღვაო გზით შემოტანილ საქონელზე – აღნიშნული ვადა ემთხვევა სასაქონლო პერაციის განსაზღვრის ვადას.

13. მოწმობის ფურცლის უკანა გვერდი გამოიყენება სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოების შენიშვნების, აღნიშვნებისა და დამღებისათვის.

14. უცხოეთში რეგისტრირებული სატვირთო ავტომანქანით საქართველოში საქონლის შემოტანის შემთხვევაში, მოწმობა კონტროლიდან იხსნება დანიშნულების საგადასახადო ორგანოში, ხოლო სატრანსპორტო საშუალებამ საქართველოს საბაჟო ტერიტორია უნდა დატოვოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში რეგისტრაციის თარიღიდან არა უგვიანეს 45 დღისა.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 31 იანვრის ბრძანება №3701 - ვებგვერდი, 08.02.2013წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 10 მაისის ბრძანება №19867 - ვებგვერდი, 10.05.2013წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 25 ივნისის ბრძანება №28763 - ვებგვერდი, 10.05.2013წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება №44089 - ვებგვერდი, 03.11.2014წ.

## მუხლი 2. მოწმობის გრაფების შევსების წესი

1. გრაფა 1 - „მოწმობა“ – სისტემის მიერ ავტომატურად ივსება მხოლოდ გრაფის მესამე ნაწილი და ეთითება სიმბოლო – T1.



2. გრაფა 2 – „ექსპორტიორი” – მიეთითება საქონლის გამგზავნის/ექსპორტიორის, გადასახადის გადამზღდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობისას), სრული სახელწოდება (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, პირადი ნომერი) და მისამართი. თუ გამგზავნი ერთზე მეტია, გრაფის პირველ რიგში აღინიშნება „სხვადასხვა”, ქვედა რიგში – გამგზავნის/ექსპორტიორის შესახებ ინფორმაცია, რომელშიც აისახება გადასახადის გადამზღდელის სრული სახელწოდება (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, პირადი ნომერი) და მისამართი. გამოკვლევის (ექსპერტიზის) ჩატარების მიზნით საბაჟო კონტროლის ზონიდან დროებით გატანილი საქონლის გადაადგილების შემთხვევაში – აღინიშნება საქონლის მფლობელის/მესაკუთრის საიდენტიფიკაციო ნომერი, სრული სახელწოდება (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, პირადი ნომერი) და მისამართი.

3. გრაფა 3 – გრაფის პირველი ნაწილში სისტემის მიერ ავტომატურად ეთითება ფურცლის რიგითი ნომერი, ხოლო მეორე ნაწილში – მოწმობის ძირითადი და დამატებითი ფურცლების საერთო რაოდენობა.

4. გრაფა 4 – მიეთითება საქონლის გადაადგილების თაობაზე შემდეგი კოდირებული ინფორმაცია:

ა) გადამუშავებული საქონლი ს /ნაშთი ს /ნარჩენები ს ექსპორტის სასაქონლო ოპერაციით გატანისას – „10”;

ბ) თავისუფალი ზონიდან საბაჟო გამშვები პუნქტის დანიშნულებით საქონლის გადაადგილებისას (გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიდან გატანა ხორციელდება თავისუფალი ზონის გასასვლელში განთავსებული საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით) – „11”;

გ) თავისუფალი ზონიდან საქონლის არასასაზღვრო საგადასახადო ორგანოს დანიშნულებით საქონლის გადაადგილებისას – „12”;

დ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდული საქართველოში არარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაფორმების ადგილამდე მიტანის 60-დღიანი ვადით გადაადგილებისას – „60”;

ე) სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდული, საქართველოში არარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაფორმების ადგილამდე 60-დღიანი ვადის ფარგლებში დარჩენილი ვადით გადაადგილებისას – „19”;

ვ) გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის გატანის მიზნით – „21”;

ზ) საქონლის უცვლელ მდგომარეობაში უკან დაბრუნებისთვის ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის გატანის მიზნით – „23”;

თ) რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციის განხორციელება – „31”;

ი) იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევის მიზნით – „40”;

კ) ოქროს სის მონაწილის მიერ ან მისი დანიშნულებით იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საშორებლის გამოტანილ საქონლოზე გამარტივებული საბაჟო კონტროლის განხორციელებისას – „44”;

ლ) საქონლის შიდა გადამუშავების მიზნით – „51”;

მ) საქონლის დროებითი შემოტანის მიზნით – „53”;

ნ) უცხო ქვეყნის მოქალაქის/რეზიდენტის მიერ იმპორტის გადასახდელებისაგან სრულად გათავისუფლებული საქონლის ავტოსატრანსპორტო საშუალებით დროებითი შემოტანისას – „54”;

ო) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 223-ე მუხლის შესაბამისადიმპორტის გადასახდელების გადახდის გარეშე დაბრუნებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის შემთხვევაში – „63”;

პ) საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის მიზნით – „71”;

ჟ) საბაჟო გამშვები პუნქტიდან თავისუფალი ზონის დანიშნულებით საქონლის გადაადგილებისას – „77”;

რ) არასასაზღვრო საგადასახადო ორგანოდან თავისუფალ ზონაში საქონლის შეტანის მიზნით – „78”;

ს) ტრანზიტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას – „80”;

ტ) სპეციალური კოდები:

ტ.ა) იმ შემთხვევაში, როცა ერთი სატრანსპორტო საშუალებით ერთდროულად გადაადგილდება იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეულ გამიზნულ და ტრანზიტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონელი, ახალი მოწმობის გრაფაში აღინიშნება – „81”, ხოლო, როდესაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ემატება რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონელი, ახალი მოწმობის გრაფაში აღინიშნება – „83”;

ტ.გ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის საბაჟო გამშვები პუნქტის ან გაფორმების ორგანოს მიერ უკან დაბრუნების შემთხვევაში – „15”;

ტ.დ) თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში რეალიზებისათვის განკუთვნილი საქონლის შემთხვევაში – „72”;

ტ.ე) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ერთი საბაჟო კონტროლის ზონიდან მეორე საბაჟო კონტროლის ზონაში გადაადგილებისას ( გარდა საბაჟო გამშვებ პუნქტებს შორის გადაადგილებისა ) – „ 73”;

ტ.ვ) გამოკვლევის (ექსპერტიზის) ჩატარების მიზნით საბაჟო კონტროლის ზონიდან დროებით გატანილი საქონლის გადაადგილებისას – „75”;

უ) ზოგადი კოდები, როცა შეუძლებელია საქონლის გადაადგილების თაობაზე ინფორმაციის აღმნიშვნელი, ამ პუნქტის „ა”–„ს” ქვეპუნქტებში ასახული რომელიმე კოდის მითითება, მოწმობაში შეიტანება შემდეგი კოდირებული ინფორმაცია:



უ.ა) საქონლის ან / და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო ტერიტორიდან გატანისას – „16”;

უ.ბ) საქონლის და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას – „46”.

5. გრაფა 5 - „საქ. რაოდ.” – სისტემის მიერ ავტომატურად ეთითება მოწმობის 31- ე გრაფაში მითითებული საქონლის რიგითი ნომრების საერთო რაოდენობა, სარკინიგზო ტრანსპორტით საქონლის გადაადგილებისას – თითოეული სარკინიგზო ვაგონის მიხედვით დამატებითი ფურცლების საერთო რაოდენობა.

6. გრაფა 6 - „ადგ. რაოდ.” – ეთითება 31-ე გრაფაში მითითებული საქონლის სატვირთო ადგილების (ყუთები, ქვეში და ა.შ.) საერთო რაოდენობა, რომელიც მოცემულია სატრანსპორტო დოკუმენტებში (ეთითება მთლიანი რაოდენობა იმ უმცირესი შეფუთვისა, რომელიც მოცემულია სატრანსპორტო დოკუმენტებში, როგორც სატვირთო ადგილი).

7. გრაფა 7 - „საცნობარო ნომერი ” – ეთითება მოწმობის უნიკალური ნომერი, რომელიც ენიჭება სისტემაში დაშვებული თითოეული პირის, ან საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ელექტრონულად შევსებული მოწმობის რეგისტრაციისას ან TIR წიგნაკით გადაადგილებულ საქონელსა და სატრანსპორტო საშუალების შესახებ მონაცემების ელექტრონულად რეგისტრაციისას.

8. გრაფა 8 - „იმპორტიორი” – გრაფაში ეთითება:

ა) საქონლის მიმღების:

ა.ა) იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის – სრული სახელწოდება, მისამართი, საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობისას);

ა.ბ) ფიზიკური პირის – სახელი, გვარი, მისამართი, პირადი ნომერი;

ბ) თუ საქონლის მიმღები ერთზე მეტია, გრაფის პირველ რიგში აღინიშნება „სხვადასხვა”, მომდევნო რიგში მიმღების შესახებ ინფორმაცია, რომელშიც აისახება მათი სრული სახელწოდება (ფიზიკური პირის – სახელი, გვარი, პირადი ნომერი) და მისამართი.

9. გრაფა 14 – „დეკლარანტი/წარმომადგენელი”:

ა) გრაფა არ ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ მოწმობის შევსებისას;

ბ) სისტემაში დაშვებული პირის მიერ მოწმობის შევსებისას, გრაფაში მიეთითება ამ პირის სრული სახელწოდება და მისამართი. გრაფის ზედა ნაწილში „N” ნიშნის შემდეგ აღინიშნება პირის საიდენტიფიკაციო ნომერი.

10. გრაფა 15 – „გამომგზავნი ქვეყანა” – მიეთითება საქონლის გამომგზავნი ქვეყნის დასახელება და კოდი (ციფრული) კლასიფიკატორის №3 ნაწილის შესაბამისად.

11. გრაფა 17 – „დანიშნულების ქვეყანა” – მიეთითება იმ ქვეყნის დასახელება და კოდი (ციფრული), კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სადაც სატრანსპორტო დოკუმენტაციაში დაფიქსირებული ინფორმაციით დასრულდება საქონლის საერთაშორისო გადაზიდვა (რამდენიმე დანიშნულების ქვეყნის არსებობის შემთხვევაში მიეთითება პირველი).

12. გრაფა 18 - „გამწევი სატრ. საშ. ნომერი გამგზავნ საგადასახადო ორგანოში” – გრაფის:

ა) პირველ განყოფილებაში მიეთითება:

ა.ა) გამწევი ავტოსატრანსპორტო საშუალების და მისაბმელის (ნახევარმისაბმელი) სახელმწიფო სანომრე ნიშნები;

ა.ბ) სარკინიგზო ტრანსპორტის შემთხვევაში – რკინიგზის ვაგონების რაოდენობა;

ბ) მეორე განყოფილებაში ეთითება სატრანსპორტო საშუალების (რკინიგზის ვაგონების გარდა) რეგისტრაციის/მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როცა:

ბ.ა) სატრანსპორტო საშუალება შედგება რამდენიმე სატრანსპორტო საშუალებისაგან, მიეთითება გამწევი სატრანსპორტო საშუალების (საწევარას) რეგისტრაციის/მფლობელი ქვეყნის კოდი;

ბ.ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალება მოხსნილია რეგისტრაციიდან, მიეთითება დროებითი სანომრე ნიშნის გამცემი ქვეყნის კოდი.

13. გრაფა 19 - „კტ.” – როცა საქონელი:

ა) არ გადაიზიდება კონტეინერით, გრაფა რჩება ცარიელი;

ბ) გადაიზიდება კონტეინერით, შემვსები პირის მიერ გრაფაში მონაცემის შეტანისას ავტომატურად ეთითება შესაბამისი სიმბოლო, რის შედეგად შესაძლებელი ხდება 31-ე გრაფის სპეციალურ ნაწილში კონტეინერის შესახებ მონაცემის შეტანა.

14. გრაფა 21 - „სატრანსპორტო საშუალება გამგზავნ საგადასახადო ორგანოში” – გრაფის:

ა) პირველ ნაწილში მიეთითება სარეგისტრაციო მონაცემი (ავტოტრანსპორტის მარკა, მოდელი, საზღვაო, საპარავო ხომალდის დასახელება, საპარავო ხომალდის რეისის, ბორტის ნომერი) (არ მიეთითება სარკინიგზო ვაგონის ნომერი);

ბ) მეორე ნაწილში მიეთითება სატრანსპორტო საშუალების (რკინიგზის ვაგონების გარდა) რეგისტრაციის/მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის მიხედვით; თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება მოხსნილია რეგისტრაციიდან – დროებითი სანომრე ნიშნის გამცემი ქვეყნის კოდი.

15. გრაფა 25 - „ტრანსპორტის სახე” – გრაფაში ეთითება მე-18 გრაფაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების კოდი კლასიფიკატორის მე-9 ნაწილის მიხედვით.

16. გრაფა 27 - „დანიშნულების ადგილი“ – გრაფაში ეთითება საბაჟო საწყობის ან შენახვის სხვა ადგილის ხუთიშნა კოდი კლასიფიკატორის მე-12 ნაწილის შესაბამისად. სასაქონლო პარტიათა ნაკრების შემთხვევაში გრაფაში ეთითება გადამზიდველის საბაჟო საწყობის ხუთიშნა კოდი ან დანიშნულების საგადასახადო



ორგანოს კოდი კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის მიხედვით. გამოკვლევის (ექსპერტიზის) ჩატარების მიზნით საბაჟო კონტროლის ზონიდან დროებით გატანილი საქონლის შემთხვევაში გრაფაში ეთითება იმ საბაჟო საწყობის ან შენახვის სხვა ადგილის ხუთნიშნა კოდი, სადაც უნდა მოხდეს საქონლის დაბრუნება.

17. გრაფა 31 - „ადგილების აღწერა და რაოდ.“ – გრაფაში:

ა) „საქონლის აღწერა“ – ეთითება საქონლის კოდი სეს ესნ-ის შესაბამისად:

ა.ა) ორნიშნა დონეზე, ამასთან, შესაბამისი ჯგუფის ორნიშნა რიცხვის მითითების შემდგომ ეთითება ორი ციფრი „00“;

ა.ბ) ოთხნიშნა დონეზე – იმ საქონელზე, რომლის შემოტანას/გატანას ესაჭიროება ლიცენზია/ნებართვა/სერტიფიკატი;

ა.გ) რვანიშნა დონეზე – აქციზური საქონლის (მსუბუქი ავტომანქანის შემთხვევაში – ოთხნიშნა), აგრეთვე ნავთობის მსუბუქი, საშუალო, მძიმე დისტილატების შემთხვევაში;

ა.დ) ხუთზე მეტი საქონლის მითითების აუცილებლობისას, მიეთითება 5 საქონლის კოდი და შემდეგ სიტყვა „სხვადასხვა“;

ა.ე) სარკინიგზო გადაზიდვების შემთხვევაში – ივსება თითო დამატებითი ფურცელი რკინიგზის თითოეულ ვაგონზე;

ა.ვ) ფიზიკური პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემოტანილი და სხვა სატრანსპორტო საშუალებაში გადატვირთული, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ“, ქვეპუნქტით განსაზღვრულ დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებაზე მეტი საქონლის გადაადგილების შემთხვევაში – პირველ ნაწილში სიტყვა „სხვადასხვა“;

ბ) „სატვირთო ადგილების რაოდენობა, სახეობა“ – შემდეგი რიგითობით ეთითება მონაცემები:

ბ.ა) პირველ განყოფილებაში – სატვირთო ადგილების რაოდენობა;

ბ.ბ) მეორე განყოფილებაში – სისტემაში ინტეგრირებული მზა მონაცემებიდან ამორჩეული საქონლის შეფუთვის კოდი კლასიფიკატორის მე-11 ნაწილის მიხედვით;

ბ.გ) მესამე განყოფილებაში – მეორე განყოფილებაში ამორჩეული კოდის შესაბამისი შეფუთვის დასახელება (ივსება სისტემის მიერ ავტომატურად);

გ) „კონტეინერის №“ – შესაძლებელია მიეთითოს მხოლოდ 2 კონტეინერის საიდენტიფიკაციო ნომერი;

დ) დამატებითი ფურცლის გახსნა ხორციელდება პროგრამულად – „ერთეულის დამატება“, ამასთან, დამატებითი ფურცელი შეიცავს მხოლოდ 31-ე, 32-ე, 33-ე, 35-ე, 38-ე, მე-40 და 44-ე გრაფებს;

ე) გრაფის ქვედა ნაწილში საჭიროების შემთხვევაში ეთითება: საქონლის დასახელება და სხვა მონაცემები, რაც იძლევა საქონლის იდენტიფიცირების საშუალებას, ხოლო სარკინიგზო გადაზიდვების განხორციელებისას – ვაგონის ნომერი.

18. გრაფა 32 - „საქ. №“ – სისტემის მიერ ავტომატურად ეთითება 31-ე გრაფაში მითითებული საქონლის რიგითი ნომერი.

19. გრაფა 33 - „საქონლის კოდი“ – გრაფაში იწერება – 0000.

20. გრაფა 35 – „ბრუტო წონა“ – გრაფაში ეთითება 31-ე გრაფაში მითითებული საქონლის მთლიანი წონა კილოგრამებში სატრანსპორტო დოკუმენტაციის მიხედვით (სატრანსპორტო დოკუმენტაციაში ბრუტო წონის შესახებ სხვადასხვა მონაცემის არსებობისას მიეთითება უმცირესი მონაცემი), რომელიც მოიცავს საქონლის საერთო წონას ყველა სახის შეფუთვასთან ერთად. ამასთან, გრაფაში მონაცემი აღინიშნება მთელი რიცხვის სახით (0,001-დან 0,499 ჩათვლით მრგვალდება 0-მდე, ხოლო 0,500-დან 0,999 ჩათვლით მრგვალდება 1-მდე). მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სატრანსპორტო დოკუმენტაცია არ შეიცავს საქონლის ბრუტო წონის შესახებ ინფორმაციას, აღნიშნულ გრაფაში მიეთითება საერთო წონა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ფიზიკური აწონვის მონაცემის საფუძველზე. ამ შემთხვევაში მოწმობის 44-ე გრაფაში „სატრ. დოკუმენტები“ სავალდებულოა მიეთითოს შესაბამისი კოდი კლასიფიკატორის მე-10 ნაწილის შესაბამისად.

21. გრაფა 38 - „ნეტო წონა“ – გრაფაში ეთითება 31-ე გრაფაში მითითებული საქონლის ნეტო წონა კილოგრამებში, სატრანსპორტო დოკუმენტაციის მიხედვით (სატრანსპორტო დოკუმენტაციაში ნეტო წონის შესახებ სხვადასხვა მონაცემის არსებობისას მიეთითება უმცირესი მონაცემი), რომელიც მოიცავს საქონლის წონას ყველა სახის შეფუთვის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის წონა 1 კგ-ზე ნაკლებია (მაგ. ძვირფასი ლითონები), 38-ე გრაფაში ჩაიწერება – „1“. იმ შემთხვევაში, როცა სატრანსპორტო დოკუმენტაციაში არ არის მითითებული ნეტო წონის შესახებ ინფორმაცია, აღნიშნული გრაფაში ჩაიწერება – 0.

22. გრაფა 40 - „წინმსწრები დოკუმენტი“ – გრაფაში ეთითება წინმსწრები მოწმობის/დეკლარაციის/განაცხადის სარეგისტრაციო ნომერი.

23. გრაფა 44 - „სატრ. დოკუმენტები“ – გრაფის:

ა) პირველ განყოფილებაში მიეთითება საგადასახადო ორგანოში წარდგენილი დოკუმენტების კოდები კლასიფიკატორის მე-10 ნაწილის მიხედვით.

ბ) მეორე განყოფილებაში:

ბ.ა) მიეთითება წარდგენილი დოკუმენტის ინდივიდუალური ნომერი. სატრანსპორტო საშუალების გამგზავნ საგადასახადო ორგანოში აწონვის შემთხვევაში მიეთითება წონა ციფრებით კგ-ში;

ბ.ბ) მიეთითება საქონლის გადაადგილების მარშრუტი იმ შემთხვევაში, როცა ავტოსატრანსპორტო საშუალების საგაბარიტო პარამეტრები ან/და დატვირთვა აღემატება კანონმდებლობით ნებადართულ მაჩვენებლებს და შეუძლებელია ასეთი პარამეტრების კორექტირება ან/და ტვირთი არ ექვემდებარება დაშლა-



დანაწილებას გამგზავნ საგადასახადო ორგანოში;

ბ.გ) საქონლის X-RAY რენტგენული ინსპექტირების სისტემის განთავსების ადგილის დანიშნულებით გადაადგილებისას მიეთითება:

ბ.გ.ა) „XRS01“ – გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმის“ (სოფ. ადლია) კონტროლის ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სტაციონარული სკანერის შემთხვევაში;

ბ.გ.ბ) „XRS02“ – საბაჟო გამშვები პუნქტი „წითელი ხიდის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სტაციონარული სკანერის შემთხვევაში;

ბ.გ.გ) „XRS03“ – საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგის“ კონტროლის ზონაში განთავსებული სტაციონარული სკანერის შემთხვევაში;

ბ.გ.დ) „XRS04“ – საბაჟო გამშვები პუნქტი „ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სტაციონარული სარკინიგზო სკანერის შემთხვევაში;

ბ.გ.ე) „XRS05“ – საბაჟო გამშვები პუნქტი „გარდაბნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სტაციონარული სარკინიგზო სკანერის შემთხვევაში ;

ბ.გ.ვ) „XRS06“ – მობილური სკანერის (ZBV) შემთხვევაში;

ბ.გ.ზ) „XRS07“ – მობილური სკანერის (1213) შემთხვევაში;

ბ.გ.თ) „XRS08“ – მობილური სკანერის (EAGLE M60) შემთხვევაში;

ბ.გ.ი) „XRS09“ – მობილური სკანერის (1213LC) შემთხვევაში;

ბ.გ.კ) „XRS10“ – საბაჟო გამშვები პუნქტი „ლაგოდეხის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სტაციონარული სკანერის შემთხვევაში;

ბ.გ.ლ) „XRS11“ – საბაჟო გამშვები პუნქტი „ვალეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სტაციონარული სკანერის შემთხვევაში;

ბ.გ.მ) „XRS12“ – საბაჟო გამშვები პუნქტი „სადახლოს“ კონტროლის ზონაში განთავსებული სტაციონარული სკანერის შემთხვევაში;

ბ.გ.ნ) „XRS13“ – საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სტაციონარული სკანერის შემთხვევაში;

გ) მესამე განყოფილებაში მიეთითება მეორე განყოფილებაში მითითებული დოკუმენტის გაცემის (რეგისტრაციის) თარიღი;

24. გრაფა 50 – გრაფის:

ა) განყოფილებაში „პრინციპალი“ მიეთითება „000“, სისტემის მიერ ავტომატურად ეთითება სიტყვა „საერთაშორისო გადაზიდვა“;

ბ) განყოფილებაში „წარმდგენი“ მიეთითება სატრანსპორტო დოკუმენტების გამგზავნ საგადასახადო ორგანოში წარმდგენი ფიზიკური პირის სახელი, გვარი;

გ) განყოფილებაში „თარიღი“ მიეთითება ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული ფიზიკური პირის პირადი ნომერი, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში მიეთითება პასპორტის ნომერი, როდესაც პასპორტში არ ფიქსირდება პირადი ნომერი;

დ) საქონლის TIR წიგნაკით გადაადგილებისას :

დ.ა) განყოფილებაში „პრინციპალი“ მიეთითება „111“, სისტემის მიერ ავტომატურად ეთითება სიტყვა „TIR წიგნაკი“;

დ.ბ) განყოფილებაში „წარმდგენი“ მიეთითება გამგზავნ საგადასახადო ორგანოში TIR წიგნაკის წარმდგენი ფიზიკური პირის სახელი, გვარი;

დ.გ) განყოფილებაში „თარიღი“ პირველ ნაწილში მიეთითება „დ.ბ“ ქვეპუნქტში მითითებული ფიზიკური პირის პირადი ნომერი, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში მიეთითება პასპორტის ნომერი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პასპორტში არ ფიქსირდება პირადი ნომერი;

დ.დ) განყოფილებაში „თარიღი“ მეორე ნაწილში ეთითება TIR წიგნაკის გაცემის თარიღი;

ე) განყოფილებაში „პრინციპალი“:

ე.ა) საქონლის საპარტო ან საზღვაო ტრანსპორტით გადაადგილების შემთხვევაში მიეთითება „222“, სისტემის მიერ ავტომატურად ეთითება სიტყვა „საპარტო“ ან „საზღვაო“ ;

ე.ბ) საქონლის სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილების შემთხვევაში მიეთითება „333“, სისტემის მიერ ავტომატურად ეთითება სიტყვა „რკინიგზა“;

ე.გ) საქონლის გადაადგილებისას, როცა საქონლის მიმღები პირი, რომელსაც წარმოეშვა ან შეიძლება წარმოეშვას საგადასახადო ვალდებულება, სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, მიეთითება „444“, სისტემის მიერ ავტომატურად ეთითება სიტყვა „სახ. ორგანო“;

ე.დ) ნებისმიერი სასაქონლო ოპერაციის ქვეშ მოქცეული ან მისთვის განკუთვნილი, სეს ესნ- ის 8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ<sup>3</sup> - ზე მეტია, ხოლო ელექტრომძრავის შემთხვევაში - მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ- ზე მეტია) და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელების და ნახევრადმისაბმელების სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვის შემთხვევაში მიეთითება „777“, სისტემის მიერ ავტომატურად ეთითება სიტყვა „



სატრ. საშუალება“;

ე.ე) ჰუმანიტარული, გრანტის ან დიპლომატიური საქონლის სტატუსით საქონლის გადაადგილების შემთხვევაში მიეთითება „888”, სისტემის მიერ ავტომატურად ეთითება სიტყვა „ ჰუმ.გრანტ. დიპ.”;

ე.ვ) იმ შემთხვევაში, როცა საქონლის მიმღები არის იმპორტის გადასახდელებისაგან საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად გათავისუფლებული პირი , მიეთითება „999”, სისტემის მიერ ავტომატურად ეთითება სიტყვა „საერთაშ.”;

ე.ზ) ექსპორტში მოქცეული საქონლის გადაადგილების შემთხვევაში მიეთითება „10000”, სისტემის მიერ ავტომატურად ეთითება სიტყვა „ექსპორტი .”;

ე.თ) შემოტანილი და სპეციალური ანგარიშ - ფაქტურით გადაადგილებული ნავთობპროდუქტების შემთხვევაში მიეთითება „20000”, სისტემის მიერ ავტომატურად ეთითება სიტყვა „ წინასწარი”;

ე.ი) ფიზიკური პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემოტანილი და სხვა სატრანსპორტო საშუალებაში გადატვირთული, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199- ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დაუბეგრავ რაოდენობასა და დირებულებაზე მეტი საქონლის გადაადგილებისას შემთხვევაში მიეთითება „40000”, სისტემის მიერ ავტომატურად ეთითება სიტყვა „ პირ . სარგ ”.

ე.კ) გამოკვლევის (ექსპერტიზის) ჩატარების მიზნით საბაჟო კონტროლის ზონიდან დროებით გატანილი საქონლის გადაადგილების შემთხვევაში მიეთითება „74000“, სისტემის მიერ ავტომატურად ეთითება სიტყვა „ექსპერტიზა.

25. გრაფა 52 „გარანტია” - გრაფაში:

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისათვის TIR- წიგნაკის წარდგენის შემთხვევაში:

ა) პირველ განყოფილებაში მიეთითება TIR- წიგნაკის სერია და ნომერი (სასვენი ნიშნების, შორისის და დეფისის გარეშე);

ბ) მეორე განყოფილებაში – TIR- წიგნაკის იმ მოსახევი ფურცლის რიგითი ნომერი (მითითებულია ფურცლის მარცხენა კიდეზე წითელი შრიფტით PAGE), რომლითაც ხორციელდება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის საბაჟო კონტროლზე აყვანა;

გ) მესამე განყოფილებაში – TIR- წიგნაკის ყდის მე-2 და მე -3 გრაფების ან მოსახევი ფურცლის მე-4 გრაფაში დასმული სატრანსპორტო ფირმის ასორითი კოდი;

26. გრაფა 53 - „ დანიშნულების ორგანო და ქვეყანა ” – მიეთითება:

ა) დანიშნულების საგადასახადო ორგანოს კოდი კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ საქონელი და სატრანსპორტო საშუალება გადაადგილდება იმ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის დანიშნულებით, რომელიც განთავსებული არ არის საქართველოს საბაჟო საზღვართან მდებარე საბაჟო კონტროლის ზონაში, აღნიშნულ გრაფაში მიეთითება – 00000;

ბ) დანიშნულების ქვეყანა – ეთითება იმ ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის მიხედვით, სადაც სატრანსპორტო დოკუმენტაციაში დაფიქსირებული ინფორმაციით დასრულდება საქონლის საერთაშორისო გადაზიდვა. საქართველოს შემთხვევაში, აღნიშნული გრაფა არ ივსება.

27. გრაფა 54 - „პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა” - გრაფაში:

ა) საქონლის რკინიგზით გადაადგილების დროს მიეთითება – საქართველოს რკინიგზა, მოწმობაზე დაესმება რკინიგზის დამღა ( ბეჭედი ) და უფლებამოსილი პირის ხელმოწერა;

ა<sup>1</sup>) გამოკვლევის (ექსპერტიზის) ჩატარების მიზნით საბაჟო კონტროლის ზონიდან დროებით გატანილი საქონლის გადაადგილების შემთხვევაში – მიეთითება საქონლის მფლობელის/მესაკუთრის საიდენტიფიკაციო ნომერი; ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი. ხელს აწერს საქონლის მფლობელი/მესაკუთრე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლი.

ბ) მიეთითება მონაცემები გადამზიდველის შესახებ :

ბ.ა) საქართველოში გადასახადის გადამზიდველად რეგისტრირებული გადამზიდველის შემთხვევაში – საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ.ბ) სხვა შემთხვევაში – გადამზიდველის დასახელება, ხოლო თუ საერთაშორისო გადაზიდვის დამადასტურებელ დოკუმენტში არ არის გადამზიდველის თაობაზე ინფორმაცია, მიეთითება მძღოლის სახელი და გვარი;

გ) ხელს აწერს სატრანსპორტო საშუალების გადამადგილებელი პასუხისმგებელი პირი .

28. გრაფა 55 – „გადატვირთვა” – ივსება ავარიის ან/და დაუმდეველი ძალის მოქმედების დროს საქონლის ერთი სატრანსპორტო საშუალებიდან სხვა სატრანსპორტო საშუალებაში (მათ შორის, კონტეინერში) საბაჟო კონტროლის ქვეშ გადატვირთვის შემთხვევაში. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია, გამოწერილ მოწმობაში, გადატვირთვის ოპერაციის დასრულებისთანავე ხელით, ხოლო მომდევნო სამუშაო დღის 12 საათამდე ელექტრონულად, შეიტანოს გადატვირთვის შესახებ მონაცემები, კერძოდ:

ა) გრაფის განყოფილებაში „ადგილი და ქვეყანა” – მიეთითება ადმინისტრაციული ერთეულისა და დასახლებული პუნქტის (თუ გადატვირთვის აუცილებლობა წარმოიშვა დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე) დასახელება;

ბ) განყოფილებაში „ახალი სატრანს. საშ. იდენტ.” – მიეთითება ახალი სატრანსპორტო საშუალების შესახებ მონაცემები, მოწმობის მე-18 გრაფის შევსების წესის შესაბამისად;



გ) განყოფილებაში „კტ” – ახალ კონტეინერში საქონლის გადატვირთვისას, კონტეინერის ველის გასააქტიურებელ კვადრატში დაისმება ციფრი „1” და მეორე ნაწილში მიეთითება კონტეინერის ნომერი. იმ შემთხვევაში, თუ არ ხდება ახალ კონტეინერში საქონლის ჩატვირთვა, აღნიშნული კვადრატი არ ივსება;

დ) განყოფილება „ახალი კონტეინ. იდენტ.” ივსება, როცა განყოფილებაში „კტ” მითითებულია კოდირებული მონაცემი „1”, ასეთ დროს ეთითება გამგზავნი საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის მიერ დადებული ლუქების რაოდენობა (ციფრებით);

ე) განყოფილებაში „ლუქის ახალი №№”:

ე.ა) მიეთითება შემდეგი კოდირებული ციფრული მონაცემები:

ე.ა.ა) 0 – იმ შემთხვევაში, როცა არ არის საჭირო ლუქების დადება (მაგ., დიდგაბარიტიანი საქონელი);

ე.ა.ბ) 1 – მხოლოდ სარკინიგზო გადაზიდვის შემთხვევაში, როცა რკინიგზის მიერ არ არის მოწოდებული ინფორმაცია ლუქების დადების შესახებ;

ე.ა.გ) 2 – მხოლოდ სარკინიგზო გადაზიდვის შემთხვევაში, როცა რკინიგზის მიერ მოწოდებულია ინფორმაცია ლუქების დადების შესახებ;

ე.ა.დ) 5 – როცა სატრანსპორტო საშუალებაზე იდება ლუქები;

ე.ბ) ქვეგანყოფილება „იდენტ.“ ივსება გრაფის განყოფილებაში „ლუქის ახალი №№“ კოდირებული მონაცემი „5“-ის ჩაწერისას და მიეთითება იდენტიფიკაციის საშუალებ(ებ)ის ტიპი („1“ – ძალოვანი ლუქის შემთხვევაში, „2“ – მწებავი ლენტის შემთხვევაში), ხოლო მძიმის შემდეგ ნომერი. რამდენიმე იდენტიფიკაციის საშუალების შემთხვევაში მიეთითება თითოეულის ნომერი სრულად, რომლებიც ერთმანეთისგან გამოიყოფა წილადის ხაზით, ხოლო თუ ისინი თანმიმდევრობითაა აღებული, პირველი ნომერი ჩაიწერება სრულად, მომდევნო იდენტიფიკაციის საშუალებებზე კი მხოლოდ ნომრ(ებ)ის ბოლო ორი ციფრი, რომლებიც ერთმანეთისგან გამოიყოფა წილადის ხაზებით. ამასთან, იდენტიფიკაციის საშუალებ(ებ)ის ნომერი/ნომრები მიეთითება მხოლოდ ციფრებით;

ვ) განყოფილებაში „ხელმოწერა”, „ბეჭედი” – მონაცემების სინამდვილის დადასტურებისთვის დაისმება ხელმოწერა და პირადნომრიანი ბეჭედი ან საბაჟო დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის მრგვალი ბეჭედი.

29. მოწმობის ელექტრონული ფორმატის 56- ე გრაფაში - „გადაადგილებისას მომხდარი ინციდენტი” - 55- ე გრაფის შევსების შემთხვევაში ან სხვა საჭიროებისას ელექტრონულად მიეთითება მოკლე ინფორმაცია (მ. შ. საგადასახადო ორგანოში აღნიშნულის შესახებ შეტყობინების მიღების თარიღი და დრო ) გადაადგილებისას მომხდარი ავარიის ან სხვა დაუძლეველი ძალის თაობაზე, აგრეთვე მოწმობის დახურვის არასწორად რეგისტრირების შემთხვევაში მოწმობის დახურვის რეგისტრაციის გაუქმებისას.

30. გრაფა „ მოწმობის ნომერი” – ავტომატურად ივსება სისტემის მიერ, გამგზავნ საგადასახადო ორგანოში მოწმობის რეგისტრაციისას, მიეთითება „D” ნომერი, მოწმობის გამოწერის თარიღი, და მოწმობას ენიჭება შტრიხ - კოდი. იმ შემთხვევაში , როდესაც ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო მოწმობას შტრიხ - კოდი არ მიენიჭება, მოწმობის მე-17 გრაფის ქვევით არსებულ ცარიელ ადგილზე გამგზავნი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ დაისმება დამდა „აყვანილია კონტროლზე“ და მოწმდება ხელმოწერით.

31. გრაფა A - „გამგზავნი საგადასახადო ორგანო” – მიეთითება გამგზავნი საგადასახადო ორგანოს კოდი კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ საქონელი და სატრანსპორტო საშუალება გადაადგილდება იმ თავისუფალი ვაჭრობის პუნქტიდან, რომელიც განთავსებული არ არის საქართველოს საბაჟო საზღვართან მდებარე საბაჟო კონტროლის ზონაში, აღნიშნულ გრაფაში მიეთითება- 00001.

32. გრაფა D – „გამგზავნი საგადასახადო ორგანოს კონტროლი” - გრაფა ივსება გამგზავნის საგადასახადო ორგანოში, სადაც აისახება საბაჟო კონტროლის შედეგები, კერძო:

ა) გრაფის განყოფილებაში „ შედეგი ” - მიეთითება:

ა.ა) A1 - როცა სასაზღვრო საგადასახადო ორგანოში განხორციელებული სატრანსპორტო საშუალების გარეგანი ( ვიზუალური ) დათვალიერების შედეგად საბაჟო კონტროლის შედეგი დამაკმაყოფილებელია;

ა.ბ) A3 – „ ექვემდებარება დათვალიერებას”;

ა.გ) ექვსციფრა კოდი კლასიფიკატორის მე-13 ნაწილის – „სამართალდარღვევათა კლასიფიკატორის” მიხედვით და შემდეგ მიეთითება სამართალდარღვევის ოქმის ნომერი (სერიის მითითების გარეშე), იმ შემთხვევაში, როცა გამგზავნ საგადასახადო ორგანოში განხორციელებული საბაჟო კონტროლის შედეგად გამოვლენილია საგადასახადო ორგანოს ქვემდებარე სამართალდარღვევის ფაქტი. ექვსციფრა კოდი და სამართალდარღვევის ოქმის ნომერი ერთმანეთისგან მიმით გამოიყოფა;

ა.დ) B – როცა სკანირების შედეგად საბაჟო კონტროლის შედეგი დამაკმაყოფილებელია;

ა.ე) C – როცა სკანირების შედეგად საბაჟო კონტროლის შედეგი არადამაკმაყოფილებელია და საქონელი ექვემდებარება დათვალიერებას;

ბ) გრაფის განყოფილება „ ლუქი ” - მიეთითება:

ბ.ა) შემდეგი კოდირებული მონაცემები:

ბ.ა.ა) 0 - თუ არ არის საჭირო ლუქების დადება;

ბ.ა.ბ) 1 - მხოლოდ სარკინიგზო გადაზიდვის შემთხვევაში, თუ სარკინიგზო ზედნადებში არ არის მითითებული ლუქების შესახებ ინფორმაცია;

ბ.ა.გ) 2 - მხოლოდ სარკინიგზო გადაზიდვის შემთხვევაში, თუ სარკინიგზო ზედნადებში მითითებულია ლუქების შესახებ ინფორმაცია;



ბ.ა.დ) 3 - თუ გამგზავნ საგადასახადო ორგანოში წარდგენილ სატრანსპორტო საშუალებაზე უკვე დადებულია ლუქები და გამგზავნი საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის მიერ არ ხდება სატრანსპორტო საშუალების გადალუქვა;

ბ.ა.ე) 4 - თუ გამგზავნ საგადასახადო ორგანოში წარდგენილ სატრანსპორტო საშუალებაზე არ არის დადებული ლუქები და გამგზავნი საგადასახადო ორგანოს მოხელის მიერ ხდება სატრანსპორტო საშუალების დალუქვა;

ბ.ა.ვ) 5 - თუ გამგზავნ საგადასახადო ორგანოში წარდგენილ სატრანსპორტო საშუალებაზე დადებულია ლუქები და გამგზავნი საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის მიერ ხდება სატრანსპორტო საშუალების დამატებით დალუქვა;

გ) განყოფილება „იდენტ“ ივსება განყოფილებაში „ლუქი“ კოდირებული მონაცემი „4“-ის ან „5“-ის ჩაწერისას და მიეთითება გამგზავნი საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის მიერ დადებული იდენტიფიკაციის საშუალებ(ებ)ის ტიპი („1“ – ძალოვანი ლუქის შემთხვევაში, „2“ – მწებავი ლენტის შემთხვევაში), ხოლო მძიმის შემდეგ ნომერი. რამდენიმე იდენტიფიკაციის საშუალების შემთხვევაში მიეთითება თითოეულის ნომერი სრულად, რომლებიც ერთმანეთისგან გამოიყოფა წილადის ხაზით, ხოლო თუ ისინი თანმიმდევრობითაა აღებული, პირველი ნომერი ჩაიწერება სრულად, მომდევნო იდენტიფიკაციის საშუალებებზე კი მხოლოდ ნომრ(ებ)ის ბოლო ორი ციფრი, რომლებიც ერთმანეთისგან გამოიყოფა წილადის ხაზებით. ამასთან:

გ.ა) იდენტიფიკაციის საშუალებ(ებ)ის ნომერი/ნომრები მიეთითება მხოლოდ ციფრებით;

გ.ბ) კოდირებული მონაცემი „5“-ის შემთხვევაში, გამგზავნი საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის მიერ დადებული იდენტიფიკაციის საშუალებ(ებ)ის მონაცემების მითითების შემდეგ აღინიშნება მძიმე და გამგზავნ საგადასახადო ორგანოში წარდგენილ სატრანსპორტო საშუალებაზე არსებული იდენტიფიკაციის საშუალებ(ებ)ის მონაცემები;

დ) გრაფის განყოფილებაში „ვადა“ – მიეთითება გამგზავნი საგადასახადო ორგანოს მიერ დანიშნულების საგადასახადო ორგანოში ან დანიშნულების ადგილზე გამოცხადების თარიღი, რომელიც ამოირჩევა სისტემაში ინტეგრირებული კალენდრიდან. თუ გამოცხადების ვადა აღემატება ერთ დღეს, გამოცხადების დროდ ჩაითვლება გამოცხადების დღის 24.00 საათი, თუ გამოცხადების ვადა არ აღემატება ერთ დღეს – მიეთითება გამოცხადების ზუსტი დრო; გამოკვლევის (ექსპერტიზის) ჩატარების მიზნით საბაჟო კონტროლის ზონიდან დროებით გატანილი საქონლის გადაადგილების შემთხვევაში – მიეთითება საბაჟო საწყობში ან შენახვის სხვა ადგილზე დაბრუნების თარიღი, რომელიც განისაზღვრება საქონლის მფლობელთან/მესაკუთრესთან შეთანხმებით და არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს.

33. საქონლის X-RAY რენტგენული ინსპექტირების სისტემის განთავსების ადგილის დანიშნულებით გადაადგილებისას, მოწმობის ელექტრონული ფორმატის ფუნქციის – „კონტროლი გადაადგილებისას“ გრაფაში „შემოწმების ადგილი“ საგადასახადო ორგანოს მიერ მიეთითება სკანირების ადგილი, ხოლო სკანირების შედეგად საეჭვო ნივთის (ნივთების) აღმოჩენის შემთხვევაში, ხორციელდება მოწმობის ელექტრონული ფორმატის ფუნქციაში – „კომენტარი“ შესაბამისი აღნიშვნა.

შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 24 იუნისის ბრძანება №22683 - ვებგვერდი, 02.11.2012წ.

შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 4 აპრილის ბრძანება №13808 - ვებგვერდი, 15.04.2013წ.

შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 25 აპრილის ბრძანება №17494 - ვებგვერდი, 25.04.2013წ.

შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 20 იანვრის ბრძანება №2516 - ვებგვერდი, 27.01.2014წ.

შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 21 ივლისის ბრძანება №34336 - ვებგვერდი, 21.08.2014წ.

შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 23 იუნისის ბრძანება №44089 - ვებგვერდი, 03.11.2014წ.

შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 15 მაისის ბრძანება №16554 - ვებგვერდი, 20.05.2015წ.

შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №33218 - ვებგვერდი, 07.09.2015წ.

შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 4 მარტის ბრძანება №5590 - ვებგვერდი, 10.03.2016წ.

შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 27 იუნისის ბრძანება №29290 - ვებგვერდი, 31.10.2016წ.

შემოსავლების სამსახურის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №5828 - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

შემოსავლების სამსახურის 2017 წლის 7 ნოემბრის ბრძანება №29630 - ვებგვერდი, 08.11.2017წ.

### მუხლი 3. მოწმობის გამარტივებულად შევსება

1. მოწმობა ივსება გამარტივებულად, როცა საქონელი გადაადგილდება:

ა) საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული საბაჟო საწყობის დანიშნულებით ან ამავე რადიუსში მდებარე საბაჟო საწყობ იდან საზღვაო ნავსადგურის დანიშნულებით;

ბ) საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფიდან“ 12 კილომეტრის რადიუსში განთავსებული საბაჟო კონტროლის ზონის (მათ შორის, ტვირთის X-Ray რენტგენული ინსპექტირების სისტემის განთავსების ადგილის ან გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმის“) დანიშნულებით ან ამავე რადიუსში მდებარე საბაჟო კონტროლის ზონიდან საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფის“ დანიშნულებით;

გ) საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული გაფორმების ეკონომიკური ზონის დანიშნულებით.

2. იმ შემთხვევაში, თუ სისტემაში დაშვებული პირის – გადამზიდველის მიერ ელექტრონულად შევსებულ მოწმობაში არ არის მითითებული შესაბამისი საქონლის (კონტეინერის, მისაბმელის) გადამადგილებელი (გამწევი) საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების რეკვიზიტები, საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი ახორციელებს ქვემოთ მითითებულ პროცედურას შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) იძახებს სერვერზე შენახულ მოწმობას უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომრის მეშვეობით;



ბ) ელექტრონულად შეაქვს სისტემაში საქონლის (კონტეინერის, მისაბმელის) გადამაადგილებელი (ამწევი) საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების სანომრე ნიშანი, აგრეთვე მისაბმელის სანომრე (სარეგისტრაციო) ნიშანი მოწმობის ელექტრონული ფორმატის მე-18 გრაფის პირველ ნაწილში და არეგისტრირებს მონაცემის ცვლილებას;

გ) არეგისტრირებს მოწმობას, რის შედეგადაც სისტემის მიერ ავტომატურად ივსება გრაფა „მოწმობის ნომერი”, მას ენიჭება „D” ნომერი და შტრიხ - კოდი;

დ) ქაღალდზე ამობეჭდავს დარეგისტრირებულ მოწმობას.

3. მოწმობის ორივე ეგზემპლარი, გარდა საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული გაფორმების ეკონომიკური ზონის დანიშნულებით მოწმობის მხოლოდ ელექტრონული ფორმით წარდგენის შემთხვევისა, დამოწმდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის პირადნომრიანი ბეჭდით ან საბაჟო დეპარტამენტის შესაბამისისტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის მრგვალი ბეჭდითა და ხელმოწერით.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 25 აპრილის ბრძანება №17494 - ვებგვერდი, 25.04.2013წ.

#### მუხლი 4. მოწმობის გამარტივებულად შევსებისას გრაფების შევსების წესი

1. მე-3 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოწმობის ქვემოთ ჩამოთვლილი გრაფები ივსება მე -2 მუხლისაგან განსხვავებული წესით :

ა) გრაფა 2 - „ექსპორტიორი” – გრაფაში შესაძლებელია მიეთითოს „უცნობი”, თუ ზოგადი დეკლარირებისთვის წარდგენილ დოკუმენტებში არ არის მითითებული საქონლის გამზავნი/ექსპორტიორი;

ბ) გრაფა 4 – გრაფაში მიეთითება საქონლის გადაადგილების თაობაზე შემდეგი კოდირებული ინფორმაცია;

ბ.ა) საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული საბაჟო საწყობის დანიშნულებით გადაადგილების შემთხვევაში – „3“;

ბ.ბ) საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული საბაჟო საწყობი იდან საზღვაო ნავსადგურის დანიშნულებით გადაადგილების შემთხვევაში – „13“;

ბ.გ) საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფიდან“ 12 კილომეტრის რადიუსში განთავსებული საბაჟო კონტროლის ზონის (მათ შორის, ტვირთის X-RAY რენტგენული ინსპექტირების სისტემის განთავსების ადგილის ან გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმის“) დანიშნულებით გადაადგილების შემთხვევაში – „3“;

ბ.დ) საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული გაფორმების ეკონომიკური ზონის დანიშნულებით გადაადგილების შემთხვევაში – „4“;

გ) გრაფა 8 - „იმპორტიორი” – გრაფაში შესაძლებელია მიეთითოს „უცნობი”, თუ ზოგადი დეკლარირებისთვის წარდგენილი დოკუმენტებში არ არის მითითებული საქონლის იმპორტიორი;

დ) (ამოღებულია - 04.04.2013, №13808);

ე) გრაფა 50 - „პრინციპალი” – გრაფის განყოფილებაში „პრინციპალი” მიეთითება ციფრი „50000” და სისტემის მიერ ავტომატურად ეთითება სიტყვა „12 კმ რადიუსი“.

2. საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებული გაფორმების ეკონომიკური ზონის დანიშნულებით საქონლის გადაადგილების შემთხვევაში, მოწმობის გამარტივებულად შევსებისას:

ა) საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ან სისტემაში დაშვებული პირი ავსებს მხოლოდ მე-7 და მე-18 გრაფებს და 31-ე გრაფაში – „კონტეინერის №“ - ს, დანარჩენი გრაფები ივსება სისტემის მიერ ავტომატურად;

ბ) გრაფა D – „გამზავნი საგადასახადო ორგანოს კონტროლი” – გრაფის განყოფილებაში „ვადა” – გამგზავნი საგადასახადო ორგანოს მიერ მიეთითება გაფორმების ეკონომიკურ ზონაში გამოცხადების ზუსტი თარიღი და დრო, რომელიც ამოირჩევა სისტემაში ინტეგრირებული კალენდრიდან. გამოცხადების ვადა არ უნდა აღმატებოდეს ერთ დღეს.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 4 აპრილის ბრძანება №13808 - ვებგვერდი, 15.04.2013წ.

#### მუხლი 5. საქონლის დანიშნულების ადგილზე წარდგენის დადასტურება

1. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების ადგილზე წარდგენის დადასტურება ხდება არა უგვიანეს 1 საათისა, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ სისტემაში ელექტრონულად (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოცხადების დადასტურება ხორციელდება საბაჟო საწყობის, ან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის, ან ოქროს სიის მონაწილის, ან შენახვის სხვა ადგილის მფლობელის მიერ ელექტრონულად ან რკინიგზის მიერ სარკინიგზო ზედნადებზე და მოწმობის უკანა გვერდზე გაკეთებული აღნიშვნით), ამ მიზნით:

ა) მოწმობის ელექტრონული ფორმატის დამატებით ფურცელში გრაფა „I”-ში სისტემაში ინტეგრირებული კალენდრიდან ამოირჩევა თარიღი და სისტემის მიერ ავტომატურად ეთითება დრო;

ბ) განყოფილებაში – „ლუქების შემოწმება” ეთითება:

ბ.ა) A1 – როცა სატრანსპორტო საშუალების გარეგანი (ვიზუალური) დათვალიერების შედეგად დასტურდება სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული ლუქების მთლიანობა;

ბ.ბ) A2 – როცა არ ხდება სატრანსპორტო საშუალების გარეგანი (ვიზუალური) დათვალიერება.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც სარკინიგზო ტრანსპორტით ერთი მოწმობით გადაადგილებული საქონელი დანიშნულების ადგილზე წარედგინება ნაწილ-ნაწილ, ყოველი წარდგენილი ვაგონის გამოცხადების



დადასტურება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ხორციელდება მოწმობის ელექტრონული ფორმატის დამატებით ფურცელში ფუნქციაში – „კომენტარი“ შესაბამისი აღნიშვნით, ხოლო მოწმობა ელექტრონულად დაიხურება მოწმობით გადაადგილებული ბოლო ვაგონის წარდგენისას.

შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 31 იანვრის ბრძანება №3701 - ვებგვერდი, 08.02.2013წ.

## მუხლი 6. მოწმობის კონტროლიდან მოხსნა

1. მოწმობის კონტროლიდან მოხსნა ხორციელდება საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის მიერ ASYCUDA-ში მოწმობის ელექტრონული რეგისტრაციით (სრული ან არასრული დახურვით).

2. საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი ახდენს ამ პუნქტში მითითებული ჩანაწერის ელექტრონულად რეგისტრაციას:

ა) სრული დახურვის მეშვეობით, როცა ხდება მოწმობით გადაადგილებული საქონლის და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით საზღვრის გადაკვეთა ან მოწმობით გადაადგილებული საქონლის თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში წარდგენა და მოწმობას ენიჭება დახურვის ნომერი „R“. ამასთან, მოწმობის „I“ გრაფის განყოფილებაში „შენიშვნა“ საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი უთითებს ტრანზიტული ტვირთის გადამზიდავი სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის/მძღოლის მიერ წარდგენილი გზასარგებლობის საფასურის საბაზო დაწესებულებაში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ან გზასარგებლობის საფასურის ბარათის მონაცემებს;

ბ) არასრული დახურვის მეშვეობით, როცა ხდება საზღვაო ნავსადგურიდან 12 კილომეტრის რადიუსში განლაგებულ საბაჟო საწყობ ში ან პირიქით, საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფი“ - დან 12 კილომეტრის რადიუსში განთავსებული საბაჟო კონტრო ლის ზონის ( მათ შორის ტვირთის X-RAY რენტგენული ინსპექტირების სისტემის განთავსების ადგილის ) დანიშნულებით საქონლის გადაადგილება და მოწმობას ენიჭება დახურვის ნომერი „R“. მოწმობა სრულად იხურება საქონლის მთლიან რაოდენობაზე სასაქონლო ოპერაციის გამოყენების მიზნით საბაჟო დეკლარაციის ან მოწმობის რეგისტრაციისას;

გ) სრული დახურვის მეშვეობით, როცა ხდება სასაქონლო ოპერაციის განხორციელების საგადასახადო ორგანოში მოწმობის და მოწმობაში მითითებული საქონლის მთლიან რაოდენობაზე საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაცია. ამ შემთხვევაში მოწმობის „I“ გრაფის განყოფილებაში „ შენიშვნა ” სასაქონლო ოპერაციის განმახორციელებელი საგადასახადო ორგანოს მიერ მიეთითება საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის ნომერი;

დ) არასრული დახურვის მეშვეობით, როცა ხდება საქონლის და/ან სატრანსპორტო საშუალების სასაქონლო ოპერაციის განხორციელების საგადასახადო ორგანოში ან სხვა დანიშნულების ადგილზე წარდგენა და მოწმობას ენიჭება დახურვის ნომერი „R“. მოწმობა სრულად იხურება საქონლის მთლიან რაოდენობაზე სასაქონლო ოპერაციის გამოყენების მიზნით საბაჟო დეკლარაციის ან მოწმობის რეგისტრაციისას;

ე) სრული დახურვის მეშვეობით, როცა ხდება მოწმობით გადაადგილებული, სეს ესნ- ის 8701, 8702, 8703 8704, 8705, 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების ( რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ<sup>3</sup> - ზე მეტია, ხოლო ელექტრომძრავის შემთხვევაში - მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ- ზე მეტია) და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელების და ნახევრადმისაბმელების წარდგენა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს განყოფილებებთან შექმნილ საბაჟო კონტროლის ზონებში რეექსპორტის სასაქონლო ოპერაციის გაცხადების, საექსპერტო შემოწმების განხორციელებისა და საკუთრების უფლების გადაცემის გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურების მიზნით. მოწმობას ენიჭება დახურვის ნომერი „R“ და სააგენტოს მიერ გაიცემა ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობა;

ვ) სრული დახურვის მეშვეობით, როცა მოწმობით გადაადგილებულ საქონელზე წარედგინება „დროებით შენახვის განაცხადი“. ამ შემთხვევაში მოწმობის „I“ გრაფის განყოფილებაში „შენიშვნა“ საგადასახადო ორგანოს მიერ მიეთითება განაცხადის რეგისტრაციის ნომერი.

ზ) არასრული დახურვის მეშვეობით, როცა სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მიეთითება ექვსციფრა კოდი კლასიფიკატორის მე -13 ნაწილის მიხედვით და შემდეგ მიეთითება სამართალდარღვევის ოქმის ნომერი. მოწმობა სრულად იხურება სამართალდამრღვევი პირის მიერ ვალდებულების შესრულებისას;

თ) სრული დახურვის მეშვეობით, როცა ხდება გამოკვლევის (ექსპერტიზის) ჩატარების მიზნით საბაჟო კონტროლის ზონიდან დროებით გატანილი საქონლის დაბრუნება საბაჟო კონტროლის ზონაში და მოწმობით გადაადგილებულ საქონელზე წარედგინება „დროებით შენახვის განაცხადი“. ამ შემთხვევაში მოწმობის „I“ გრაფის განყოფილებაში „შენიშვნა“ საგადასახადო ორგანოს მიერ მიეთითება განაცხადის რეგისტრაციის ნომერი.

3. როდესაც მოწმობას ენიჭება დახურვის ნომერი „R“, მოწმობის მე -17 გრაფის ქვევით არსებულ ცარიელ ადგილზე ავტომატურად ეთითება – „ მოხსნილია კონტროლიდან “ . იმ შემთხვევაში , როდესაც ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო მოწმობის კონტროლიდან მოხსნა ავტომატურად ვერ ხორციელდება , მოწმობის „C“ გრაფაში დანიშნულების საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი სვამს დამღას – „ მოხსნილია კონტროლიდან ”, დამღაში მითითებულ ადგილზე აწერს ხელს და უთითებს კონტროლიდან მოხსნის თარიღს .

4. მოწმობის კონტროლიდან მოხსნა ხორციელდება :

ა) დანიშნულების საგადასახადო ორგანოს მიერ, სადაც მთავრდება საქონლის და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება, ან გადაადგილებაზე საბაჟო კონტროლი, ან სადაც მოხდა საქონლის სხვა



სატრანსპორტო საშუალებაში გადატვირთვა, ან როცა დანიშნულების ადგილზე გამოცხადებულ სასაქონლო პარტიაზე იწერება ახალი მოწმობა (სასაქონლო პარტიის დანაწევრების შემთხვევაში, რამდენიმე მოწმობის გაცემისას, წინმსწრები მოწმობის კონტროლიდან მოხსნა დასაშვებია მხოლოდ სასაქონლო პარტიის ბოლო ნაწილზე მოწმობის გაცემისას);

ბ) გაფორმების ორგანოს მიერ, როცა მოწმობის 53-ე გრაფაში მითითებულის დანიშნულების საგადასახადო ორგანოს ნაცვლად, საქონელი და სატრანსპორტო საშუალება წარდგინება სხვა ნებისმიერ საგადასახადო ორგანოს (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქონლის წარდგენის ადგილზე დაუშვებელია მოწმობის მე-4 გრაფაში მითითებული სასაქონლო ოპერაციის ან/და ნებისმიერი სხვა სასაქონლო ოპერაციის განხორციელება;

გ) საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ, როცა ტრანზიტით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების წარდგენა, მოწმობის 53-ე გრაფაში მითითებული საბაჟო გამშვები პუნქტის ნაცვლად, ხდება იმავე უცხო ქვეყანასთან არსებულ საქართველოს სახელმწიფო საზღვართან მდებარე საბაჟო გამშვებ პუნქტში (თუ სატრანსპორტო საშუალების ან საქონლის გადაადგილება ამ მიმართულებით არ იკრძალება). ამ შემთხვევაში, დეკლარანტმა ან გადაზიდვაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა წარადგინოს დანიშნულების ქვეყნის შეცვლის დამადასტურებელ სატრანსპორტო დოკუმენტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს წინმსწრები სატრანსპორტო დოკუმენტის შესახებ მონაცემები (ნომერი, გაცემის თარიღი). წარდგენილი სატრანსპორტო დოკუმენტების კოდები კლასიფიკატორის მე-10 ნაწილის მიხედვით და დოკუმენტების ნომრები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დანიშნულების ქვეყნის მოკლე დასახელება (თუ დანიშნულების ქვეყანა რამდენიმეა, მიეთითება პირველი) მიეთითება მოწმობის უკანა გვერდზე და მოწმდება საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერითა და პირადნომრიანი ბეჭდით. საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია, იმავდროულად სისტემაში გრაფის – „დანიშნულების საგადასახადო ორგანოს კონტროლი“ განყოფილება „შენიშვნაში“ მიუთითოს სატრანსპორტო დოკუმენტის კოდი და ინდივიდუალური ნომერი;

ე) საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ, როდესაც დროებით შემოტანილი საქონელი გაიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან;

ვ) იმ შემთხვევაში, როდესაც დანიშნულების საბაჟო გამშვებ პუნქტში არ არის წარდგენილი მოწმობის კონტროლიდან მოხსნის დამადასტურებელი ეგზემპლარი და მოწმობის კონტროლიდან მოხსნა არ არის დარეგისტრირებული სისტემაში – საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების (წერილობითი დასტური საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოდან ან/და უცხო ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოდან მიღებული ინფორმაცია ან/და საგამოძიებო და სხვა უფლებამოსილი ორგანოებიდან მიღებული ინფორმაცია) საფუძველზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში შესაბამისი ინფორმაციის გადამოწმების შემდგომ, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ ხორციელდება მოწმობის კონტროლიდან მოხსნის რეგისტრაცია სისტემაში.

5. გამგზავნი საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში, დანიშნულების საგადასახადო ორგანო ახორციელებს მონაცემთა ავტომატიზებული ბაზიდან ამობეჭდილი მოწმობის გაცემას.

6. მოწმობით განსაზღვრულ გამოცხადების თარიღში საქონლის და სატრანსპორტო საშუალების გამოუცხადებლობის შემთხვევაში დანიშნულების საგადასახადო ორგანოს მიერ შესაბამისი ინფორმაცია, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა (სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში – არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა), რეაგირებისათვის გადაცემა შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამმართველოს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, საბაჟო დეპარტამენტის მიერ შესაბამისი ინფორმაცია ეგზავნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციას ან/და შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 24 ოქტომბრის ბრძანება № 22683 - ვებგვერდი, 02.11.2012 წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 25 აპრილის ბრძანება №17494 - ვებგვერდი, 25.04.2013 წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 20 იანვრის ბრძანება №2516 - ვებგვერდი, 27.01.2014 წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 21 ივნისის ბრძანება №34336 - ვებგვერდი, 21.08.2014 წ.

შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 28 აპრილის ბრძანება №12187 - ვებგვერდი, 06.05.2016 წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 27 ოქტომბრის ბრძანება №29290 - ვებგვერდი, 31.10.2016 წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება №26822 - ვებგვერდი, 05.10.2017 წ.

## მუხლი 7. მოწმობაში ცვლილების შეტანა

1. ASYCUDA-ში დაშვებული პირი ან საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი უფლებამოსილია, მოწმობის ელექტრონულ ფორმატში შეიტანოს ცვლილება მოწმობის გაცემადე – მოწმობის შევსებისას, შევსების რეგისტრაციამდე, ან შევსების რეგისტრაციიდან მის საგადასახადო ორგანოში წარდგენამდე. მოწმობის შევსების რეგისტრაციის შემდეგ მონაცემების შეცვლის ცალკეული შემთხვევა რეგისტრირდება სისტემის მიერ.

2. მოწმობაში არასწორი ინფორმაციის გამოვლენისას, საგადასახადო ორგანო ვალდებულია, მოწმობის



გაცემის შემდეგაც შეცვალოს არასწორი მონაცემები . შესწორება ხორციელდება შემდეგი წესით:

ა) გამგზავნი საგადასახადო ორგანოს მიერ – მოწმობის ელექტრონულ ფორმატში არსებულ 56-ე გრაფაში, სადაც აღინიშნება:

ა.ა) გრაფის ნომერი ან/და განყოფილების სათაური, რომელშიც შეტანილია არასწორი მონაცემები;

ა.ბ) სწორი მონაცემი;

ა.გ) სწორი მონაცემის შეტანის საფუძველი – მოწმობის 44-ე გრაფაში მითითებული დოკუმენტის კოდი და დოკუმენტის ნომერი ან სხვა;

ბ) დანიშნულების საგადასახადო ორგანოს მიერ – მოწმობის ელექტრონულ ფორმატში „I“ გრაფის განყოფილებაში „შენიშვნა“, სადაც აღინიშნება (გარდა იმ შემთხვევისა, როცა არასწორი მონაცემის შესახებ უკვე შეტანილია ინფორმაცია გამგზავნი საგადასახადო ორგანოს მიერ 56-ე გრაფაში):

ბ.ა) გრაფის ნომერი, განყოფილების სათაური, რომელშიც შეტანილია არასწორი მონაცემები;

ბ.ბ) სწორი მონაცემი;

ბ.გ) სწორი მონაცემის შეტანის საფუძველი – მოწმობის 44-ე გრაფაში მითითებული დოკუმენტის კოდი და დოკუმენტის ნომერი ან სხვა ;

ბ.დ) მოწმობის შესაბამის გრაფაში იშლება არასწორი მონაცემი და მიეთითება სწორი მონაცემი.

გ) შეადგინოს აქტი (სადაც აისახება მოწმობის გაუქმების მიზეზი), რომელიც გაუქმებულ მოწმობასთან ერთად სათანადო რეესტრით ეგზავნება შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო კონტროლის ორგანიზაციის სამართველოს.

3. არასწორად გაცემული მოწმობის გამგზავნ საგადასახადო ორგანოში გაუქმების აუცილებლობისას, უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია:

ა) მოწმობის ელექტრონულ ფორმატში შევიდეს „ინციდენტის“ მეშვეობით, შეიტანოს მოწმობის 56-ე გრაფაში გაუქმების თაობაზე მოკლე ინფორმაცია და მიუთითოს გაუქმებული მოწმობის ნაცვლად გაცემული ახალი მოწმობის „D“ ნომერი;

ბ) გაცემულ მოწმობაზე გააკეთოს აღნიშვნა „ანულირებულია“, რომელიც მოწმდება თანამშრომლის პირადნომრიანი ბეჭდით (საბაჟო გამშვები პუნქტის შემთხვევაში );

გ) შეადგინოს აქტი (სადაც აისახება მოწმობის გაუქმების მიზეზი), რომელიც გაუქმებულ მოწმობასთან ერთად სათანადო რეესტრით ეგზავნება შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის პროცესების მართვის, შეფასებისა და განვითარების მთავარი სამართველოს საბაჟო კონტროლის სამართველოს.

4. სეს ესნ 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ3-ზე მეტია, ხოლო ელექტრომძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებულ მისაბმელებზე და ნახევრად მისაბმელებზე საბაჟო დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელების შემთხვევაში ( საბაჟო საწყობში დროებით შენახვის გარეშე), საგადასახადო ორგანო ვალდებულია, სატრანსპორტო საშუალების გაფორმებისას ან საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას, მოწმობის ელექტრონულ ფორმატში შევიდეს ფუნქციის – „შემოწმება გადაადგილებისას“ მეშვეობით, მოწმობის D გრაფაში მითითებული დანიშნულების საგადასახადო ორგანოში ან დანიშნულების ადგილზე გამოცხადების თარიღი შეცვალოს საბაჟო დეკლარაციის ან სატრანსპორტო საშუალების წარდგენის თარიღით, ხოლო გვერდზე – „კონტროლი გადაადგილებისას“ მიუთითოს: ცვლილების განმახორციელებელი საგადასახადო ორგანოს კოდი, მომსახურების გაწევისათვის (დეკლარაციის წარდგენის ვადის გაგრძელებისათვის) საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემები (ნომერი და თარიღი) და სხვა დამატებითი ინფორმაცია.

4<sup>1</sup>. თუ საზღვაო სატრანსპორტო საშუალებიდან საქონლის ჩამოტვირთვამდე გამოწერილ მოწმობაში საქონლის წონის შესახებ დაფიქსირებული მონაცემები არ ემთხვევა ფიზიკური აწონვის მონაცემებს, საგადასახადო ორგანო ვალდებულია, მოწმობის ელექტრონულ ფორმატში შევიდეს ფუნქციის – „შემოწმება გადაადგილებისას“ მეშვეობით, მოწმობის 35-ე გრაფაში ან/ და 38-ე გრაფაში მითითებული წონა შეცვალოს საქონლის ფიზიკური აწონვის მონაცემების გათვალისწინებით და 44-ე გრაფაში მიუთითოს შესაბამისი კოდი კლასიფიკატორის მე-10 ნაწილის შესაბამისად, ხოლო გვერდზე – „კონტროლი გადაადგილებისას“ მიუთითოს: ცვლილების განმახორციელებელი საგადასახადო ორგანოს კოდი, ცვლილების განხორციელების საფუძველი და სხვა დამატებითი ინფორმაცია.

შემოსვლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 24 ოქტომბრის ბრძანება № 22683 - ვებგვერდი, 02.11.2012წ.

შემოსვლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 25 აპრილის ბრძანება №17494 - ვებგვერდი , 25.04.2013 წ.

შემოსვლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 21 ივლისის ბრძანება №34336 - ვებგვერდი, 21.08.2014წ.

შემოსვლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 21 მაისის ბრძანება №17373 - ვებგვერდი, 21.05.2015 წ.

შემოსვლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 16 ივლისის ბრძანება №25833 - ვებგვერდი, 17.07.2015წ.

შემოსვლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 აპრილის ბრძანება №12187 - ვებგვერდი, 06.05.2016წ.

შემოსვლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება №26822 - ვებგვერდი, 05.10.2017წ.

## მუხლი 7<sup>1</sup>. რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობის გრაფების შევსების წესი

1. გრაფა „რეგისტრაციის ნომერი“ – ივსება სისტემის მიერ ავტომატურად, გამგზავნ საგადასახადო ორგანოში რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობის რეგისტრაციისას.

2. გრაფა „ვაგონის ნომერი“ – ივსება სისტემის მიერ რკინიგზის მონაცემთა ბაზიდან მიღებული ინფორმაციის



საფუძველზე და მიეთითება სარკინიგზო ვაგონის ნომერი.

3. გრაფა „უწყისის ნომერი“ – ივსება სისტემის მიერ რკინიგზის მონაცემთა ბაზიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და მიეთითება სარკინიგზო უწყისის (ზედდებულის) ნომერი.

4. გრაფა „გამგზავნი საგადასახადო ორგანო“ – მიეთითება გამგზავნი საგადასახადო ორგანოს კოდი კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

5. გრაფა „დანიშნულების საგადასახადო ორგანო“ – მიეთითება დანიშნულების საგადასახადო ორგანოს კოდი კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

6. გრაფა „სასაქონლო ოპერატორი“ – ივსება ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოწმობის მე-4 გრაფის შევსების წესის შესაბამისად.

7. გრაფა „გამგზავნის დასახელება“ – ივსება სისტემის მიერ რკინიგზის მონაცემთა ბაზიდან მიღებული მონაცემებით და გრაფაში მიეთითება საქონლის გამგზავნის/ექსპორტიორის სრული სახელწოდება (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი) და მისამართი. თუ გამგზავნი ერთზე მეტია, გრაფაში აღინიშნება „სხვადასხვა“ და შემდეგ – თითოეული გამგზავნის/ექსპორტიორის შესახებ ინფორმაცია – გადასახადის გადამხდელის სრული სახელწოდება (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი) და მისამართი.

8. გრაფა „გამგზავნის ს/ნ“ – ივსება სისტემის მიერ რკინიგზის მონაცემთა ბაზიდან მიღებული მონაცემით და მიეთითება საქონლის გამგზავნის/ ექსპორტიორის საიდენტიფიკაციო ნომერი, ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადი ნომერი.

9. გრაფა „მიმღების დასახელება“ – ივსება სისტემის მიერ რკინიგზის მონაცემთა ბაზიდან მიღებული მონაცემებით. გრაფაში მიეთითება საქონლის მიმღების სრული სახელწოდება (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი) და მისამართი. თუ მიმღები ერთზე მეტია, გრაფაში აღინიშნება „სხვადასხვა“ და შემდეგ – თითოეული მიმღების შესახებ ინფორმაცია – გადასახადის გადამხდელის სრული სახელწოდება (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი) და მისამართი.

10. გრაფა „მიმღების ს/ნ“ – ივსება სისტემის მიერ რკინიგზის მონაცემთა ბაზიდან მიღებული მონაცემით. გრაფაში მიეთითება საქონლის მიმღების საიდენტიფიკაციო ნომერი, ფიზიკური პირის შემთხვევაში – პირადი ნომერი.

11. გრაფა „გამომგზავნი ქვეყანა“ – გრაფის პირველ ნაწილში სისტემაში ინტეგრირებული მზა მონაცემებიდან მიეთითება საქონლის გამომგზავნი ქვეყნის დასახელება კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ხოლო გრაფის მეორე ნაწილი ივსება სისტემის მიერ ავტომატურად.

12. გრაფა „დანიშნულების ქვეყანა“ – გრაფის პირველ ნაწილში, კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად სისტემაში ინტეგრირებული მზა მონაცემებიდან მიეთითება იმ ქვეყნის დასახელება, სადაც სატრანსპორტო დოკუმენტაციაში დაფიქსირებული ინფორმაციით დასრულდება საქონლის საერთაშორისო გადაზიდვა (რამდენიმე დანიშნულების ქვეყნის არსებობის შემთხვევაში – მიეთითება პირველი ქვეყნის დასახელება), ხოლო გრაფის მეორე ნაწილი ივსება სისტემის მიერ.

13. გრაფა „ტვირთის დასახელება“ – ივსება სისტემის მიერ რკინიგზის მონაცემთა ბაზიდან რუსულ ენაზე მიღებული ინფორმაციის გამოყენებით, რომელიც გრაფის შევსებისას რედაქტირდება ქართულ ენაზე. გრაფაში მიეთითება საქონლის დასახელება და სხვა მონაცემები, რაც იძლევა საქონლის იდენტიფიცირების საშუალებას.

14. გრაფა „ტვირთის კოდი“ – ივსება სისტემის მიერ, რკინიგზის მონაცემთა ბაზიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში რედაქტირდება. გრაფაში მიეთითება საქონლის კოდი სეს ეს- ის შესაბამისად:

ა) ორნიშნა დონეზე, ამასთან, შესაბამისი ჯგუფის ორნიშნა რიცხვის მითითების შემდეგ აღინიშნება „00“;

ბ) ოთხნიშნა დონეზე – იმ საქონელზე, რომლის შემოტანას/გატანას ესაჭიროება ლიცენზია/ ნებართვა/ სერტიფიკატი, ასევე მსუბუქი ავტომანქანის შემთხვევაში;

გ) რვანიშნა დონეზე – აქციზური საქონლის (გარდა მსუბუქი ავტომანქანისა), აგრეთვე ნავთობის მსუბუქი, საშუალო, მძიმე დისტილატების შემთხვევაში.

დ) ხუთზე მეტი დასახელების საქონლის მითითების აუცილებლობისას, მიეთითება 5 საქონლის კოდი.

15. გრაფა „ტვირთის რაოდენობა“ – მიეთითება სატვირთო ადგილების რაოდენობა და შეფუთვის სახე.

16. გრაფა „ბრუტო“ – ივსება სისტემის მიერ რკინიგზის მონაცემთა ბაზიდან მიღებული საქონლის ბრუტო წონით.

17. გრაფა „ნეტო“ – მიეთითება საქონლის ნეტო წონა კილოგრამებში სატრანსპორტო დოკუმენტაციის მიხედვით (სატრანსპორტო დოკუმენტაციაში ნეტო წონის შესახებ სხვადასხვა მონაცემის არსებობის შემთხვევაში გრაფაში მიეთითება უმცირესი მონაცემი), რომელიც მოიცავს საქონლის წონას ყველა სახის შეფუთვის გარეშე.

18. გრაფა „დეკლარაციის ნომერი“ – ივსება წინასწარი დეკლარირების შემთხვევაში. როდესაც დეკლარაციას განესაზღვრება მწვანე ან ლურჯი დერეფანი, გრაფაში მიეთითება: „დეკლარაციის შეფასების ნომერი/A“, ხოლო ყვითელი ან წითელი დერეფნის შემთხვევაში – „დეკლარაციის რეგისტრაციის ნომერი/C“.

19. გრაფა „კონტეინერის სუფიქსი და ნომერი“ – ივსება სისტემის მიერ რკინიგზის მონაცემთა ბაზიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და მიეთითება – კონტეინერის სუფიქსი და ნომერი.

20. გრაფა „კონტროლის შედეგი“ – მიეთითება:

ა) A1 – როცა სასაზღვრო საგადასახადო ორგანოში განხორციელებული სატრანსპორტო საშუალების გარეგანი (ვიზუალური) დათვალიერების შედეგად საბაჟო კონტროლის შედეგი დამაკმაყოფილებელია;



ბ) A3 – როცა სასაზღვრო საგადასახადო ორგანოში განხორციელებული სატრანსპორტო საშუალების გარეგანი (ვიზუალური) დათვალიერების შედეგად საბაჟო კონტროლის შედეგი არადამაკმაყოფილებელია და საქონელი ექვემდებარება დათვალიერებას;

გ) B – როცა სკანირების შედეგად საბაჟო კონტროლის შედეგი დამაკმაყოფილებელია;

დ) C – როცა სკანირების შედეგად საბაჟო კონტროლის შედეგი არადამაკმაყოფილებელია და საქონელი ექვემდებარება დათვალიერებას.

### 21. გრაფა „საბაჟო ლუქები“:

ა) პირველ განყოფილებაში მიეთითება შემდეგი კოდირებული მონაცემები:

ა.ა) 0 – თუ არ არის საჭირო ლუქების დადება;

ა.ბ) 1 – როდესაც სარკინიგზო ზედნადებში არ არის მითითებული ლუქების შესახებ ინფორმაცია;

ა.გ) 2 – როდესაც სარკინიგზო ზედნადებში მითითებულია ლუქების შესახებ ინფორმაცია;

ა.დ) 3 – თუ გამგზავნი საგადასახადო ორგანოში წარდგენილ სატრანსპორტო საშუალებაზე უკვე დადებულია ლუქები და გამგზავნი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ არ ხდება სატრანსპორტო საშუალების გადალუქვა;

ა.ე) 4 – თუ გამგზავნი საგადასახადო ორგანოში წარდგენილ სატრანსპორტო საშუალებაზე არ არის დადებული ლუქები და გამგზავნი საგადასახადო ორგანოს მიერ ხდება სატრანსპორტო საშუალების დალუქვა;

ა.ვ) 5 – თუ გამგზავნი საგადასახადო ორგანოში წარდგენილ სატრანსპორტო საშუალებაზე დადებულია ლუქები და გამგზავნი საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ხდება სატრანსპორტო საშუალების დამატებით დალუქვა;

ბ) მეორე განყოფილება ივსება პირველ განყოფილებაში კოდირებული მონაცემი „4“-ის ან „5“-ის ჩაწერისას და მიეთითება გამგზავნი საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის მიერ დადებული იდენტიფიკაციის საშუალებ(ებ)ის ტიპი („1“ – ძალოვანი ლუქის შემთხვევაში, „2“ – მწერავი ლენტის შემთხვევაში), ხოლო მძიმის შემდეგ ნომერი. რამდენიმე იდენტიფიკაციის საშუალების შემთხვევაში მიეთითება თითოეულის ნომერი სრულად, რომლებიც ერთმანეთისგან გამოიყოფა წილადის ხაზით, ხოლო თუ ისინი თანმიმდევრობითაა აღებული, პირველი ნომერი ჩაიწერება სრულად, მომდევნო იდენტიფიკაციის საშუალებებზე კი მხოლოდ ნომრ(ებ)ის ბოლო ორი ციფრი, რომლებიც ერთმანეთისგან გამოიყოფა წილადის ხაზებით. ამასთან:

ბ.ა) იდენტიფიკაციის საშუალებ(ებ)ის ნომერი/ნომრები მიეთითება მხოლოდ ციფრებით;

ბ.ბ) კოდირებული მონაცემი „5“-ის შემთხვევაში, გამგზავნი საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის მიერ დადებული იდენტიფიკაციის საშუალებ(ებ)ის მონაცემების მითითების შემდეგ აღინიშნება მძიმე და გამგზავნ საგადასახადო ორგანოში წარდგენილ სატრანსპორტო საშუალებაზე არსებული იდენტიფიკაციის საშუალებ(ებ)ის მონაცემები;

22. გრაფა „დოკუმენტის ტიპი“ – მიეთითება საგადასახადო ორგანოში წარდგენილი დოკუმენტების კოდები კლასიფიკატორის მე-10 ნაწილის შესაბამისად. საქონლის X-RAY რენტგენული ინსპექტირების სისტემის განთავსების ადგილის დანიშნულებით გადაადგილებისას მიეთითება:

ა) „XRS01“ – გაფორმების ეკონომიკური ზონა „ ბათუმის“ ( სოფ. ადლია) კონტროლის ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სტაციონარული სკანერის შემთხვევაში;

ბ) „XRS02“ – საბაჟო გამშვები პუნქტი „წითელი ხიდის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სტაციონარული სკანერის შემთხვევაში;

გ) „XRS03“ – საბაჟო გამშვები პუნქტი „ყაზბეგის“ კონტროლის ზონაში განთავსებული სტაციონარული სკანერის შემთხვევაში;

დ) „XRS04“ – საბაჟო გამშვები პუნქტი „ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სტაციონარული სკანერის შემთხვევაში;

ე) „XRS05“ – საბაჟო გამშვები პუნქტი „გარდაბნის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სტაციონარული სარკინიგზო სკანერის შემთხვევაში;

ვ) „XRS06“ – მობილური სკანერის (ZBV) შემთხვევაში;

ზ) „XRS07“ – მობილური სკანერის (1213) შემთხვევაში;

თ) „XRS08“ – მობილური სკანერის (EAGLE M60) შემთხვევაში;

ი) „XRS09“ – მობილური სკანერის (1213LC) შემთხვევაში;

კ) „XRS10“ – საბაჟო გამშვები პუნქტი „ლაგოდეხის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სტაციონარული სკანერის შემთხვევაში;

ლ) „XRS11“ – საბაჟო გამშვები პუნქტი „ვალეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სტაციონარული სკანერის შემთხვევაში;

მ) „XRS12“ – საბაჟო გამშვები პუნქტი „სადახლოს“ კონტროლის ზონაში განთავსებული სტაციონარული სკანერის შემთხვევაში;

ნ) „XRS13“ – საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდის“ მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული სტაციონარული სკანერის შემთხვევაში;

23. გრაფა „დოკუმენტის ნომერი“ მიეთითება:

ა) წარდგენილი დოკუმენტის ინდივიდუალური ნომერი;

ბ) სამართალდარღვევის ოქმის ნომერი.



24. გრაფა „დამატებითი ინფორმაცია გამგზავნი საგადასახადო ორგანო“ – გამგზავნი საგადასახადო ორგანოს მიერ მიეთითება ინფორმაცია, რომელიც სტანდარტულ გრაფებში ვერ მოხვდა და მისი მითითება აუცილებელია საბაჟო კონტროლის განხორციელების უზრუნველსაყოფად. სატრანსპორტო საშუალების გამგზავნ საგადასახადო ორგანოში აწონვის შემთხვევაში მიეთითება წონა ციფრული კვ-ში.

25. გრაფა „დამატებითი ინფორმაცია დანიშნულების საგადასახადო ორგანო“ – დანიშნულების საგადასახადო ორგანოს მიერ მიეთითება:

ა) ინფორმაცია, რომელიც სტანდარტულ გრაფებში ვერ მოხვდა და მისი შეტანა აუცილებელია საბაჟო კონტროლის განხორციელების უზრუნველსაყოფად;

ბ) A1 – როცა სატრანსპორტო საშუალების გარეგანი (ვიზუალური) დათვალიერების შედეგად დასტურდება სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული იდენტიფიკაციის საშუალების მთლიანობა;

გ) A2 – როცა არ ხდება სატრანსპორტო საშუალების გარეგანი (ვიზუალური) დათვალიერება.

26. გრაფა „მიმდინარე სტატუსი“ – ივსება სისტემის მიერ, გრაფაში „აირჩიეთ სტატუსი“ შესაბამისი სტატუსის მითითების შედეგად.

27. გრაფა „აირჩიეთ სტატუსი“ – გრაფაში ინტეგრირებული მზა მონაცემებიდან მიეთითება ერთ-ერთი შემდეგი სტატუსი:

ა) „აყვანილია კონტროლზე“ – შესაძლებელია სარკინიგზო ვაგონში/კონტეინერში განთავსებული ტვირთის შემდგომი გადაადგილება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე;

ბ) „უარყოფილია“ – დაუშვებელია სარკინიგზო ვაგონში/კონტეინერში განთავსებული ტვირთის შემდგომი გადაადგილება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე;

გ) „დროებით შეჩერებულია“ – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე სარკინიგზო ვაგონში/კონტეინერში განთავსებული ტვირთის გადაადგილება შეჩერებულია, ვიდრე აღნიშნულ ვაგონს/კონტეინერს მიენიჭება სტატუსი „აყვანილია კონტროლზე“ ან „უარყოფილია“;

დ) „გამოცხადებულია რკინიგზაზე“ – ვაგონში/კონტეინერში განთავსებული ტვირთის გამოცხადება დასტურდება საბაჟო კონტროლის ზონაში განთავსებული რკინიგზის სადგურის მიერ;

ე) „გამოცხადებულია საგადასახადო ორგანოში“ – ვაგონში/კონტეინერში განთავსებული ტვირთის გამოცხადება დასტურდება საბაჟო საწყობის ან საგადასახადო ორგანოს მიერ;

ვ) „გამოცხადებულის უარყოფა“ – ტვირთის გამოცხადების შეცდომით დადასტურების შემთხვევაში ხორციელდება გამოცხადების გაუქმება, შესაძლებელია საქონლის გამოცხადების ხელმეორედ დადასტურება;

ზ) „მოხსნილია კონტროლიდან“ – საბაჟო კონტროლი საქონლის გადაადგილებაზე დასრულებულია;

თ) „გაუქმებულია“ – უქმდება ვაგონში/კონტეინერში განთავსებული ტვირთის შესახებ შესაბამისი ჩანაწერი.

28. გრაფა „სტატუსის თარიღი“ – ივსება სისტემის მიერ ავტომატურად და მასში მიეთითება სტატუსის მინიჭების თარიღი და დრო.

29. გრაფა „გამოცხადების ვადა“ – ივსება სისტემის მიერ გრაფის „გამოცხადების ვადის ცვლილება“ შევსების შედეგად და მიეთითება დანიშნულების საგადასახადო ორგანოში ან დანიშნულების ადგილზე გამოცხადების თარიღი.

30. გრაფა „გამოცხადების ვადის ცვლილება“ – გრაფის მეშვეობით, სისტემაში ინტეგრირებული კალენდრიდან გამგზავნი საგადასახადო ორგანოს მიერ ამოირჩევა გამოცხადების თარიღი.

31. გრაფა „მებაჟე-ოფიცერი“ – ივსება სისტემის მიერ და გრაფაში მიეთითება:

ა) სტატუსის ან/და ცვლილების ავტორი მებაჟე-ოფიცრის სახელი და გვარი;

ბ) საქონლის გამოცხადების რკინიგზის მიერ დადასტურების შემთხვევაში – შესაბამისი სტატუსის მიმნიჭებელი რკინიგზის სადგურის დასახელება და კოდი;

გ) საქონლის გამოცხადების საბაჟო საწყობის მიერ დადასტურების შემთხვევაში – საბაჟო საწყობის/შენახვის სხვა ადგილის დასახელება და კოდი.

32. გრაფა „ტერმინალის კოდი/დასახელება“ – ივსება სისტემის მიერ და მიეთითება იმ საბაჟო საწყობის/შენახვის სხვა ადგილის კოდი და დასახელება, რომელმაც მოახდინა საქონლის გამოცხადების დადასტურება.

33. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ამ მუხლის მე-2, მე-3, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-16 და მე-20 პუნქტებით გათვალისწინებული გრაფების რედაქტირება.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №33218 - ვებგვერდი, 07.09.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 4 მარტის ბრძანება №5590 - ვებგვერდი, 10.03.2016წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 27 ოქტომბრის ბრძანება №29290 - ვებგვერდი, 31.10.2016წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 7 ნოემბრის ბრძანება №29630 - ვებგვერდი, 08.11.2017წ.

## მუხლი 8. TIR წიგნაკის რეგისტრაცია

1. TIR წიგნაკით გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემთხვევაში გამგზავნი საგადასახადო ორგანო ან სისტემაში დაშვებული პირი უზრუნველყოფს TIR წიგნაკის შესახებ მონაცემების ელექტრონულად შეტანას მოწმობის ელექტრონულ ფორმატში . წიგნაკის შესაბამის ( თეთრ და მწვანე ) ფურცლებზე და ყუაზე აღინიშნება ASYCUDA- ს მიერ მინიჭებული „D“ ნომერი . საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი , მონაცემთა დადასტურების მიზნით , აწერს ხელს , მიუთითებს შევსების თარიღს და სვამს პირადნომრიან ბეჭედს ან საბაჟო დეპარტამენტის შესაბამისის ტრუქტურული ერთეულის / ქვედანაყოფის მრგვალ ბეჭედს.



2. TIR წიგნაკის მოსახევი ( მწვანე ) ფურცლის უკანა გვერდი გამოიყენება სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოების შენიშვნების, აღნიშვნებისა და დამღებისათვის, ხოლო საქონლის დაბრუნებისას საგადასახადო ორგანოს მიერ დამღის - „დაბრუნებულია საქონელი“ დასმისთვის.

3. TIR წიგნაკის კონტროლიდან ხსნის დანიშნულების საგადასახადო ორგანო, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. კონტროლიდან მოხსნის მიზნით, TIR წიგნაკის 27-ე გრაფაში მიეთითება „ASYCUDA“-ს მიერ მინიჭებული „R“ ნომერი; 28-ე გრაფაში დაესმება საგადასახადო ორგანოს დამღა „მოხსნილია კონტროლიდან“, ხოლო დამღაში შესაბამის ადგილზე მიეთითება კონტროლიდან მოხსნის თარიღი, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერა და პირადნომრიანი ბეჭედი ან საბაჟო დეპარტამენტის შესაბამისის ტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის მრგვალი ბეჭედი. ამასთან, მოწმობის ელექტრონულ ფორმატში „I“ გრაფის განყოფილებაში „შენიშვნა“ საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი უთითებს ტრანზიტული ტვირთის გადამზიდავი სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის/მძღოლის მიერ წარდგენილი გზათსარგებლობის საფასურის საბანკო დაწესებულებაში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის ან გზათსარგებლობის საფასურის ბარათის მონაცემებს;

4. საქართველოს საწარმოს საწყობში (შენახვის სხვა ადგილზე) დროებით შენახვისა და იმპორტის სასაქონლო ოპერაციისათვის განკუთვნილი, ახალი (საქართველოში შემოტანამდე დაურეგისტრირებელი) სეს ესნ-ს 8429, 8701, 8702, 8704, 8705, 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების (რომლის შეგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ<sup>3</sup>-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავის შემთხვევაში - მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელების და ნახევრადმისაბმელების ან/და 8703 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების გადამზიდ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე TIR წიგნაკს კონტროლიდან ხსნის საბაჟო გამშვები პუნქტი, რომლის გავლითაც ცარიელი ავტოსატრანსპორტო საშუალება ტოვებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიას. კონტროლიდან მოხსნის მიზნით, ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ, საბაჟო გამშვებ პუნქტს წარდგინება სასაქონლო პარტიაში შემავალ ყველა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გაფორმებული საბაჟო დეკლარაციების ეზემპლარები.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 24 ოქტომბრის ბრძანება № 22683 - ვებგვერდი, 02.11.2012 წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 25 აპრილის ბრძანება №17494 - ვებგვერდი, 25.04.2013 წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 27 ოქტომბრის ბრძანება №29290 - ვებგვერდი, 31.10.2016 წ.

## მუხლი 9. პირის დაშვება „ASYCUDA“-ში, „ORACLE“-ში და სპეციალური სატვირთო საბაჟო დეკლარაციის მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემაში

1. საქართველოს საწარმო ან მეწარმე ფიზიკური პირი, რომელსაც გააჩნია შემოსავლების სამსახურის შესაბამის სერვერთან მიერთების შესაძლებლობა, მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა „ASYCUDA“-ში, ან მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა „ORACLE“-ში დაშვების მიზნით, შემოსავლების სამსახურს წარუდგენს შესაბამის განცხადებას (დანართი №I-01 და დანართი №I-02).

2. არასრულად შევსებული განცხადება უბრუნდება განცხადებელს, განცხადების რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში და, იმავდროულად, განესაზღვრება ხარვეზის აღმოფხვრის ვადაც.

3. განცხადებით გათვალისწინებული ინფორმაციის სრულყოფილად წარმოდგენიდან (განცხადების რეგისტრაციიდან) ხუთი დღის ვადაში, შემოსავლების სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ მიიღება გადაწყვეტილება პირის მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა „ASYCUDA“-ში ან/და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა „ORACLE“-ში დაშვების თაობაზე, ხოლო დაშვებისთვის აუცილებელი მონაცემები სისტემაში (სისტემებში) დაშვებულ პირს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს ეგზავნება მათ მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

4. მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა „ASYCUDA“-ში ან/და მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა „ORACLE“-ში დაშვების შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველია:

ა) განცხადების რეგისტრაციიდან 12 კალენდარული თვის განმავლობაში საგადასახადო ორგანოში სისტემაში დაშვებული პირის მიერ შევსებული საბაჟო დეკლარაციის დაურეგისტრირებლობა;

ბ) სისტემაში დაშვებული პირის მიმართ საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმის ან/და გაფორმების პროცედურების განხორციელებისას წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულების კანონმდებლობით დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრებული იქნება ამ ჯარიმის ან საგადასახადო ვალდებულების დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება;

გ) სისტემაში დაშვებული პირის მიერ გაფორმების პროცედურების განხორციელებისას დანაშაულის ჩადენის ფაქტის დადასტურება ან კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების არსებითი ან/და ბოლო ერთი წლის განმავლობაში არაერთჯერადი დარღვევა;

დ) სისტემაში საბაჟო დეკლარაციის უშუალოდ შემვსები ფიზიკური პირების შეცვლის შემთხვევაში ინფორმაციის მიუწოდებლობა, ცვლილების განხორციელებიდან 20 კალენდარულ დღეში.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 18 დეკემბრის ბრძანება №29453 - ვებგვერდი, 25.12.2012 წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 6 თებერვლის ბრძანება №4257 - ვებგვერდი, 18.02.2013 წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 25 ივნისის ბრძანება №28763 - ვებგვერდი, 10.05.2013 წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 20 იანვრის ბრძანება №2516 - ვებგვერდი, 27.01.2014 წ.



## **მუხლი 10. ავტოსატრანსპორტო საშუალების აღრიცხვის მოწმობის გრაფების შევსების წესი**

1. მოწმობის გრაფები ივსება გრაფის დასახელებების შესაბამისად, ამასთან:

ა) გრაფა 1. „ექსპორტიორი” – აღინიშნება სატრანსპორტო საშუალების გამგზავნის შესახებ მონაცემები: იურიდიული პირის სრული სახელწოდება, მისამართი, საიდენტიფიკაციო ნომერი; ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, მისამართი, პირადი ნომერი ან საიდენტიფიკაციო ნომერი.

ბ) გრაფა 2. „წარმომადგენელი” – აღინიშნება სატრანსპორტო საშუალების გადამადგილებელი პირის (მდოლის) სახელი და გვარი, პირადი ნომერი და მისამართი.

გ) გრაფა 3. „დანიშნულების ქვეყანა” – მიეთითება დანიშნულების ქვეყნის მოკლე დასახელება და კოდი.

დ) გრაფა 9. „წინმსწრები დოკუმენტი” – მიეთითება წინმსწრები მოწმობის ან TIR წიგნაკის ნომერი.

ე) მე-12 გრაფაში მისათითებელი, საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლის მიტანის საბოლოო თარიღი აითვლება მოწმობის რეგისტრაციის თარიღიდან 45 კალენდარული დღით;

ვ) გრაფა R. „ოპერაცია” – გრაფაში მიეთითება საქონლის რეესპორტის სასაქონლო ოპერაციის კოდი „11-74”.

2. D გრაფაში საბაჟო გამშვები პუნქტის ან საბაჟო საწყობის მიერ დაესმება დამდა „მოხსნილია კონტროლიდან”. დამდაში მითითებულ ადგილზე პასუხისმგებელი თანამშრომელი აწერს ხელს, უთითებს კონტროლიდან მოხსნის თარიღს და ამოწმებს პირადნომრიანი ბეჭდით.

3. სატრანსპორტო საშუალების გაყიდვის ხელშეწყობის მიზნით საბაჟო საწყობიდან ან საქონლის დროებით შენახვის სხვა ადგილიდან დროებით გატანის ან/ და სხვა საბაჟო საწყობამდე ან დროებით შენახვის სხვა ადგილამდე გადაადგილების შემთხვევაში , მოწმობის მე -3 გრაფა არ ივსება , ამასთან :

ა) გრაფა 1. „ექსპორტიორი” – აღინიშნება სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის შესახებ მონაცემები: იურიდიული პირის სრული სახელწოდება, მისამართი, საიდენტიფიკაციო ნომერი; ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, მისამართი, პირადი ნომერი ან საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) მე-12 გრაფაში მისათითებელი, სატრანსპორტო საშუალების საბაჟო საწყობში ან დროებით შენახვის სხვა ადგილზე დაბრუნების/იმპორტის ან რეესპორტის სასაქონლო ოპერაციის გამოყენების /სხვა საბაჟო საწყობამდე ან დროებით შენახვის სხვა ადგილამდე გადაადგილების ვადა განისაზღვრება – არა უმეტეს 48 საათით;

გ) გრაფა R. „ოპერაცია” – გრაფაში მიეთითება დამხმარე კოდი „74-74”.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 10 მაისის ბრძანება №19867 - ვებგვერდი, 10.05.2013წ.

## **მუხლი 11. საბაჟო კონტროლის სპეციალური საშუალება**

1. საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების ამსახველი ელექტრონული ფორმატის სურათის ელექტრონულ მოწმობაში სავალდებულო ასახვის მიზნით, შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ საგადასახადო ორგანოებში ხორციელდება ტვირთის X-RAY რენტგენული ინსპექტირების სისტემების ან სხვა ელექტრონული სისტემების დანერგვა და გამოყენება.

2. ტვირთის X-RAY რენტგენული ინსპექტირების სისტემების ან სხვა ელექტრონული სისტემების მეშვეობით მიღებული სურათის ელექტრონულ მოწმობაში ასახვის წესი განისაზღვრება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით.

**დანართი №I-01**

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს -

შემოსავლების სამსახურს

განმცხადებელი: (შემოხაზეთ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელს წარმოადგენთ)

საწარმოს ხელმძღვანელი ( დირექტორი ) / მისი წარმომადგენელი

მეწარმეფიზიკურიპირი / მისი წარმომადგენელი

განმცხადებლის დასახელება ( ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი და გვარი ),

განმცხადებლის მისამართი, საიდენტიფიკაციო №

განმცხადებლის ტელეფონი/ფაქსი

მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა „ASYCUDA”- ში დაშვების შესახებ

განკხადება



გთხოვთ, უზრუნველყოთ მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა „ASYCUDA“ - ში დაშვება საგადასახადო ორგანოს შემდეგ კოდზე:

---

### მიუთითეთ საგადასახადო ორგანოს კოდი, რომელზედაც გსურთ დაშვება

---

მიუთითეთ იმ ფიზიკური პირის (პირების) საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომელთა მიერ უშუალოდ შეივსება სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია:

---

ფიზიკური პირის სახელი, გვარი

---

მოქალაქის პირადობის მოწმობის სერია, ნომერი, პირადი ნომერი

---

მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი

(რამდენიმე ფიზიკური პირის შემთხვევაში განცხადებას დაურთეთ ამ პირების შესახებ აღნიშნული მონაცემები)

სისტემაში დაშვებული პირის (პირების) სტატუსი:

1. უშუალოდ დეკლარანტი	შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი სტატუსი
2. პირდაპირი წარმომადგენელი	
3. ირიბი წარმომადგენელი	
4. მხოლოდ ტრანზიტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციასთან დაკავშირებული პროცედურები	მე-4 პოზიცია შემოხაზეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ აპირებთ მხოლოდ ტრანზიტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელებას მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემა „ASYCUDA“-ს მეშვეობით

დანართი: \_\_\_\_\_

ფურცლების რაოდენობა

**შენიშვნა:** თუ საწარმოს/ორგანიზაციის ან მეწარმე ფიზიკური პირის სახელით მოქმედებთ და ხართ მასთან დასაქმებული პირი, განცხადებას აუცილებლად დაურთეთ საწარმოს/ორგანიზაციის ხელმძღვანელის (დირექტორის) ან მეწარმე ფიზიკური პირის მიერ ხელმოწერილი, წარმომადგენლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი დაწარმოდგენილ პირთან თქვენი დასაქმების დამადასტურებელი დოკუმენტი.

განმცხადებლის ხელმოწერა და  
არსებობის შემთხვევაში ბეჭედი : -----

თარიღი: -----

**დანართი №I-02**

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს -  
შემოსავლების სამსახურს

განმცხადებელი: (შემოხაზეთ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელს წარმოადგენთ)  
საწარმოსხელმძღვანელი (დირექტორი) / მისი წარმომადგენელი  
მეწარმეფიზიკურიპირი / მისი წარმომადგენელი

განმცხადებლის დასახელება (ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი და გვარი),



## მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა „ORACLE“ - ში დაშვების შესახებ

### განცხადება

გთხოვთ, უზრუნველყოთ მონაცემთა ბაზების მართვის სისტემა „ORACLE“ - ში დაშვება საგადასახადო ორგანოს შემდეგ კოდზე:

მიუთითეთ საგადასახადო ორგანოს კოდი, რომელზედაც გსურთ დაშვება

მიუთითეთ იმ ფიზიკური პირის (პირების) საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომელთა მიერ უშუალოდ შეიღება საბაჟო დეკლარაცია:

ფიზიკური პირის სახელი, გვარი

მოქალაქის პირადობის მოწმობის სერია, ნომერი, პირადი ნომერი

მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი

(რამდენიმე ფიზიკური პირის შემთხვევაში განცხადებას დაურთეთ ამ პირების შესახებ აღნიშნული მონაცემები)

სისტემაში დაშვებული პირის (პირების) სტატუსი:

1. უშუალოდ დეკლარანტი	შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი სტატუსი
2. პირდაპირი წარმომადგენელი	
3. ირბი წარმომადგენელი	

დანართი: \_\_\_\_\_

ფურცლების რაოდენობა

**შენიშვნა:** თუ საწარმოს/ორგანიზაციის ან მეწარმე ფიზიკური პირის სახელით მოქმედებთ და ხართ მასთან დასაქმებული პირი, განცხადებას აუცილებლად დაურთეთ საწარმოს/ორგანიზაციის ხელმძღვანელის (დირექტორის) ან მეწარმე ფიზიკური პირის მიერ ხელმოწერილი, წარმომადგენლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი დაწარმოდგენილ პირთან თქვენი დასაქმების დამადასტურებელი დოკუმენტი.

განცხადებლის ხელმოწერა და  
არსებობის შემთხვევაში ბეჭედი : -----  
თარიღი: -----

დანართი №I-03(ამოღებულია - 20.01.2014, №2516)

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 18 დეკემბრის ბრძანება №29453 - ვებგვერდი, 25.12.2012წ.  
შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 6 თებერვლის ბრძანება №4257 - ვებგვერდი, 18.02.2013წ.  
შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 20 იანვრის ბრძანება №2516 - ვებგვერდი, 27.01.2014წ.



შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება №44089 - ვებგვერდი, 03.11.2014წ.



## შემოსავლების სამსახური

### საბაჟო დეპარტამენტის

(სტრუქტურული ერთეული)

#### შეტყობინება საქონლის განკარგვის განზრახვის თაობაზე

(დეკლარაციის დასახელება/ გვარი, სახელი)

(საიდენტ./პირადი/პასპ. №)

(მისამართი)

#### თუ თქვენ მიერ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილ საქონელზე

(საქონლის დასახელება)

#### ზოგადი დეკლარირებისათვის დადგენილ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი

(დოკუმენტის დასახელება)

დამატებით გეძლევათ 3 სამუშაო დღის ვადა, რომლის განმავლობაშიც უნდა უზრუნველყოთ მითითებული დოკუმენტის წარმოდგენა ან საქონლის უკან დაბრუნება ან რეექსპორტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემოსავლების სამსახური განახორციელებს საქონლის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას ან უზრუნველყოფს საქონლის განადგურებას.

#### საქონელი ნიშანდებულია

( იდენტ. საშუალების დასახელება და № )

#### ჩავაბარე

(უფლებამოსილი თანამშრომლის სახელი, გვარი, თანამდებობა, ხელმოწერა)

#### ჩავიბარე

(დეკლარაციის ხელმოწერა)

#### თარიღი

;

#### თავი II. დროებით შენახვის განაცხადის შევსება და კონტროლიდან მოხსნა

##### მუხლი 12. დროებით შენახვის განაცხადის შევსება

1. დროებით შენახვის განაცხადი (შემდგომში – განაცხადი) ივსება სატრანსპორტო დოკუმენტებში ან/და ზოგადი დეკლარირებისათვის წარსადგენ დოკუმენტებში ან/და წინმსწრებ დოკუმენტში, ხოლო საბაჟო საწყობში დროებით შენახულ საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემისას – ასევე ახალი მესაკუთრის მიერ წარდგენილ დოკუმენტებში არსებული მონაცემების საფუძველზე. ასეთი დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში, საქონელი ექვემდებარება სრულ დათვალიერებას და განაცხადი ივსება დათვალიერების შედეგების საფუძველზე.

2. განაცხადი გაიცემა 2 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი განკუთვნილია საქონლის მფლობელისათვის,



### **მუხლი 13. დროებით შენახვის განაცხადის გრაფების შევსების წესი**

1. განაცხადის შევსებისას საბაჟო საწყობ ის (დროებით შენახვის ადგილის) მფლობელის ან დეკლარანტის (საქონლის მფლობელის ან/და მესაკუთრის) მიერ ივსება შემდეგ გრაფები: A, 1, 2, 3, 5, 6, 7, 8, 9, 11, 14, 15, 15ა, 16, 17, 17ა, 18, 19, 21, 22, 23, 24, 25, 26, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 37, 38, 40, 42, 43, 44, 45, 46, 49, 50, 54.

2. გრაფა „A” – აღინიშნება საგადასახადო ორგანოს ხუთნიშნა ციფრული კოდი და დასახელება კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის შესაბამისად. განაცხადის რეგისტრაციას ნომრისა და თარიღის მინიჭებით ახორციელებს დეკლარანტი ან საბაჟო საწყობ ის მფლობელი, ან წარმომადგენელი, აგრეთვე საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი, როდესაც დეკლარანტი ან მისი წარმომადგენელი თხოვნით მიმართავს განაცხადის შევსების თაობაზე.

3. გრაფა 1 „განაცხადი” – პირველ განყოფილებაში ჩაიწერება ოპერაციის დასახელება – „გან.”, მეორეში – ციფრული კოდი „7”.

4. გრაფა 2 „ექსპორტიორი” – საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას აღინიშნება საქონლის გამომგზავნის რეკვიზიტები, იურიდიული პირის და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის სახელწოდება და მისამართი (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი). საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანისას გრაფაში აღინიშნება საქონლის გამგზავნის რეკვიზიტები ამ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად.

5. გრაფა 3 „ფორმები” – პირველ განყოფილებაში აღინიშნება ფურცლის რიგითი ნომერი, მეორეში – განაცხადის ფურცლების საერთო რაოდენობა ძირითადი და დამატებითი ფურცლების ჩათვლით (მაგალითად, თუ გვაქვს ერთი განაცხადი ორი დამატებითი ფურცლით, მაშინ ძირითადი ფურცლის მე-3 გრაფის პირველ განყოფილებაში უნდა აღინიშნოს - 1, მეორე განყოფილებაში - 3, პირველ დამატებით ფურცელში - 2 და 3, მეორეში - 3 და 3).

6. გრაფა 5 „საქონლის რაოდენობა” – მიეთითება წარმოდგენილ განაცხადში გაცხადებული უკანასკნელი საქონლის რიგითი ნომერი.

7. გრაფა 6 „ადგილების რაოდენობა” – აღინიშნება დეკლარირებული საქონლის (სასაქონლო პარტიის) ადგილების საერთო რაოდენობა, რაც მოცემულია სატრანსპორტო დოკუმენტებში. საქონლისათვის, რომელიც გადაიზიდება კონტეინერებით, ყუთებით, ქვეშით და ა.შ. მიეთითება რაოდენობა იმ უმცირესი შეფუთვისა, რომელიც მოცემულია სატრანსპორტო დოკუმენტებში, როგორც სატვირთო ადგილი.

8. გრაფა 7 „საცნობარო ნომერი” – აღინიშნება განაცხადის შემვსების მიერ განაცხადისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

9. გრაფა 8 „იმპორტიორი” – აღინიშნება საქონლის მიმღების შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

ა) როცა განსაზღვრულია საქონლის მიმღები და თუ იგი წარმოადგენს:

ა.ა) იურიდიულ პირს ან სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნს, გრაფაში აღინიშნება მისი სრული სახელწოდება, მისამართი, ტელეფონის ან ფაქსის ნომერი, ხოლო გრაფის ზედა ნაწილში „№” ნიშნის შემდეგ აღინიშნება საქონლის მიმღების საიდენტიფიკაციო ნომერი;

ა.ბ) ფიზიკურ პირს, გრაფაში აღინიშნება მისი სახელი, გვარი, მისამართი, ხოლო გრაფის ზედა ნაწილში „№” ნიშნის შემდეგ აღინიშნება პირადი ნომერი;

ა.გ) არარეზიდენტ ფიზიკურ პირს, გრაფის ზედა ნაწილში „№” ნიშნის შემდეგ აღინიშნება საქონლის მიმღები არარეზიდენტი ფიზიკური პირის ცხრანიშნა საიდენტიფიკაციო ნომერი;

ა.დ) არარეზიდენტ იურიდიულ პირს, გრაფის ზედა ნაწილში „№” ნიშნის შემდეგ აღინიშნება „0”, ხოლო ქვედა ნაწილში მისი სრული სახელწოდება, მისამართი, ტელეფონის ან ფაქსის ნომერი;

ბ) თუ არ არის განსაზღვრული საქონლის მიმღები, გრაფის ზედა ნაწილში „№” ნიშნის შემდეგ აღინიშნება „0”, ხოლო ქვედა ნაწილში „–“.

10. გრაფა 9 „ფინანსურ დარეგულირებაზე პასუხისმგებელი პირი” – აღინიშნება დროებითი შენახვის ადგილის მფლობელის შემდეგი რეკვიზიტები, თუ იგი:

ა) იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციულ წარმონაქმნია, გრაფაში აღინიშნება მისი სრული სახელწოდება, მისამართი, ტელეფონის ან ფაქსის ნომერი, ხოლო გრაფის ზედა ნაწილში „№” ნიშნის შემდეგ აღინიშნება საქონლის მიმღების საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) ფიზიკური პირია, გრაფაში აღინიშნება მისი სახელი, გვარი, მისამართი, ხოლო გრაფის ზედა ნაწილში „№” ნიშნის შემდეგ – პირადი ნომერი.

11. გრაფა 11 „მოვაჭრე ქვეყანა” – აღინიშნება „0”.

12. გრაფა 14 „დეკლარანტი/წარმომადგენელი” – აღინიშნება სისტემაში დაშვებული პირის (დეკლარანტი, ან საბაჟო საწყობ ის მფლობელი, ან წარმომადგენელი) სრული სახელწოდება და მისამართი. გრაფის ზედა ნაწილში „№” ნიშნის შემდეგ აღინიშნება საქონლის მიმღების საიდენტიფიკაციო ნომერი. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ, მიეთითება „000000000”.

13. გრაფა 15 „გამომგზავნი ქვეყანა” – აღინიშნება საქართველოში საქონლის გამომგზავნი ქვეყნის მოკლე დასახელება კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. გამომგზავნი ქვეყანა განისაზღვრება სატრანსპორტო დოკუმენტებში მოყვანილი ცნობების საფუძველზე, რომელთა თანახმად ხორციელდებოდა საქონლის



საერთაშორისო გადაზიდვა.

14. გრაფა 15ა „გამომგზავნი ქვეყნის კოდი” – აღინიშნება საქართველოში საქონლის გამომგზავნი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

15. გრაფა 16 „წარმოშობის ქვეყანა” – ჩაიწერება საქონლის წარმოშობის ქვეყნის მოკლე დასახელება კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. თუ შეუძლებელია საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადგენა, გრაფაში ჩაიწერება – „უცნობია”.

16. გრაფა 17 „დანიშნულების ქვეყანა” - ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა განაცხადში ასახულ, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატან საქონელზე უკვე განსაზღვრულია სასაქონლო ოპერაცია და მიეთითება დანიშნულების ქვეყნის მოკლე დასახელება კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

17. გრაფა 17ა „დანიშნულების ქვეყნის კოდი” – აღინიშნება მე-17 გრაფაში მითითებული დანიშნულების ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

18. გრაფა 18 „სატრანსპორტო საშუალება დანიშნულების ადგილზე” – მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება იმ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა და მონაცემები, რომლითაც ხდება საქონლის მიწოდება გაფორმების ორგანომდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საპარტო ხომალდის რეისის და ბორტის ნომრები, სარკინიგზო ვაგონის ნომერი, ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო ნომერი და სხვა მსგავსი მონაცემები). გრაფის მარჯვენა განყოფილებაში უნდა ჩაიწეროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. გრაფის სრულყოფილად შევსების შეუძლებლობის შემთხვევაში, კეთდება მითითება – „იხ. უკანა გვერდზე”. განაცხადის ორივე ეგზემპლარის უკანა მხარეს აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა ნომრები.

19. გრაფა 19 „კტ” – გრაფაში აღინიშნება:

ა) თუ საქონელი იგზავნება კონტეინერით – 1, ხოლო კონტეინერის ნომრები მიეთითება განაცხადის 31-ე გრაფაში ან განაცხადის ველზე „თანმხლები დოკუმენტები“;

ბ) თუ საქონელი არ იგზავნება კონტეინერით – 0.

20. გრაფა 20 „მიწოდების პირობები” – გრაფის პირველ და მეორე განყოფილებაში აღინიშნება „0”.

21. გრაფა 21 „სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე” – მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება იმ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა და მონაცემები, რომლითაც საქონელი მიწოდებულ იქნა საქართველოს საბაჟო საზღვრამდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საპარტო ხომალდის რეისისა და ბორტის ნომრები, რკინიგზის ვაგონის ნომერი, ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი და სხვა ამგვარი მონაცემები). გრაფის სრულყოფილად შევსების შეუძლებლობის შემთხვევაში, კეთდება მითითება – „იხ. უკანა გვერდზე”. განაცხადის ორივე ეგზემპლარის უკანა მხარეს აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა ნომრები. გრაფის მარჯვენა განყოფილებაში მიეთითება სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

22. გრაფა 22 „ვალუტა და საქონლის საერთო ფაქტურული ღირებულება” – მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება - „000”, ხოლო მარჯვენა განყოფილებაში მიეთითება მე-5 გრაფაში მითითებული რიცხვი.

23. გრაფა 23 „ვალუტის კურსი” – აღინიშნება „1”.

24. გრაფა 24 „გარიგების სახე” – აღინიშნება „0”.

25. გრაფა 25 „ტსს კოდი” – ჩაიწერება 21-ე გრაფაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების კოდი კლასიფიკატორის მე-9 ნაწილის შესაბამისად.

26. გრაფა 26 „სატრანსპორტო საშუალება ქვეყანაში” – აღინიშნება მე-18 გრაფაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების კოდი კლასიფიკატორის მე-9 ნაწილის შესაბამისად.

27. გრაფა 28 „ფინანსური და საბანკო მონაცემები/სხვა ინფორმაცია“ – აღინიშნება „0“.

28. გრაფა 29 „ საბაჟო გამშვები პუნქტი ” – აღინიშნება საბაჟო გამშვები პუნქტის კოდი და დასახელება, საიდანაც შემოვიდა საქონელი საქართველოში, კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის მიხედვით.

29. გრაფა 30 „საქონლის ადგილმდებარეობა” – იმ შემთხვევაში, როდესაც დროებით დასაწყობება ხორციელდება საბაჟო საწყობ ში ან საქონლის დროებითი შენახვის სხვა ადგილებში, გრაფაში აღინიშნება ხუთ ნიშნავით კლასიფიკატორის მე-12 ნაწილის შესაბამისად.

30. გრაფა 31 „საქონლის აღწერა და რაოდენობა” –

ა) ეთითება საქონლის (სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით გადაადგილებული ნავთობპროდუქტების, ან აქციზური საქონლის გარდა) კოდი სეს ესნ-ის შესაბამისად:

ა.ა) ორნიშნა დონეზე, ამასთან, შესაბამისი ჯგუფის ორნიშნა რიცხვის მითითების შემდგომ ეთითება ორი ციფრი „00”;

ა.ბ) ოთხნიშნა დონეზე – იმ საქონელზე, რომლის შემოტანას/გატანას ესაჭიროება ლიცენზია/ნებართვა/სერტიფიკატი;

ა.გ) ხუთზე მეტი საქონლის მითითების აუცილებლობისას, მიეთითება 5 საქონლის კოდი და შემდეგ სიტყვა „სხვადასხვა”;

ბ) ქვედა ნაწილში საჭიროების შემთხვევაში ეთითება: საქონლის დასახელება და სხვა მონაცემები, რაც იძლევა საქონლის იდენტიფიცირების საშუალებას. აქვე აღინიშნება „იხილეთ თანდართული დოკუმენტები“, რომლებიც აიტვირთება განაცხადის შესაბამის ველზე – „Scan.Doc“.

31. გრაფა 32 „საქ. №” – მიეთითება 31-ე გრაფაში დეკლარირებული საქონლის რიგითი ნომერი. მაგალითად: თუ დეკლარირდება რამდენიმე დასახელების საქონელი, მაშინ განაცხადის ძირითად ფურცელში ჩაიწერება - 1,



სირველ დამატებით ფურცელზე - 2, 3, 4; მეორე დამატებით ფურცელზე - 5, 6, 7 და ა.შ. ერთი დასახელების საქონლის დეკლარირებისას გრაფაში იწერება - 1.

32. გრაფა 33 „საქონლის კოდი“ – აღინიშნება „77000000001“, ხოლო საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი და სპეციალური ანგარიშ-ფაქტურით გადაადგილებული ნავთობპროდუქტების, ან აქციზური საქონლის დეკლარირებისას – საქონლის თერთმეტნიშნა კოდი სეს ესნ-ის მიხედვით. თერთმეტნიშნა კოდის მითითობისას ივსება 41-ე გრაფა „დამატებითი ზომის ერთეული“, რომელშიც აღინიშნება საქონლის რაოდენობა იმ განზომილებაში, რომელიც სეს ესნ-ში შესაბამება საქონლის თერთმეტნიშნა კოდს.

33. გრაფა 34 „წარმოშობის ქვეყნის კოდი“ – ჩაიწერება „0“.

34. გრაფა 35 „ბრუტო (კგ)“ – აღინიშნება თანდართულ დოკუმენტებში მითითებული ბრუტო წონა. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის წონა 1კგ-ზე ნაკლებია (მაგ. ძვირფასი ლითონები), 35-ე გრაფაში ჩაიწერება 1, ხოლო საქონლის ზუსტი წონა გრამებში აღინიშნება 31-ე გრაფაში.

35. გრაფა 37 „სასაქონლო ოპერაცია“ – აღინიშნება ოთხთანრიგიანი და სამთანრიგიანი კოდი. ოთხთანრიგიანი კოდის პირველი ორი ციფრი აღნიშნავს დროებით შენახვას და ჩაიწერება „79“, მეორე ორი ციფრი – წინმსწრებ სასაქონლო ოპერაციას ან წინმსწრები განაცხადით საქონლის დროებით შენახვას და ჩაიწერება შესაბამისი სასაქონლო ოპერაციის კოდი კლასიფიკატორის პირველი ნაწილის შესაბამისად ან განაცხადით საქონლის დროებით შენახვის კოდი – „79“. თუ წინმსწრები სასაქონლო ოპერაცია ან განაცხადი არ არსებობს, მაშინ ჩაიწერება „00“. ესპორტში უკან დაბრუნების პირობით მოქცეული საქონლის დროებით შენახვის შემთხვევაში მეორე ორი ციფრის ადგილზე ჩაიწერება „12“. სამთანრიგიან კოდში ჩაიწერება „000“.

36. გრაფა 38 „ნეტო (კგ)“ – ჩაიწერება თანდართულ დოკუმენტებში მითითებული ნეტო წონა, წონის დაზუსტების საჭიროების შემთხვევაში აღინიშნება – „1“.

37. გრაფა 40 „წინმსწრები დოკუმენტი“ – გრაფაში აღინიშნება წინმსწრები განაცხადის, მოწმობის, რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობის ან დეკლარაციის ნომერი და გაფორმების წელი .

38. გრაფა 42 „საქ. ღირებულება“ – გრაფაში აღინიშნება „1“.

39. გრაფა 43 „ს.ღ.მ.“ – აღინიშნება „1“.

40. გრაფა 44 „დამატებითი ინფორმაცია“ – გრაფაში აღინიშნება განაცხადთან ერთად წარდგენილი ნებართვის ნომერი (ასეთის არსებობის აუცილებლობის შემთხვევაში) და დოკუმენტაციის ნომრები კლასიფიკატორის მე-10 ნაწილის შესაბამისად.

41. გრაფა 45 „კორექტირება“ – აღინიშნება „1“.

42. გრაფა 46 „საბაჟო ღირებულება“ – აღინიშნება „1“.

43. გრაფა 49 „საწყობის დასახელება“ – პირველ ნაწილში აღინიშნება საბაჟო საწყობის/შენახვის სხვა ადგილის საიდენტიფიკაციო კოდი, გრაფის მეორე ნაწილში მიეთითება საქონლის შენახვის ვადა დღეებში.

44. გრაფა 50 „პრინციპალი“ – მე-9 გრაფაში აღნიშნული პირი (ან მისი წარმომადგენელი) ხელმოწერით და ბეჭდის დასმით (არსებობის შემთხვევაში) ადასტურებს განაცხადში ასახული ტექსტობრივი და ციფრული ინფორმაციის სისწორეს.

45. გრაფა 54 „ადგილი და თარიღი“ – გრაფაში მიეთითება განაცხადის შევსების ადგილი და თარიღი. 54-ე გრაფაში, მე-14 გრაფაში აღნიშნული პირი ხელისმოწერით და ბეჭდის დასმით (არსებობის შემთხვევაში) ადასტურებს განაცხადში ასახული ტექსტობრივი და ციფრული ინფორმაციის სისწორეს.

46. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ივსება გრაფა „B“ – გრაფაში აღინიშნება შეფასების ნომერი და მისი მინიჭების თარიღი. აღნიშნულთან ერთად განაცხადს ავტომატურად ენიჭება შტრიხ-კოდი.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 15 მაისის ბრძანება №16554 - ვებგვერდი, 20.05.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 4 აგვისტოს ბრძანება №28959 - ვებგვერდი, 17.08.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №33218 - ვებგვერდი, 07.09.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 4 მარტის ბრძანება №5590 - ვებგვერდი, 10.03.2016წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №5828 - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 7 ნოემბრის ბრძანება №29630 - ვებგვერდი, 08.11.2017წ.

### თავი III. დათვალიერება/სინჯებისა და ნიმუშების აღება/ექსპერტიზა

#### მუხლი 14. დათვალიერების სახეები

1. დათვალიერების სახეებია:

ა) საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება;

ბ) მგზავრის პირადი ნივთების (ბარგის/ხელბარგის) დათვალიერება;

გ) მგზავრის დათვალიერება;

დ) საფოსტო გზავნილის დათვალიერება.

2. სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის ან გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის ან სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების წარდგენით საბაჟო გამშვებ პუნქტში დეკლარირებული საქონლის დათვალიერება ხორციელდება სკანირებით ან ვიზუალური დათვალიერებით, ხოლო სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვამდე ექსპორტში, რეექსპორტში ან ტრანზიტში დეკლარირებული საქართველოდან საზღვაო გზით გასატანი საყარი საქონლისა ან შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებული, სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვამდე ექსპორტში დეკლარირებული, საქართველოდან საზღვაო გზით გასატანი



შავი ლითონის ჯართისა – ვიზუალური დათვალიერებით.

3. საქონლის სახით იმ სატრანსპორტო საშუალების დათვალიერება და მისი რეკვიზიტების (საიდენტიფიკაციო მარკირების, ნომრის) შემოწმება, რომელიც იმპორტში მოქცევის მიზნით შემოდის საქართველოში და რომლის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატრანსპორტო საშუალებების სარეგისტრაციი სამსახური, შეიძლება განხორციელდეს ამავე დაწესებულების სპეციალისტების მონაწილეობით.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 3 აგვისტოს ბრძანება №28705 - ვებგვერდი, 17.08.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №31939 - ვებგვერდი, 27.08.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 20 აპრილის ბრძანება №10425 - ვებგვერდი, 25.04.2017წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2018 წლის 12 თებერვლის ბრძანება №2935 - ვებგვერდი, 15.02.2018წ.

## მუხლი 15. დათვალიერებაზე დამსწრე პირები

1. დათვალიერებას ესწრებიან:

- ა) საგადასახადო ორგანოს (საბაჟო დეპარტამენტის) უფლებამოსილი თანამშრომელი;
- ბ) დეკლარანტი – თავისი სურვილით ან საგადასახადო ორგანოს მოთხოვნით;
- გ) საქონლის და/ან სატრანსპორტო საშუალების მიმართ სხვა უფლებამოსილი პირები ან მათი წარმომადგენლები საგადასახადო ორგანოს მოთხოვნით;

დ) საბაჟო საწყობი ის ან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის პასუხისმგებელი პირი, როცა საქონელი ინახება აღნიშნულ საწყობში ან პუნქტში;

ე) ტექნიკური პერსონალი, რომლებიც აუცილებლობიდან გამომდინარე ახორციელებენ საქონლის დატვირთვა-გადმოტვირთვის ან დათვალიერებასთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოებს;

ვ) სახელმწიფო მაკონტროლებელი ან/და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები – საგადასახადო ორგანოს უფროსის გადაწყვეტილებით, შესაბამისი წერილობითი მომართვის საფუძველზე;

ზ) მოწვეული ექსპერტები, სპეციალიტები.

2. დათვალიერებისას საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი უფლება აქვთ:

ა) მოსთხოვოს დეკლარანტს საქონლის და სატრანსპორტო საშუალების წარდგენა დათვალიერების ადგილზე და დახმარების აღმოჩენა (საქონლის ტრანსპორტირების, აწონვის, საქონლის რაოდენობის განსაზღვრის, გადმოტვირთვა-დატვირთვის, გადატვირთვის, შეფუთვების გახსნისა ან ხელმეორედ შეფუთვის უზრუნველყოფა, ასევე შენობების, საცავების და სხვა ადგილების გახსნა, სადაც შესაძლებელია იმყოფებოდეს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალებები);

ბ) მიიღოს ინფორმაცია დათვალიერებაში მონაწილე პირთაგან;

გ) ამ ბრძანებით დადგენილი წესით, საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელის თანხმობით გაზარდოს დათვალიერების მოცულობა და/ან გამოიყენოს დათვალიერების უფრო დეტალური ფორმა;

დ) კანონმდებლობის შესაბამისად მოიწვიოს ექსპერტები და სპეციალისტები;

ე) აიღოს საქონლის სინჯი და/ან ნიმუში.

3. დათვალიერებისას საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი ვალდებულია:

ა) არ მიაყენოს არამართლზომიერი ზიანი საქონელსა და სატრანსპორტო საშუალებებს;

ბ) დაიცვას დეკლარანტისა და დათვალიერებაში მონაწილე სხვა პირთა უფლებები;

გ) საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების სკანირებისას:

გ.ა) სკანირების მეშვეობით მიღებული სურათი დადგენილი წესით ასახოს მოწმობის ელექტრონულ ბაზაში, ხოლო როცა მოწმობა არ ივსება – შეინახოს დოკუმენტების შენახვისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვადით.

გ.ბ) თუ სკანირების მეშვეობით მიღებული სურათი შეიცავს მონაცემებს სამართალდარღვევის ნიშნების თაობაზე, რეაგირებისთვის გადასცეს საბაჟო დეპარტამენტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს;

დ) განახორციელოს დათვალიერება გონივრულ ვადაში, დასათვალიერებელი ობიექტის, საქონლის სახეობის, რაოდენობის, დათვალიერების მოცულობისა და სხვა პირობების გათვალისწინებით;

ე) სამართალდარღვევის ფაქტის გამოვლენისას, დათვალიერების შედეგები ელექტრონულად ასახოს საბაჟო დეკლარაციის ინსპექტირების აქტში და შეადგინოს სამართალდარღვევის ოქმი.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 25 აპრილის ბრძანება №17494 - ვებგვერდი, 25.04.2013წ.

## მუხლი 16. საქონლის დათვალიერება

1. საქონლის დათვალიერება შესაძლებელია საბაჟო კონტროლის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე და მისი მიზანია: საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაცია, აკრძალული საქონლის შემოტანა/გატანის ან/და ფარულად გადაადგილების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა, საქონლის მიმართ სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების გატარება, დეკლარირებული საქონლისთვის მინიჭებული სეს ესნის კოდის სისწორის განსაზღვრა.

2. საქონლის დათვალიერება ხორციელდება საბაჟო კონტროლის ზონაში:

ა) ტექნიკური საშუალების – რენტგენული ინსპექტირების სისტემის (სკანერის) გამოყენებით (შემდგომში – სკანირება) ან/და

ბ) ლუქების, შტამპებისა და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების მოხსნითა და სატრანსპორტო საშუალებების, მათი სატვირთო სათავსების, საქონლის შეფუთვის გახსნით და დათვალიერებით.

3. დეკლარანტის მოთხოვნით და საგადასახადო ორგანოს თანხმობით, საქონლის დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე, თუ:



ა) საქონელი გაგზავნილია ერთი მიმღების მისამართით, განკუთვნილია იმპორტის ან შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციისათვის და დანიშნულების ადგილზე მიტანის ვადის გასვლამდე დეკლარანტის მიერ შეივსო და დარეგისტრირდა სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია;

ბ) საქონელი განკუთვნილია ექსპორტის სასაქონლო ოპერაციისათვის.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 4 მარტის ბრძანება №5590 - ვებგვერდი, 10.03.2016წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 6 სექტემბრის ბრძანება №23635 - ვებგვერდი, 03.10.2017წ.

### მუხლი 17. საქონლის დათვალიერებაზე გადაწყვეტილების მიღება

1. საბაჟო გამშვებ პუნქტი საქონლის დათვალიერებაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს სკანირებით ან სხვა საშუალების გამოყენებით. ამასთან, აქციზური მარკებით ნიშანდებას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის შემოტანისას, საქონელი თვალიერდება დადგენილი წესის შესაბამისად.

2. გაფორმების ორგანოს მიერ საქონელი დათვალიერდება, თუ სისტემაში რეგისტრირებული საბაჟო დეკლარაციისათვის განისაზღვრა „წითელი დერეფანი“. დათვალიერება ხორციელდება გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ელექტრონულად მიღებული შეტყობინების შესაბამისად. ამასთან, ერთ სატრანსპორტო საშუალებაში განთავსებული, ერთი დეკლარაციით წარდგენილი ერთი დასახელების (სეს ესნ-ის 11-ნიშნა კოდის შესაბამისი) საქონლის დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს სკანირებით.

3. გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით საქონლის გაფორმებისას, თუ საქონლის თანმხლები დოკუმენტები არ არსებობს, საქონლის ღირებულების განსაზღვრის მიზნით შესაძლებელია განხორციელდეს საქონლის დათვალიერება/ექსპერტიზა, რომლის შედეგებიც აისახება გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის შესაბამის გრაფებში, დეკლარაციის შესებაზე ან საქონლის დათვალიერების/ექსპერტიზის განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის მიერ.

4. საჭიროების შემთხვევაში, დათვალიერების თაობაზე გადაწყვეტილებას, საბაჟო დეკლარაციის წითელ დერეფანში გადაყვანის ფორმით, იღებს: საბაჟო დეპარტამენტის უფროსი ან მისი მოადგილე, საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების უფროსი ან მისი მოადგილე, გეზ-ის უფროსი ან მისი მოადგილე, გეზ-ის შესაბამისი სამმართველოს უფროსი, საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსი ან მისი მოადგილე ან ცვლის უფროსი, საბაჟო რისკების მართვის სამმართველოს უფროსი ან მისი მოადგილე.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 25 აპრილის ბრძანება №17494 - ვებგვერდი, 25.04.2013წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 25 ივნისის ბრძანება №28763 - ვებგვერდი, 10.05.2013წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 17 დეკემბრის ბრძანება №66314 - ვებგვერდი, 20.12.2013წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 21 ივნისის ბრძანება №34336 - ვებგვერდი, 21.08.2014წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 4 მარტის ბრძანება №5590 - ვებგვერდი, 10.03.2016წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 აპრილის ბრძანება №12187 - ვებგვერდი, 06.05.2016წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება №26822 - ვებგვერდი, 05.10.2017წ.

### მუხლი 18. დათვალიერების შეტყობინება

1. დათვალიერებ აზე დეკლარანტის ან საქონლის და/ან სატრანსპორტო საშუალების მიმართ სხვა უფლებამოსილი პირის ან მათი წარმომადგენლის დასწრების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ შესაბამის პირს ეგზავნება ელექტრონული შეტყობინება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დათვალიერება ხორციელდება სკანერის მეშვეობით, ან ხორციელდება აქციზური მარკებით ნიშანდებას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის დათვალიერება.

2. იმ შემთხვევაში, როცა საქონელი წარდგენილია საბაჟო საწყობ ში ან შენახვის სხვა ადგილზე, ელექტრონული შეტყობინება აგრეთვე ეგზავნება ამ ადგილის მფლობელს.

3. დათვალიერების შეტყობინებაში დათვალიერების დროდ უნდა მიეთითოს შეტყობინების გაგზავნის დღიდან მომდევნო კალენდარული დღის (გარდა იმ შემთხვევისა, როცა კალენდარული დღე ემთხვევა კვირა დღეს ან საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილ უქმე დღეს) არაუგვიანეს 17.00 საათი. გეზ-ში ან საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებამი წარდგენილი საქონლის დათვალიერების ელექტრონულ შეტყობინებაში დათვალიერების დროდ უნდა მიეთითოს შეტყობინების გადაცემის მომენტიდან არაუგვიანეს 2 საათი.

4. დეკლარანტს ან საბაჟო საწყობ ის/შენახვის სხვა ადგილის მფლობელს, დეკლარანტის თანხმობით, უფლება აქვს, დათვალიერების დაწყების დროის ამოწურვამდე არა უგვიანეს 1 საათისა, განცხადებით მიმართოს დათვალიერების უწყების გამცემ საგადასახადო ორგანოს (გარდა გეზ-ისა) და მოითხოვოს შეტყობინებით განსაზღვრული დათვალიერების დროის გადავადება, მაგრამ არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა. ამ შემთხვევაში, დათვალიერების დროის განსაზღვრისას, უნდა მიეთითოს შეტყობინების გადაცემის მომენტიდან არა უგვიანეს მეხუთე კალენდარული დღის 17.00 საათი.

5. საქონლის (გეზ-ში წარდგენილის გარდა) დათვალიერების გადავადების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 25 აპრილის ბრძანება №17494 - ვებგვერდი, 25.04.2013წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 21 ივნისის ბრძანება №34336 - ვებგვერდი, 21.08.2014წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 აპრილის ბრძანება №12187 - ვებგვერდი, 06.05.2016წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება №26822 - ვებგვერდი, 05.10.2017წ.

### მუხლი 19. განმეორებითი, დამატებითი და მიზანმიმართული დათვალიერება



1. განმეორებითი დათვალიერების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება საქონლის საბაჟო კონტრო ლის ზონიდან გატანამდე, ამ ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ, ამავე პირის ინიციატივით ან დეკლარანტის დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

2. დეკლარანტის მოთხოვნის საფუძველზე განხორციელებულ განმეორებით დათვალიერებაში მონაწილეობის უფლება არა აქვს თავდაპირველი დათვალიერების განმახორციელებელ თანამშრომელს.

3. დამატებითი დათვალიერება ხორციელდება:

ა) დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, თუ იგი მიიჩნევს, რომ საქონლის ნაწილის დათვალიერების შედეგები არ შეიძლება გავრცელდეს მთელ საქონელზე;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ დათვალიერებისას აღმოჩნდება შეუსაბამობა წარდგენილ დოკუმენტებსა და საქონლის ფაქტიურ მონაცემებს შორის, აგრეთვე სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის 41-ე გრაფაში მითითებული დამატებითი ზომის ერთეულის, ხოლო ასეთი სახის ზომის ერთეულის არარსებობისას – ძირითადი ზომის ერთეულის (კგ.) მიხედვით საქონლის რაოდენობრივ მონაცემებს შორის, და ასეთი შეუსაბამობა აღემატება საქონლის ტრანსპორტირებისას ან შენახვის ნორმალური პირობების გათვალისწინებით დასაშვებ მაჩვენებლებს.

4. დამატებითი დათვალიერება გულისხმობს საქონლის სრულ ან შერჩევით (ამ ბრძანებით დადგენილ დათვალიერების მოცულობაზე მეტი ოდენობით) დათვალიერებას და ხორციელდება ამ ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-4 განსაზღვრული პირის გადაწყვეტილებით.

5. მიზანმიმართული დათვალიერება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც სკანირების ამსახველი სურათის ან სამართალდამცავი ორგანოებიდან ან სხვა წყაროებიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით ადგილი აქვს ან შესაძლოა ჰქონდეს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევას ან ასეთი დარღვევის მცდელობას, და გულისხმობს საქონლის ნებისმიერი შეფუთვის (შეკვრის) გახსნას ან/და სატრანსპორტო საშუალების წებისმიერი სათავსის (განყოფილების) შემოწმებას, მასში საქონლის სამალავების ან/და საბაჟო კონტროლისგან მაღლად გადაადგილებული საქონლის აღმოჩენის მიზნით.

6. მიზანმიმართული დათვალიერება შეიძლება განხორციელდეს დათვალიერებასთან, განმეორებით დათვალიერებასთან ან დამატებით დათვალიერებასთან ერთად, ამ წესის მე-17 მუხლის მე-4 განსაზღვრული პირის გადაწყვეტილებით.

## მუხლი 20. დათვალიერების მოცულობა და ფორმა

1. თუ საბაჟო დეკლარაციაში გაცხადებულია ერთი სახეობის, კერძოდ, ერთი დასახელების (მარკა, მოდელი და ა.შ.), სეს ეს-ს ერთი სასაქონლო ქვესუბპოზიციის შესაბამისი, იდენტურად შეფუთული, სტანდარტული უმცირესი შეფუთვის, ან შეუფუთავი (საყარი, ჩასხმით და ა.შ.) საქონელი, მისი დათვალიერება ხორციელდება შემთხვევითი შერჩევითობით, საქონლის რაოდენობის არანაკლებ 5%-ის ოდენობით. საქონლის რაოდენობა განისაზღვრება საბაჟო დეკლარაციის შესაბამის გრაფაში მითითებული დამატებითი ზომის ერთეულის შესაბამისად, ხოლო ასეთი სახის ზომის ერთეულის არარსებობისას ძირითადი ზომის ერთეულის (კგ.) მიხედვით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტისგან განსხვავებულ შემთხვევაში, საქონლის დათვალიერება ხორციელდება შემთხვევითი შერჩევითობის საფუძველზე, თითოეული სახეობის (ამ მუხლის პირველი პუნქტის განსაზღვრებით) საქონლის რაოდენობის არანაკლებ 10%-ის ოდენობით. შეფუთვის ცალკეული სახეობის გახსნისას ამოღებული საქონლის რაოდენობა უნდა განისაზღვროს საბაჟო დეკლარაციის შესაბამის გრაფაში მითითებული დამატებითი ზომის ერთეულის შესაბამისად, ხოლო ასეთი სახის ზომის ერთეულის არარსებობისას – ძირითადი ზომის ერთეულის (კგ.) მიხედვით.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც საბაჟო დეკლარაციაში მითითებული საქონლის სახეობათა რაოდენობა აჭარბებს 50-ს, დათვალიერება ხორციელდება შემთხვევითი შერჩევითობის საფუძველზე სხვადასხვა სახეობის საქონლის რაოდენობის არანაკლებ 20%-ის ოდენობით.

4. საქონლის შემოტანისას (გარდა ტრანზიტისა ან იმ შემთხვევისა, როდესაც პირი საბაჟო გამშვებ პუნქტშივე აცხადებს საქონლის მიმართ რეესპორტის სასაქონლო ოპერაციის გამოყენების განზრახვას) აქციზური მარკებით ნიშანდებას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმი თვალიერდება საბაჟო გამშვებ პუნქტში, შემთხვევითი შერჩევითობით. დათვალიერება ხორციელდება თამბაქოს ნაწარმის უდიდესი შეფუთვის საერთო რაოდენობის 2% ოდენობის შერჩევით. შერჩეული უდიდესი შეფუთვის საერთო რაოდენობიდან დათვალიერებას ექვემდებარება არანაკლებ 2% თამბაქოს ნაწარმის ყუთი, ხოლო თითოეული ყუთიდან – თამბაქოს ნაწარმის არანაკლებ 2% ოდენობის უმცირესი შეფუთვა. თამბაქოს ნაწარმის რაოდენობა განისაზღვრება სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის 41-ე გრაფაში (საბაჟო გამშვებ პუნქტში დათვალიერებისას – ზოგადი დეკლარირებისთვის წარდგენილ დოკუმენტში) მითითებული დამატებითი ზომის ერთეულის შესაბამისად, ხოლო ასეთი სახის ზომის ერთეულის არარსებობისას – ძირითადი ზომის ერთეულის (კგ.) მიხედვით.

5. ამ მუხლის პირველი–მე-3 პუნქტებით დადგენილი პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით დათვალიერებას დაქვემდებარებული საქონლის მოცულობის სწორად განსაზღვრისთვის, სავალდებულოა სატრანსპორტო საშუალებაში ფაქტიურად განთავსებული საქონლის საერთო რაოდენობის დადგენა. საერთო რაოდენობა დგინდება საბაჟო დეკლარაციის შესაბამის გრაფაში (ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში – ზოგადი დეკლარირებისთვის წარდგენილ დოკუმენტში) ასახული დამატებითი ზომის



ერთეულის შესაბამისად, ხოლო ასეთი ზომის ერთეულის არარსებობისას – ძირითადი ზომის ერთეულის (კგ.) მიხედვით.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტისაგან განსხვავებულ შემთხვევაში, როცა საქონელი არ არის დახარისხებული თითოეული სახეობის მიხედვით, დათვალიერება ხორციელდება საქონლის რაოდენობის არანაკლებ 100%-ის ოდენობით. შეფუთვის ცალკეული სახეობიდან ამოღებული საქონელი ექვემდებარება რაოდენობის განსაზღვრას, რაც ხორციელდება საბაჟო დეკლარაციის შესაბამის გრაფაში მითითებული დამატებითი ზომის ერთეულის შესაბამისად, ხოლო ასეთი სახის ზომის ერთეულის არარსებობისას – ძირითადი ზომის ერთეულის (კგ.) მიხედვით. ამ პუნქტის მიზნებისთვის „საქონელი არ არის დახარისხებული თითოეული სახეობის მიხედვით“ აღნიშნავს იმ შემთხვევას, როცა სატრანსპორტო საშუალებაში განთავსებული, სეს ესნ-ს ერთი სასაქონლო ქვესუბოზიციის შესაბამისი, ერთი დასახელების (მარკა, მოდელი და ა.შ.), სტანდარტული უმცირესი შეფუთვის სახით იდენტურად შეფუთული ან შეუფუთავი საქონელი შერეულია სხვა სახეობის საქონელთან, რომლის შედეგად შეუძლებელია ცალკეული სატვირთო ადგილის ან უმსხვილესი შეფუთვის მიხედვით ცალსახად განხორციელდეს საქონლის თითოეული სახეობის იდენტიფიკაცია.

7. ამ მუხლის პირველი – მე-6 პუნქტების მოთხოვნები არ ვრცელდება:

ა) საბაჟო გამშვებ პუნქტში გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის ან სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების წარდგენით დეკლარირებულ ან სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით წარდგენილ საქონელზე, რომლის დათვალიერებაც ხორციელდება სკანირებით ან ვიზუალური დათვალიერებით;

ბ) სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვამდე ექსპორტში რეესპორტში ან ტრანზიტში დეკლარირებულ საქართველოდან საზღვაო გზით გასატან საყარ საქონელზე ან შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებულ, სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვამდე ექსპორტში დეკლარირებულ, საქართველოდან საზღვაო გზით გასატან შავი ლითონის ჯართზე, რომლის დათვალიერებაც ხორციელდება ვიზუალური დათვალიერებით;

8. საპარტო ტრანსპორტით ბარგით ან/და ხელბარგით შემოტანილი, იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში გაცხადებული საქონლის დათვალიერებაზე გადაწყვეტილება მიიღება საბაჟო დეკლარაციის წითელ დერეფანში მოხვედრის შემთხვევაში და დათვალიერება ხორციელდება საქონლის რაოდენობის 100%-ის ოდენობით.

9. თუ საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციამდე საქონელი დათვალიერებულია შემოსავლების სამსახურის ექსპერტის მიერ, დეკლარაციის წითელ დერეფანში გადაყვანის შემთხვევაში, საქონელი დათვალიერდება მხოლოდ იმ მონაცემების დადგენის მიზნით, რომლებიც შემოსავლების სამსახურის ექსპერტის მიერ გამოკვლეული (დადგენილი) არ ყოფილა.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 12 თებერვლის ბრძანება №3756 - ვებგვერდი, 19.02.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 16 ივლისის ბრძანება №25833 - ვებგვერდი, 17.07.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 3 აგვისტოს ბრძანება №28705 - ვებგვერდი, 17.08.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №31939 - ვებგვერდი, 27.08.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 20 აპრილის ბრძანება №10425 - ვებგვერდი, 25.04.2017წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2018 წლის 12 თებერვლის ბრძანება №2935 - ვებგვერდი, 15.02.2018წ.

## მუხლი 21. საქონლის წონისა და რაოდენობის დადგენა

1. საქონლის საერთო წონის დადგენა შესაძლებელია ფაქტობრივი აწონვით ან/და საშუალო წონის დადგენით – შეკვრის (ყუთის, ტომრის და სხვ.) აწონვით ან/და გადათვლით ან გაზომვით (თხევადი ან საყარი ტვირთების შემთხვევაში).

2. როცა საქონლის რაოდენობის განსაზღვრა ხორციელდება ძირითადი ზომის ერთეულის (კგ.) მიხედვით და დასათვალიერებელია იდენტური სახეობის, დასახელების, სტანდარტული უმცირესი შეფუთვის მქონე საქონელი, წონის დადგენა ხორციელდება შერჩევით. ასეთი საქონლის საერთო წონა განისაზღვრება უმცირესი შეფუთვის საქონლის წონის გადამრავლებით იდენტური შეფუთვის რაოდენობაზე.

3. აკრძალულია დადგენილი ნორმების დარღვევით არსებული ასაწონი/გასაზომი საშუალებების გამოყენება.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპორტში, რეესპორტში ან ტრანზიტში მოქცეულ საზღვაო გზით გასატან საყარ საქონელზე ან შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებულ, სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვამდე ექსპორტში დეკლარირებულ, საქართველოდან საზღვაო გზით გასატან შავი ლითონის ჯართზე საბაჟო დეკლარაცია წარდგენილია სატრანსპორტო საშუალებაში მის ჩატვირთვამდე, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი საქონლის წონის/რაოდენობის დადგენისას ხელმძღვანელობს დეკლარირებისას წარმოდგენილი საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის მიერ შედგენილი აქტით, ხოლო საზღვაო სატრანსპორტო საშუალებაში საქონლის ჩატვირთვისას, დეკლარაციაში ცვლილების განხორციელების თაობაზე დეკლარანტის წერილობითი განცხადებით მიმართავის შემთხვევაში – საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის მიერ საქონლის სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვისას შედგენილი აქტით.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 12 თებერვლის ბრძანება №3756 - ვებგვერდი, 19.02.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 16 ივლისის ბრძანება №25833 - ვებგვერდი, 17.07.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 3 აგვისტოს ბრძანება №28705 - ვებგვერდი, 17.08.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 20 აპრილის ბრძანება №10425 - ვებგვერდი, 25.04.2017წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2018 წლის 12 თებერვლის ბრძანება №2935 - ვებგვერდი, 15.02.2018წ.



## მუხლი 22. საქონლის სინჯის ან/და ნიმუშის აღება, საქონლის გამოკვლევა/ექსპერტიზა

1. საბაჟო კონტროლის განხორციელებისას საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით ან დეკლარანტის მოთხოვნით აიღოს გამოკვლევისათვის საჭირო საქონლის სინჯები ან/და ნიმუშები, სათანადო აქტის გაფორმებით, რომლის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა საქონელზე უფლებამოსილ პირს ან მის წარმომადგენელს.

2. აუცილებლობის შემთხვევაში, საქონლის სინჯისა და ნიმუშის აღება წარმოებს ექსპერტის ან სპეციალისტის მონაწილეობით.

3. საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის სინჯებისა და ნიმუშების აღება, საგადასახადო ორგანოს წერილობითი თანხმობით, შეუძლია ასევე დეკლარანტს, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ სხვა უფლებამოსილ პირს, მათ წარმომადგენლებს და სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების თანამშრომლებს, თუ მათი აღება:

ა) არ ეწინააღმდეგება და არ ართულებს საგადასახადო კონტროლის განხორციელებას;

ბ) არ ცვლის საქონლის მახასიათებელ ნიშნებს.

4. სინჯისა და ნიმუშის აღებისას დეკლარანტის მიერ სინჯებზე და ნიმუშებზე ცალკე საბაჟო დეკლარაცია არ წარედგინება, იმ პირობით, რომ ისინი გათვალისწინებული იქნება საბაჟო დეკლარაციაში.

5. საგადასახადო ორგანოს თანამშრომელს უფლება აქვს:

ა) დეკლარანტს ან საქონელზე სხვა უფლებამოსილ პირს და მათ წარმომადგენლებს მოსთხოვოს დასწრება საქონლის სინჯისა და ნიმუშის აღებისას და აღნიშნულთან დაკავშირებული სატვირთო და სხვა საჭირო აღერთაციების განხორციელება;

ბ) დაესწროს დეკლარანტის, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ სხვა უფლებამოსილი პირის, მათი წარმომადგენლების და სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოს თანამშრომლის მიერ სინჯებისა და ნიმუშების აღებას.

6. საგადასახადო ორგანოს თანამშრომელს უფლება აქვს, დეკლარანტისა და მისი წარმომადგენლის დაუსწრებლად აიღოს საქონლის სინჯი ან/და ნიმუში.

7. სინჯებსა და ნიმუშებს იღებენ იმ მინიმალური ოდენობით, რაც საკმარისია მათ გამოსაკვლევად.

8. იმ შემთხვევაში, თუ საქონლის სინჯების ან/და ნიმუშების გამოკვლევა საჭიროებს სპეციალური ცოდნას, ინიშნება ექსპერტიზა.

9. ექსპერტიზა ტარდება შემოსავლების სამსახურის ან მოწვეული ექსპერტების (შესაბამისი ორგანიზაციების წარმომადგენლების) მიერ, რომელთაც დასკვნის გასაცემად გააჩნიათ სპეციალური ცოდნა.

10. გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ მიიღება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ან ამ ინსტრუქციის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ, მათი ინიციატივით.

10<sup>1</sup>. შემოსავლების სამსახურის ექსპერტების მიერ ექსპერტიზა აგრეთვე შეიძლება ჩატარდეს დეკლარანტის, დაინტერესებული პირის, დავის განმხილველი ორგანოს, საგამოძიებო, სასამართლო ორგანოს ან შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნით.

11. გადაწყვეტილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ მიიღება წერილობითი (მათ შორის, ელექტრონული) ფორმით, რომელშიც აღინიშნება ექსპერტიზის ჩატარების მიზანი, ექსპერტიზის ჩატარების ადგილი, იმ ორგანიზაციის (ექსპერტის) დასახელება, რომელშიც უნდა ჩატარდეს ექსპერტიზა, ექსპერტის წინაშე დასმული კითხვები, ექსპერტიზისათვის წარსადგენი დოკუმენტებისა და მასალების ჩამონათვალი.

12. ექსპერტის მოწვევა ხდება ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც, სხვა პირობებთან ერთად, აღინიშნება ექსპერტის მიერ შეგნებულად ცრუ დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობის შესახებ.

13. საქონლის სინჯებისა და ნიმუშების გამოკვლევის/ექსპერტიზის შედეგების შესახებ უნდა ეცნობოს დეკლარანტს ან საქონლის და/ან სატრანსპორტო საშუალებების მიმართ სხვა უფლებამოსილ პირებს ან მათ წარმომადგენლებს.

14. სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანოების მიერ აღებული სინჯისა და ნიმუშის გამოკვლევის შედეგების შესახებ უნდა ეცნობოს საგადასახადო ორგანოს და დეკლარანტს ან საქონლის და/ან სატრანსპორტო საშუალებების მიმართ სხვა უფლებამოსილ პირს ან მათ წარმომადგენლებს.

15. გამოკვლევის/ექსპერტიზის დამთავრების შემდეგ საქონლის სინჯები ან/და ნიმუშები უბრუნდება მათ მფლობელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სინჯები და ნიმუშები კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება განადგურებას ან მათი ნაწილი გახარჯული იქნა გამოკვლევის პროცესში ან როდესაც სინჯებისა და ნიმუშების დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯები აღემატება მათ ღირებულებას. ამასთან, საგადასახადო ორგანო ვალდებული არ არის აანაზღაუროს სინჯის და/ან ნიმუშის აღებით გამოწვეული დანაკლისი.

16. სასაქონლო ექსპერტიზის (საქონლის რაოდენობის, შემადგენლობის და მირითადი მახასიათებლების დადგენის, საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის, საქონლის მიმართ საგარეო - კონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად, სასაქონლო კოდის განსაზღვრის ან / და საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადგენის მიზნით) შედეგებზე შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო ღირებულებისა და საქონლის კლასიფიკაციის სამართველო გასცემს :

ა) „ექსპერტის დასკვნას – ფორმა №1“ (დანართი №III-04) – ამ მუხლის მე -10 პუნქტით გათვალისწინებულ



შემთხვევებში;

ბ) „ექსპერტის დასკვნას – ფორმა №2“ (დანართი №III-05) – ამ მუხლის  $10^1$  პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან განმეორებითი სასაქონლო ექსპერტიზის ჩატარებისას .

17. ამ მუხლის მე -16 პუნქტით გათვალისწინებულ „ექსპერტის დასკვნა – ფორმა №2“- ს ხელს აწერს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო ღირებულებისა და საქონლის კლასიფიკაციის სამმართველოს ექსპერტი, რომელიც ატარებს შესაბამის სასაქონლო ექსპერტიზას, ან საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი, რომელსაც დასკვნის გასაცემად გააჩნია სპეციალური ცოდნა.

18. იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო კონტროლის ქვეშ მყოფი საქონლის სინჯის/ნიმუშის აღება შეუძლებელია, ამ მუხლის მე-10 და  $10^1$  პუნქტებით გათვალისწინებულ პირთა მოთხოვნით გამოკვლევის/ექსპერტიზის ჩასატარებლად შესაძლებელია განხორციელდეს საქონლის დროებით (არა უმეტეს 30 კალენდარული დღის ვადით) გატანა საბაჟო კონტროლის ზონიდან, აღრიცხვის მოწმობის გამოწერით, საბაჟო კონტროლის ზონაში დაბრუნების პირობით.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 13 ნოემბრის ბრძანება №57392 - ვებგვერდი, 22.11.2013წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 17 დეკემბრის ბრძანება №66314 - ვებგვერდი, 20.12.2013წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 20 იანვრის ბრძანება №2516 - ვებგვერდი, 27.01.2014წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 21 ივნისის ბრძანება №34336 - ვებგვერდი, 21.08.2014წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №33218 - ვებგვერდი, 07.09.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 აპრილის ბრძანება №12187 - ვებგვერდი, 06.05.2016წ.

## მუხლი 23. საქონლის დათვალიერების აქტი

აქციზური მარკებით ნიშანდებას დაქვემდებარებული თამბაქოს ნაწარმის დათვალიერების შედეგები ფორმდება „თამბაქოს ნაწარმის დათვალიერების აქტით“ (დანართი №III-01).

## მუხლი 24. მგზავრის დათვალიერება

1. თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საზღვრის გადამკვეთი მგზავრი სხეულში ან სხეულზე - მალავს საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთს, საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით ხდება მგზავრის დათვალიერება.

2. საბაჟო კონტროლისგან მგზავრის გათავისუფლება ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 219-ე მუხლის გათვალისწინებით.

3. თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 219-ე მუხლით გათვალისწინებული პირი ან/და მისი პირადი ბარგი/ხელბარგი შეიცავს საგნებს, რომელთა შემოტანა-გატანა აკრძალულია, ან რეგულირდება საქართველოს საკარანტინო წესებით, დათვალიერება ხორციელდება დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე ან სხვა უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით.

4. მგზავრის შემოწმება ხორციელდება:

ა) ფიზიკური დათვალიერებით;

ბ) მგზავრის გაგზავნით სამედიცინო დაწესებულებაში სხეულის შიდა ორგანოების დათვალიერების მიზნით (თუ არის ეჭვი, რომ მგზავრი სხეულის შიდა ორგანოებში მალავს საქონელს), რაც ხორციელდება საგადასახდო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის თანხლებით.

5. მგზავრის დათვალიერების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ, რომელიც ახორციელებს მგზავრის საბაჟო კონტროლს ან მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ, ზეპირად ან წერილობით.

6. მგზავრის დათვალიერება წარმოებს საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის ან მოწვეული სპეციალისტის მიერ, რომელიც დასათვალიერებელი პირის სქესისაა, ამისათვის ცალკე გამოყოფილ ადგილას, იმავე სქესის პირის (პირების) თანდასწრებით.

7. მგზავრის დათვალიერების დაწყებამდე, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებულია, პირს წარუდგინოს თანამდებობრივი მოწმობა, აცნობოს გადაწყვეტილება, გააცნოს მისი უფლება-მოვალეობანი ასეთი დათვალიერების დროს (მათ შორის, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით) და მისცეს წინადადება დამალული საქონლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნებაყოფლობით გადაცემის თაობაზე.

8. დამალული საქონლის მგზავრის მიერ ნებაყოფლობით გადაცემის ან/და დათვალიერების შედეგად ასეთი საქონლის აღმოჩენის შესახებ დგება მგზავრის დათვალიერების ოქმი (დანართი №III-02) და სამართალდარღვევის ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

9. მგზავრის დათვალიერების ჩატარების მონაწილე ნებისმიერი პირის მიერ ოქმში შეტანილი ყველა შენიშვნა, დამატება ან შესწორება დადასტურებული უნდა იყოს მათივე ხელმოწერით. თუ არსებობენ მოწმეები, რომლებსაც შესაძლებელია გააჩნდეთ ინფორმაცია საქმესთან დაკავშირებით დასადგენ გარემოებათა შესახებ, ოქმს შეიძლება ხელი მოაწერონ ამ პირებმაც.

10. მგზავრის დათვალიერების ოქმი დგება ორ ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი რჩება შემდგენელთან, ხოლო მეორე გადაეცემა მგზავრს. თუ დათვალიერებას ესწრებიან სახელმწიფო საზღვარზე კონტროლის განმახორციელებელი სხვა სახელმწიფო ორგანოს თანამშრომლები, ოქმში შეიტანება მათი მონაცემებიც, რაც დასტურდება მათი ხელმოწერით და გადაეცემათ ოქმის ასლი. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, ოქმის ასლი საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა მასალებთან და ნივთმტკიცებულებებთან ერთად გადაეცემა შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.



11. მგზავრის დათვალიერების შედეგად აღმოჩენილი სამართალდარღვევის საგანი/საგნები, ოქმში დაწვრილებითი აღწერის შემდეგ, საჭიროებისა და შესაძლებლობის შემთხვევაში, უნდა შეიფუთოს და დაილუქოს.

### მუხლი 25. მგზავრის პირადი ნივთების (ბარგის/ხელბარგის) დათვალიერება

1. მგზავრის ბარგისა და ხელბარგის დათვალიერება წარმოებს მგზავრის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. მგზავრის დაუსწრებლად დათვალიერება შესაძლებელია განხორციელდეს:

ა) თუ ბარგისა და ხელბარგის მესაკუთრის დადგენა შეუძლებელია;

ბ) საპარტო გზით შემოტანილი/გასატანი ბარგის მიზანმიმართული დათვალიერებისას, როდესაც სკანირების შედეგების ამსახველი სურათის ან სამართალდამცავი ორგანოებიდან ან სხვა წყაროებიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით ადგილი აქვს ან შესაძლოა ჰქონდეს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევას ან ასეთი დარღვევის მცდელობას.

3. საგადასახადო ორგანოს თანამშრომელმა, მგზავრის ბარგის ან/და ხელბარგის დათვალიერების დაწყებამდე, მგზავრს უნდა შესთავაზოს დამალული/აკრძალული საქონლის ნებაყოფლობით წარდგენა.

4. დათვალიერებისას საგადასახადო ორგანოს თანამშრომელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს მგზავრს ბარგის/ხელბარგის წარდგენა და განთავსება დათვალიერებისათვის გამოყოფილ ადგილზე;

ბ) მოსთხოვოს მგზავრს დახმარების აღმოჩენა ბარგის/ხელბარგის გახსნასა, საქონლის გადმოლაგებასა და რაოდენობის განსაზღვრისას;

გ) მიიღოს ინფორმაცია მგზავრისგან ბარგის/ხელბარგის შიგთავსის შესახებ.

5. დათვალიერებისას საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი ვალდებულია, არ მიაყენოს არამართლზომიერი ზოანი მგზავრის ბარგს/ხელბარგს და მასში მოთავსებულ ნივთებს.

6. მგზავრის ბარგის/ხელბარგის დათვალიერებისას სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, დათვალიერების შედეგები აისახება სამართალდარღვევის ოქმში.

7. მგზავრის ბარგის/ხელბარგის დათვალიერებისას სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, არსებული ნივთმტკიცებულებები უნდა შეიფუთოს, დაილუქოს და დათვალიერების შედეგები გაფორმდეს „მგზავრის ბარგის/ხელბარგის დათვალიერების ოქმით“ (დანართი №III-03) ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება შემდგენელთან, ხოლო მეორე გადაეცემა მგზავრს. აღნიშნული ოქმის ასლი აღმოჩენილ ნივთმტკიცებულებებთან ერთად გადაეცემა შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.

8. ჩამორთმეული ან მიტოვებული საქონელი, შესაბამის ოქმში ან აქტში დაწვრილებით აღწერის შემდეგ, შესაძლებლობის შემთხვევაში, უნდა შეიფუთოს და დაილუქოს.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 21 ოქტომბრის ბრძანება №39106 - ვებგვერდი, 23.10.2015წ.

დანართი №III-01

### თამბაქოს ნაწარმის დათვალიერების აქტი №

„ \_\_\_\_\_ „ „ 20 წ.

საგადასახადო ორგანოს დასახელება (კოდი)

დათვალიერების ადგილი ——————

ექსპორტიორი ——————

იმპორტიორი ——————

საქონლის მომწოდებელი ქვეყანა ——————

თანმხლები დოკუმენტები ——————

სატრანსპორტო საშუალებები ——————

გაცხადებული თამბაქოს ნაწარმი, რაოდენობის მიხედვით ——————

შერჩევით შემოწმებული თამბაქოს ნაწარმის აქციზური მარკების ნომრები



საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის სახელი,  
გვარი. პირადნომრიანი ბეჭედი

ხელმოწერა

დანართი №III-02

### მგზავრის დათვალიერების

ოქმი N

თარიღი : „-----” 20---- წელი  
ოქმისშედგენისადგილი

1. დათვალიერებაზე გადაწყვეტილების მიმღები პირი

( თანამდებობა , სახელი და გვარი )

2. დათვალიერების ჩატარებელი პირი

( თანამდებობა , სახელიდაგვარი )

3. დათვალიერება ჩატარდა

( სახელი , გვარი , მისამართი , სამგზავრო დოკუმენტის რეკვიზიტები )

4. ფიზიკურ პირს ეცნობა მისი დათვალიერების ჩატარების შესახებ გადაწყვეტი ლება , განემარტა მისი უფლებები და მოვალეობები და მიეცა წინადადება დამალული საქონლის , ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნებაყოფლობით გადაცემის თაობაზე .

5. საუბარიმიდინარეობდა ენაზე . თარჯიმნობას ეწეოდა

( სახელი , გვარი და მისამართი )

რომელიც სრულყოფილად ფლობს ორივე ენას .

6. დათვალიერების პროცედურას ესწრებოდნენ :

( სახელი , გვარიდამისამართი )

7. დათვალიერების პროცედურა მიმდინარეობდა —— სთ —— წთ - დან , —— სთ —— წთ - მდე .

8. დათვალიერების მიზნით ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები :

9. დათვალიერების ჩატარების პირობები :

10. აღმოჩენილი ნივთმტკიცებულებები

( საგნებისსახეობა , რაოდენობა , ინდივიდუალური დაგვარეობითი ნიშნები და სხვა მახასიათებლები )



11. დათვალიერების შემდეგ აღმოჩენილი ნივთმტკიცებულებები დალუქულ იქნა № \_\_\_\_\_  
ლუქით და განთავსდა / გაიგზავნა \_\_\_\_\_

12. წინამდებარე ოქმის სისწორეს ვადასტურებთ ხელის მოწერით :  
დათვალიერების ჩამტარებელი პირი \_\_\_\_\_  
დათვალიერება ზედამსწრე პირი/პირები : \_\_\_\_\_

მოწვეულის პეციალისტი ( არსებობის შემთხვევაში ) \_\_\_\_\_  
მოწმეები ( არსებობის შემთხვევაში ) \_\_\_\_\_

13. ჩამიტარდა დათვალიერების პროცედურა , რის შემდეგაც გავეცანი წინამდებარე ოქმს და  
მივიღე ოქმის მეორე ეგზემპლარი, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით \_\_\_\_\_  
შენიშვნა : \_\_\_\_\_

დანართი №III-03

### მგზავრის ბარგის/ხელბარგის დათვალიერების

ოქმი N

თარიღი : „-----” 20----- წელი \_\_\_\_\_  
ოქმის შედგენის ადგილი (საბაჟო გამშვები პუნქტი)

-----მიერ დათვალიერდა  
(დათვალიერების განმახორციელებელი თანამშრომლის თანამდებობა, სახელი, გვარი)

-----კუთვნილი ბარგი/ხელბარგი  
( მგზავრის სახელი, გვარი, მოქალაქეობა, პირადი ან სამგზავრო დოკუმენტის №)

დათვალიერებას ესწრებოდნენ  
მგზავრი \_\_\_\_\_  
დამსწრე/დამსწრეები \_\_\_\_\_

დათვალიერების შედეგად გამოვლინდა:

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

ოქმის მონაცემებს ვადასტურებთ:  
დათვალიერების განმახორციელებელი თანამშრომელი \_\_\_\_\_  
მგზავრი \_\_\_\_\_

დამსწრე/დამსწრეები \_\_\_\_\_

აღმოჩენილი ნივთმტკიცებულებები დალუქულ იქნა N \_\_\_\_\_ ლუქით და გადაეცა \_\_\_\_\_

(საგამოძიებო ორგანოს დასახელება)

საგამოძიებო ორგანოს თანამშრომელი -----

საგამოძიებო თანამშრომლის ხელმოწერა -----



**დანართი №III-04**

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 13 ნოემბრის ბრძანება №57392 - ვებგვერდი, 22.11.2013წ.  
 შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 17 დეკემბრის ბრძანება №66314 - ვებგვერდი, 20.12.2013წ.  
 შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №33218 - ვებგვერდი, 07.09.2015წ.

თარიღი: --/--/----

(სტრუქტურული ერთეული)

**ექსპერტის დასკვნა № 001/001**

შესახებ

(ფორმა №1)

ამნიშნავი	შემსრულებელი	
„	სახელი	
„	გვარი	
პდებობა	უდგენილი დოკუმენტების კა გამოსაკვლევი საქონლის ასათვალი	საქონლის მფლობელი
„		სამუშაო ადგილი და თანამდებობა ;  თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ბრძანების ან / და შესაბამისი სერტიფიკატის ნომერი
რტის წინაშე დასმული კითხვები	ექსპერტიზის ჩატარების ადგილი	
რტება ექსპერტიზის შედეგებზე		
„	ერტის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგები . არსებობის შემთხვევაში მიეთითება საქონლის შეფასების დანართები ( რთის №, გვერდების რაოდენობა ).	
რტის ხელმოწერა :“		

**დანართი №III-05**

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 13 ნოემბრის ბრძანება №57392 - ვებგვერდი, 22.11.2013წ.





## შემოსავლების სამსახური

თარიღი: --/--/----

### საბაჟო დეპარტამენტის

საბაჟო ღირებულებისა და საქონლის კლასიფიკაციის სამმართველოს

ექსპერტის დასკვნა № 001/001

----- შესახებ

(ფორმა №2)

### გაფრთხილება

ჩემთვის, როგორც ექსპერტისათვის ცნობილია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ექსპერტის უფლება-მოვალეობები და გაფრთხილებული ვარ, რომ ყალბი დასკვნის მომზადებისათვის ან

საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის დამეკისრება სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით.

### ექსპერტი

სახელი , გვარი	სამუშაო ადგილი და თნამდებობა	თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ბრძანების ან / და სერტიფიკატის ნომერი
დამატებითი ინფორმაცია განათლება , სპეციალობა , სპეციალობით მუშაობის სტაჟი , სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო წოდება ( არსებობის შემთხვევაში )		

### დაკვეთი

სახელი , გვარი /	მისამართი და საკონტაქტო
------------------	-------------------------



იურიდიული პირის დასახელება	პირადი / საიდენტიფიკაციო ნომერი	ინფორმაცია , ელ . მისამართი / ტელეფონი
წარმომადგენლის სახელი , გვარი		

## დასმული კითხვები

(დანიშნული ექსპერტიზის სახეობა და ინფორმაცია გამოსაკვლევი საქონლის შესახებ )

## დასკვნა

(ექსპერტის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგები . არსებობის შემთხვევაში,  
მიეთითება საქონლის შეფასების დანართები ( დანართის №, გვერდების რაოდენობა ).

ექსპერტის ხელმოწერა :

წარმოდგენილი დოკუმენტების ან/და გამოსაკვლევი საქონლის ჩამონათვალი :

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებანი:

(საქონლის აღწერილობა, რაოდენობა, მდებარეობა, ექსპერტიზის ჩატარების ადგილის დასახელება და  
მისამართი, დამსწრე პირები, ინფორმაცია ნიმუშების აღების შესახებ (აქტის №)

მომზადებული დასკვნის დასაბუთება

(რა გამოკვლევა ჩაატარა და რა მეთოდები გამოიყენა ექსპერტმა , დასაბუთებული პასუხები დასმულ  
კითხვებზე, არსებობის შემთხვევაში მიეთითება დასკვნის დანართები (დანართის №, გვერდების  
რაოდენობა).)

ექსპერტის ხელმოწერა : -----.

თავი IV. საქონლის ნიშანდება, იდენტიფიკაციის საშუალებები

### მუხლი 26. ნიშანდება

1. საბაჟო ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე, როდესაც არსებობს საქონლის ნიშანდების აუცილებლობა  
მისი შემდგომი იდენტიფიკაციისათვის ან/და საჭიროა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ან/და  
შენობა-ნაგებობის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა, ხორციელდება მათი ნიშანდება იდენტიფიკაციის  
საშუალებების გამოყენებით, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ, ხოლო 31-ე



მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – დეკლარანტის ან მისი წარმომადგენლის მიერ.

2. საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიცირების მიზნით, იდენტიფიკაციის საშუალებების გარდა (ან მათთან ერთად), აგრეთვე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ვიდეო და ფოტოგადაღება, მასშტაბურად გამოსახვა და საქონლის მონიშვნა ციფრული ან მწარმოებლის მიერ დატანილი სერიული ნომრების მარკირებით ან ალწერით.

3. საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას, სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგენილი ან უცხო ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ გამოყენებული იდენტიფიკაციის საშუალებები (ნიშნები) ცვლის შემოსავლების სამსახურის იდენტიფიკაციის საშუალებებს (ნიშნებს):

ა) სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული იდენტიფიკაციის ის საშუალებები (ნიშნები), რომლის თაობაზე საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ შეიტანება ინფორმაცია მოწმობაში ან რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობაში;

ბ) საერთაშორისო გადაზიდვის განმახორციელებელ სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებები (ნიშნები).

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით და 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) შეცვლაზე, მოხსნაზე/მოცილებაზე, განადგურებაზე, დაზიანებაზე ვრცელდება ამ ბრძანებით დადგენილი წესი.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 12 თებერვლის ბრძანება №3756 - ვებგვერდი, 19.02.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №33218 - ვებგვერდი, 07.09.2015წ.

## მუხლი 27. იდენტიფიკაციის საშუალებები

1. იდენტიფიკაციის საშუალებებია (ნიშნებია): შტამპი, ბეჭედი, პლომბი, ლუქი, მწებავი ლენტი, ტომრები, შესაფუთი მასალები, ზონარი და სხვა, რომლებიც გამოყენების სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

ა) უნდა იყოს მყარი და გამძლე დაზიანების მიმართ;

ბ) შესაძლებელი უნდა იყოს მათი დადება მარტივად და სწრაფად;

გ) შესაძლებელი უნდა იყოს მათი შემოწმება და იდენტიფიკაცია;

დ) შეუძლებელი უნდა იყოს მათი მოხსნა ან მოცილება დაზიანების, გატეხვის (თვალნათლივი ნიშნების) გარეშე;

ე) უნდა იყოს ერთჯერადი (გარდა მრავალჯერადი გამოყენების ლუქებისა) და გააჩნდეს უნიკალური ნომერი (მრავალჯერადი გამოყენების ლუქებს შესაძლებელია არ გააჩნდეს უნიკალური ნომერი);

ვ) უნდა იყოს იმგვარად კონსტრუირებული, რომ შეუძლებელი იყოს მათი კოპირება, გაყალბება ან მეორადი გამოყენება, მათზე ქარხნული წესით უნდა იყოს აღნიშნული რეგისტრაციის უნიკალური ნომერი, სერია და ინიციალები: „საქართველოს საგადასახადო“, ქართულად და ინგლისურად.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მოთხოვნები არ ვრცელდება ისეთ იდენტიფიკაციის საშუალებებზე (ნიშნებზე), რომლითაც არ ხდება უშუალოდ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებების ან/და შენობა-ნაგებობის ნიშანდება.

3. იდენტიფიკაციის საშუალებები (ნიშნები) ისე უნდა იქნეს დადებული, რომ გამოირიცხოს დაუზიანებლად მისი მოხსნა/მოცილება და შეუძლებელი იყოს საქონელთან მისვლა ან კვალის დატოვების გარეშე სატრანსპორტო საშუალებაში ან შენობა-ნაგებობაში უკანონო შეღწევა.

4. საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე ან/და შენობა-ნაგებობაზე შესაძლებელია იდენტიფიკაციის ერთი ან რამოდენიმე საშუალების (ნიშნის) დადება.

## მუხლი 28. სავალდებულო ნიშანდება

საგადასახადო ორგანო აუცილებლად ახორციელებს საქონლის ნიშანდებას, თუ:

ა) მისი შემდგომი იდენტიფიკაცია აუცილებელია სასაქონლო ოპერაციის გამოყენებისას გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად;

ბ) საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებად დაგირავებულია საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება;

გ) საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე შემოსულია საქონელი, რომელზეც არ არის წარმოდგენილი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემდგომი გადაადგილებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები (ნებართვა, სერტიფიკატი და სხვა);

დ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანას ან განადგურებას დაექვემდებარა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე უკვე შემოტანილი საქონელი, რომლის შემოტანაც იკრძალება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე;

ე) საბაჟო ზედამხედველობის დაწყებისას ან/და პროცედურების განხორციელებისას საჭიროა საქონლის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა;

ვ) საქონელი და სატრანსპორტო საშუალება გაიტანება საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან, გარდა 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## მუხლი 29. შენობა-ნაგებობების ნიშანდება



1. ნიშანდებას შესაძლებელია დაექვემდებაროს ის შენობა-ნაგებობები, სადაც იმყოფება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქონელი, ან/და ხორციელდება საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული საქმიანობა, აგრეთვე საქართველოს საბაჟო საზღვარზე მიღებადენი და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლის ტრანსპორტირების საშუალებები და ობიექტები.

2. სავალდებულო ნიშანდებას ექვემდებარება საბაჟო გამშვებ პუნქტში ან საბაჟო ტერმინა ლში საქონლის შესანახად განკუთვნილი შენობა-ნაგებობები.

3. დროებით შენახული და საწყობის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლისათვის განკუთვნილი საბაჟო საწყობ ების, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების შენახვის სხვა ადგილების შენობა-ნაგებობები ნიშანდებას შეიძლება დაექვემდებაროს:

ა) საქონლის დათვალიერების და სინჯის ან/და ნიმუშის აღების დროს;

ბ) სამართალდარღვევის საქმის წარმოების უზრუნველყოფის ან/და საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებისას, აგრეთვე საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას ჩამორთმეული პირადი ნივთების ან/და საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალებებისა და დოკუმენტების განთავსების შემთხვევაში;

გ) საქონლის დათვალიერებასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოებისას დათვალიერებული საქონლის დასათვალიერებელი საქონლისაგან განცალკევებულად შენახვისას;

დ) ოქროს სიის მონაწილის შენობა-ნაგებობაში განთავსებული საქონლის მიმართ ამ პუნქტის „ა“- „გ“ ქვეპუნქტებში ასახული საბაჟო ზედამხედველობის ღონისძიებების განხორციელებისას.

### მუხლი 30. სატრანსპორტო საშუალების ნიშანდება

1. საქონლის ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემოტანისას (მათ შორის საზღვაო ტრანსპორტით შემოტანილი საქონლის საზღვაო ნავსადგურიდან 10 კილომეტრის რადიუსში განლაგებულ საბაჟო საწყობში ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებისას) საბაჟო გამშვები პუნქტი ახორციელებს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების დამატებით სავალდებულო ნიშანდებას, იმ შემთხვევის გარდა, როცა სატრანსპორტო საშუალებაზე არსებული იდენტიფიკაციის საშუალებები (ნიშნები) უზრუნველყოფს საქონლის ხელშეუხებლობას, ხოლო თუ დამატებითი ნიშანდების შედეგად შესაძლებელია არსებითად გაუარესდეს იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) ხარისხი ან მდგომარეობა, საბაჟო გამშვები პუნქტი ახორციელებს აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების ხელახალ ნიშანდებას.

2. თუ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილ საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე გამოყენებული იდენტიფიკაციის საშუალებები (ნიშნები) მოცილებულია ან/და დაზიანებულია ან/და თუ საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება დაექვემდებარა დათვალიერებას, უნდა განხორციელდეს დამატებითი ან ხელახალი ნიშანდება.

3. თუ სხვა უფლებამოსილი ორგანოს ან უცხო ქვეყნის შესაბამისი ორგანოს მიერ ნიშანდებული სატრანსპორტო საშუალებით შემოტანილი საქონლის დათვალიერება საბაჟო გამშვებ პუნქტში არ ხორციელდება, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი ან ხელახალი ნიშანდება არ იწვევს საგადასახადო ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობას საქონლის ზოგადი დეკლარირების განმახორციელებელი პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე შევსებულ მოწმობაში, რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობაში ან დროებითი შენახვის განაცხადში ასახული მონაცემების ფაქტობრივ მონაცემებთან შეუსაბამობის აღმოჩენისას.

4. საბაჟო კონტროლის ზონაში, მათ შორის საბაჟო საწყობ ში და საქონლის დროებით შენახვის სხვა ადგილში განთავსებული საქონლის გადამზიდავი სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება ხელახალ ნიშანდებას, თუ სატრანსპორტო საშუალებაზე არსებული იდენტიფიკაციის საშუალებები (ნიშნები) მოცილებულია (დარღვეულია) და არ ხდება საქონლის ჩამოტვირთვა, სხვა სატრანსპორტო საშუალებაში გადატვირთვა ან/და შენობა-ნაგებობაში შესანახად განთავსება.

5. თუ აღმოჩნდება, რომ სატრანსპორტო საშუალება არ არის ნიშანდებული ან დარღვეულია ნიშანდება ან იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) რეკვიზიტები განსხვავდება გადამადგილებელი პირის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მითითებული რეკვიზიტებისაგან, საგადასახადო ორგანოს მიერ ხორციელდება სატრანსპორტო საშუალებაში მოთავსებული საქონლის დათვალიერება; ხოლო თუ ადგილზე დათვალიერება შეუძლებელია, სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება ხელახალ ნიშანდებას და მოწმობით ან რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობით გადაადგილდება უახლოეს ან საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ შერჩეულ საბაჟო ტერმინალამდე ან საბაჟო საწყობამდე ან საქონლის დროებით შენახვის სხვა ადგილამდე.

6. თუ სატრანსპორტო საშუალების ნიშანდება შეუძლებელია, ხორციელდება სატრანსპორტო საშუალებაში მოთავსებული საქონლის ნიშანდება და საქონელი წარედგინება დანიშნულების ორგანოს.

7. დასაშვებია, ნიშანდების გარეშე საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილდეს: საყარი ტვირთები, ჯართი, ცოცხალი ცხოველები, მცენარეები, სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები, აგრეთვე ისეთი მსხვილგაბარიტიანი ტვირთები, რომლებიც არ ექვემდებარება დაშლა - დანაწილებას / გადაანაწილებას.

8. ფიზიკური პირის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებ ით გადაადგილებული საქონლისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების იდენტიფიკაცია ხორციელდება „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას სამგზავრო დოკუმენტის შესაბამისი აღნიშვნების განხორციელებისა და საქართველოს შინაგან

საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის წესის დამტკიცების შესახებ “ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №985-№1187 ერთობლივი ბრძანების შესაბამისად.

9. საქართველოს საბაჟო საზღვარზე მიღსადენით გადაადგილებული საქონლის ტრანსპორტირების საშუალებებისა და ობიექტების ნიშანდება ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს დასკვნის საფუძველზე.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 12 თებერვლის ბრძანება №3756 - ვებგვერდი, 19.02.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 16 ივნისის ბრძანება №25833 - ვებგვერდი, 17.07.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №33218 - ვებგვერდი, 07.09.2015წ.

### მუხლი 31. ნიშანდების განხორციელების ადგილები

1. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადმომკვეთი სატრანსპორტო საშუალება (გარდა რკინიგზით გადაადგილებული ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილი უნივერსალური ან სპეციალური ვაგონისა, საპარავო და საზღვაო სატრანსპორტო საშუალებისა), რომლითაც ხორციელდება საქონლის შემოტანა, ექვემდებარება ნიშანდებას საბაჟო გამშვებ პუნქტში, ხოლო საქონლის საბაჟო გამშვები პუნქტის გარდა სხვა ადგილში საგადასახადო ორგანოს თანხმობით შემოტანისას – საგადასახადო ორგანოს მიერ შერჩეულ საბაჟო კონტროლის ზონაში.

1<sup>1</sup>. ( ამოღებულია - 20.01.2014, №2516 );

2. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადამკვეთი სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც ხორციელდება საქონლის გატანა, ექვემდებარება ნიშანდებას:

ა) საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ, როდესაც:

ა.ა) ექსპორტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის ციის მიმართ გამოსაყენებელი საბაჟო კონტრო ლის ღონისძიების შერჩევა ხორციელდება საბაჟო გამშვებ პუნქტში;

ა.ბ) საქონელი და ავტოსატრანსპორტო საშუალება ექსპორტის/რეექსპორტის განხორციელების მიზნით პირდაპირ წარდგინება საბაჟო გამშვებ პუნქტს ;

ბ) გაფორმების საგადასახადო ორგანოს მიერ, როდესაც ექსპორტის/რეექსპორტის/გარე გადამუშავების სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის მიმართ საბაჟო კონტრო ლის ღონისძიების გამოყენებისას ხორციელდება საქონლის დათვალიერება. ამასთან, გაფორმების ეკონომიკურის ზონა ახორციელებს მხოლოდ მის ტერიტორიაზე წარდგენილი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების ნიშანდებას;

გ) დეკლარანტის მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენებით, როდესაც:

გ.ა) ექსპორტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის ციის მიმართ გამოსაყენებელი საბაჟო კონტრო ლის ღონისძიების შერჩევა, დეკლარანტის სურვილისამებრ, ხორციელდება გაფორმების საგადასახადო ორგანოში, გარდა გეზ-ის ტერიტორიაზე წარდგენილი საქონლისა;

გ.ბ) საქონლის რეექსპორტი ხორციელდება სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის წარდგენით, გარდა გეზ-ის ტერიტორიაზე წარდგენილი საქონლისა;

დ) დეკლარანტის წარმომადგენლის მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული იდენტიფიკაციის საშუალებების გამოყენებით, საბაჟო საწყობიდან ტრანზიტში გაცხადებული საქონლის გატანისას.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 6 თებერვლის ბრძანება №4257 - ვებგვერდი, 18.02.2013წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 20 იანვრის ბრძანება №2516 - ვებგვერდი, 27.01.2014წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 12 თებერვლის ბრძანება №3756 - ვებგვერდი, 19.02.2015წ.

### მუხლი 32. განხორციელებული ნიშანდების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა

1. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე განხორციელებული ნიშანდების შესახებ მონაცემები დააფიქსიროს რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობაში ან ელექტრონულად შევსებულ მოწმობაში, ასევე TIR- წიგნაკით გადაადგილების შემთხვევაში – TIR- წიგნაკის საქართველოს ტერიტორიაზე გამოსაყენებელ მოსახევ ფურცელსა და ყუაზე.

2. საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანის დროს, ასევე ტრანზიტისას საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების საბაჟო გამშვებ პუნქტში გამოცხადებისას, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი საქონლის თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად ამოწმებს სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) მთლიანობას, მათი რეკვიზიტების შემოწმებას თანმხლები დოკუმენტების მიხედვით, ხოლო საგადასახადო ორგანოს თანხმობის გარეშე იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) მოხსნა/მოცილების ან/და განადგურების შემთხვევაში, ადგენს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ საქონლის დათვალიერების შედეგად საქონლის დანაკლიისი არ გამოვლინდა, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ახდენს ხელახალ ნიშანდებას და აკეთებს აღნიშვნას თავის მიერ დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების შესახებ საქონლის თანმხლებ დოკუმენტებში, ასევე TIR- წიგნაკით გადაადგილების შემთხვევაში – TIR- წიგნაკის შესაბამის მოსახევ ფურცელსა და ყუაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც საბაჟო გამშვებ პუნქტში შეუძლებელია საქონლის დათვალიერება, საქონლის გადამადგილებელი სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება ნიშანდებას და მოწმობით ან რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობით გადაადგილდება საგადასახადო ორგანოს

უფლებამოსილი პირის მიერ შერჩეულ საბაჟო ტერმინალამდე ან საბაჟო საწყობამდე ან დროებით შენახვის სხვა ადგილამდე, სადაც განხორციელდება საქონლის დათვალიერება.

შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №33218 - ვებგვერდი, 07.09.2015წ.

### მუხლი 33. იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) მოხსნა/მოცილება

1. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საგადასახადო ორგანოს მიერ ნიშანდებულ საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებებზე ან/და შენობა-ნაგებობაზე იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) მოხსნა/მოცილება ხორციელდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ა) ზიანი გამოწვეულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დაუძლეველი ძალის მოქმედებით ან მის შედეგად საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების დაზიანების, განადგურების ან დაკარგვის თავიდან აცილების აუცილებლობით;

ბ) დათვალიერების გარეშე (რისკების მართვის სისტემის გამოყენებით, შესაბამისი დერეფნის მეშვეობით) გაშვებულ საქონელსა ან/და სატრანსპორტო საშუალებებზე იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) მოხსნა/მოცილება ხორციელდება საქონლის მფლობელის ან უფლებამოსილი პირის მიერ;

გ) საბაჟო საწყობის ტერიტორიაზე შეტანილ საქონელსა ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე – საბაჟო საწყობის უფლებამოსილი პირის მიერ;

დ) საქონლის დროებით შენახვის სხვა ადგილზე განთავსებისას – საქონლის მფლობელის ან უფლებამოსილი პირის მიერ;

ე) ოქროს სიის მონაწილის კუთვნილ საქონელზე გამარტივებული პროცედურების დამთავრებისას – აღნიშნული პირის მიერ.

2. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი, დაზიანებული ან მოცილებული იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) თაობაზე შეტყობინების მიღების შემთხვევაში, საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ან/და შენობა-ნაგებობის დათვალიერების შემდეგ ახორციელებს ხელახალ ნიშანდებას.

3. ნიშანდებული შენობა-ნაგებობის მფლობელი ვალდებულია, კაპიტალური ან მიმდინარე შეკეთების ან დემონტაჟის განხორციელებამდე, წერილობით, წინასწარ შეტყობინოს საგადასახადო ორგანოს სამუშაოთა დაწყების თარიღისა და ხანგრძლივობის შესახებ. სამუშაოს დაწყებამდე საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ხსნის შენობა-ნაგებობაზე არსებულ იდენტიფიკაციის საშუალებებს (ნიშნებს), ხოლო სამუშაოების დასრულების შემდეგ, იმ შემთხვევაში, თუ მასში განთავსდება ან განთავსებულია საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონელი, ახდენს ხელახალ ნიშანდებას.

### მუხლი 34. იდენტიფიკაციის საშუალებების აღრიცხვა, გაცემა, განადგურება

1. შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტი იდენტიფიკაციის საშუალებებს გასცემს გაფორმების ეკონომიკური ზონის ან საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების ან საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსის ბრძანებით განსაზღვრულ თანამშრომელზე, რომელიც პასუხისმგებელია იდენტიფიკაციის საშუალებების მიღებაზე, აღრიცხვაზე, განაწილებასა და ანგარიშებაზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში იდენტიფიკაციის საშუალებები გაიცემა გასავლის ზედებულით, იდენტიფიკაციის საშუალებების რაოდენობის, სერიებისა და ნომრების დაფიქსირებით.

3. საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების, გაფორმების ეკონომიკური ზონის და საბაჟო გამშვები პუნქტის პასუხისმგებელი თანამშრომელი მიღებულ იდენტიფიკაციის საშუალებებს აღრიცხავს „იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) აღრიცხვისა და გაცემის უურნალში“ (შემდგომში – უურნალი) (დანართი №IV-01), ინახავს დაცულ ადგილას და საჭირო რაოდენობას გასცემს გაფორმების განყოფილების ეკონომიკური ზონის პასუხისმგებელ თანამშრომელზე ან ცვლის უფროსზე, ხოლო ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში – პირზე ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელზე.

4. საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების, გაფორმების ეკონომიკური ზონის პასუხისმგებელი თანამშრომლების ან ცვლის უფროსების მიერ მიღებული და გამოყენებაზე უფლებამოსილ თანამშრომლებზე გაცემული იდენტიფიკაციის საშუალებები ასევე აღირიცხება უურნალში (დანართი №IV-01).

5. 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნიშანდებისათვის, პირის მოთხოვნით, იდენტიფიკაციის საშუალებების გაცემა ხორციელდება „განცხადება – მიღება-ჩაბარების აქტის“ (დანართი №IV-05) გაფორმებით, რომელიც მოწმდება პირის ხელმოწერით ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ელექტრონული ხელმოწერით. ამასთან, იდენტიფიკაციის საშუალებები გაიცემა პირზე ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელზე.

6. 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში იდენტიფიკაციის საშუალებების მოხსნა/მოცილება საქონლის მფლობელის ან უფლებამოსილი პირის ან საბაჟო საწყობის უფლებამოსილი პირის მიერ ხორციელდება აქტის (დანართი IV-02) გაფორმებით, რომელსაც ინახავს 6 წლის განმავლობაში.

7. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მოხსნილი/მოცილებული იდენტიფიკაციის საშუალებები მოხსნისთანავე ჩაითვლება განადგურებულად, ხოლო ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქონლის მფლობელის ან უფლებამოსილი პირის ან საბაჟო საწყობის



უფლებამოსილი პირის მიერ მოხსნილი/მოცილებული იდენტიფიკაციის საშუალებები ინახება აღნიშნულ პირებთან, 15 კალენდარული დღის განმავლობაში, რის შემდეგაც იდენტიფიკაციის საშუალებები ჩაითვლება განადგურებულად.

8. გამოყენებამდე ან დადებისას დაზიანებულ ან უვარგის იდენტიფიკაციის საშუალებებს, აგრეთვე ინფორმაციას ასეთი იდენტიფიკაციის საშუალებების შესახებ №IV-03 დანართის ფორმით, გაფორმების ეკონომიკური ზონის, საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების და საბაჟო გამშვები პუნქტის პასუხისმგებელი თანამშრომელი აბარებს შემოსავლების სამსახურის ფინანსურ დეპარტამენტს. ეს ინფორმაცია წარდგენილი უნდა იქნეს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 15 იანვრამდე.

9. შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტი ახორციელებს გამოყენებამდე ან დადებისას დაზიანებული ან უვარგისი იდენტიფიკაციის საშუალებების განადგურებას და შედეგებს ასახავს აქტში №IV-04 დანართის შესაბამისად.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 25 აპრილის ბრძანება №17494 - ვებგვერდი, 25.04.2013 წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 10 მაისის ბრძანება №19867 - ვებგვერდი, 10.05.2013 წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 25 ივნისის ბრძანება №28763 - ვებგვერდი, 10.05.2013 წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 21 ივლისის ბრძანება №34336 - ვებგვერდი, 21.08.2014 წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 12 თებერვლის ბრძანება №3756 - ვებგვერდი, 19.02.2015 წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 აპრილის ბრძანება №12187 - ვებგვერდი, 06.05.2016 წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება №26822 - ვებგვერდი, 05.10.2017 წ.

დანართი №IV-01

## იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების) აღრიცხვისა და გაცემის

### ჟურნალი

	მიღებულია (მონიშნეთ გახაზვით):							
	- ფინანსური დეპარტამენტიდან							
	- გაფორმების ეკონომიკური ზონის, საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილების ან საბაჟო გამშვები პუნქტის პასუხისმგებელი თანამშრომლისაგან							
ჟურნალი №	მიღების დასახელება და დაპატიჟი დანართი №-დან - №-მდე	მიღების დასახელება და დაპატიჟი ნობა ცალობით	მიღების თარიღი	პასუხისმგებელი თანამშრომლის სახელი და გვარი, გარკვევით, ხელმოწერა	სტრუქტურული ფერდანაყოფის დასახელება	იდენტ. საშუალების რაოდენობა ცალობით	იდენტ. საშუალების რაოდენობა ცალობით	გაცემის თარიღი
								გაფორმების განყოფილების, გენერის ან საბაჟო გამშვები პუნქტის პასუხისმგებელი თანამშრომლის, ცვლის უფროსის ან გამოყენებაზე უფლებამოსილი თანამშრომლის სახელი და გვარი გარკვევით, პირის საიდენტიფიკაციო/პრადინობრი, ხელმოწერა




შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 25 აპრილის ბრძანება №17494 - ვებგვერდი, 25.04.2013წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 21 ივლისის ბრძანება №34336 - ვებგვერდი, 21.08.2014წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 აპრილის ბრძანება №12187 - ვებგვერდი, 06.05.2016წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება №26822 - ვებგვერდი, 05.10.2017წ.

#### დანართი №IV-02

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №33218 - ვებგვერდი, 07.09.2015წ.

### აქტი

**არასაგადასახადო ორგანოს მიერ იდენტიფიკაციის საშუალებების (ნიშნების)**

#### მოხსნის/მოცილების შესახებ

გადასახადის გადამხდელის დასახელება ან/და სიდენტიფიკაციონური ნომერი

აქტის შედგენის თარიღი „-----, ----- 20 წ.

აქტის შედგენის ადგილი: -----  
 (საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ან/და  
 შენობა-ნაგებობის ადგილსამყოფელი - მისამართი)

აქტი შეადგინა: -----  
 (საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ან/და შენობა-ნაგებობის  
 მფლობელის ან უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)

აქტი შედგენილია მასზე, რომ: -----  
 (აღინიშნოს იდენტიფიკაციის საშუალებების მოხსნა/

-----  
 მოცილების, შეცვლის ან ჩაბარების კონკრეტული მიზეზი)

მოწმობის, რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობის, საბაჟო დეკლარაციის,



სატრანსპორტო საშუალების ნომერი №, შენობა-ნაგებობის № -----

თუ იდენტიფიკაციის საშუალებების განახლების საჭიროება არსებობს, მიეთითოს აღნიშნულის

თაობაზე: -----  
განახლებული იდენტიფიკაციის საშუალებების შესახებ გაკეთებულია აღნიშვნა: -----  
(მიეთითოს დოკუმენტები)

აქტი შევადგინე:  
უფლებამოსილი პირის  
სახელი, გვარი, ხელმოწერა -----

ბეჭედი (არსებობის შემთხვევაში)

#### დანართი №IV-03

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 25 აპრილის ბრძანება №17494 - ვებგვერდი, 25.04.2013წ.  
შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 21 ივნისის ბრძანება №34336 - ვებგვერდი, 21.08.2014წ.

„-----“ 20... წელი

ინფორმაცია

მიერ

(საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულის დასახელება)

20 ... წლის განმავლობაში გამოყენებამდე ან დადებისას დაზიანებული ან უვარგისი იდენტიფიკაციის  
საშუალებების შესახებ

იდენტიფიკაციის საშუალების დასახელება	დაზიანებული იდენტიფიკაციის საშუალების რიგითი №	შენიშვნა

პასუხისმგებელი

თანამშრომლის ხელმოწერა -----

პ/ნომრიანი ბეჭედი ან

საბაჟო დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის  
მრგვალი ბეჭედი

#### დანართი № IV –04

„-----“ 20... წელი



## აქტი

მიერ  
(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

იდენტიფიკაციის საშუალებების განადგურების შესახებ

1. განადგურების თარიღი და ადგილი: -----

2. აქტი შეადგინა -----

(საგადასახადო ორგანოს თანამშრომლის/ების სახელი, გვარი)

3. განადგურებულია იდენტიფიკაციის საშუალებები: -----

(მიეთითოს რომელი იდენტიფიკაციის საშუალებებია განადგურებული, რაოდენობა, ნომრები)

4. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის/ების სახელი, გვარი, ხელმოწერა,  
პირადნომრიანი ბეჭედი (არსებობის შემთხვევაში)

დანართი № IV –05

სსიპ – შემოსავლების სამსახურის  
საბაჟო დეპარტამენტის

განმცხადებლის დასახელება / ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი და გვარი

განმცხადებლის საიდენტიფიკაციო ნომერი / პირადი ნომერი

წარმომადგენელის სახელი და გვარი / პირადი ნომერი

ტელეფონი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა  
საშუალებები

სახელზე.

გთხოვთ, გასცეთ იდენტიფიკაციის  
(დასახელება/სახელი და გვარი)

რაოდენობა: ----- ცალი.

მიღება-ჩაბარების აქტი

(ივსება საგადასახადო ორგანოში და ადასტურებს  
იდენტიფიკაციის საშუალებების გაცემას/მიღებას)

იდენტიფიკაციის საშუალების ნომერი

რაოდენობა



ბელმოწერა:

(საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი

პირის სახელი და გვარი გარკვევით)

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ვეთანხმები

განცხადებაში მოცემულ ინფორმაციას და მივიღე

მოთხოვნილი რაოდენობის იდენტიფიკაციის

საშუალებები: ხელმოწერა:

(განცხადებლის ან მისი წარმომადგენლის (არსებობის შემთხვევაში, განცხადებლის ან მისი სახელი და გვარი გარკვევით) წარმომადგენლის ბეჭედი)

თარიღი: -----

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 25 აპრილის ბრძანება №17494 - ვებგვერდი, 25.04.2013წ.

## თავი V. სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსება

### მუხლი 35. იმპორტის სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსების წესი

1. იმპორტის სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას დეკლარანტი ავსებს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შემდეგ გრაფებს: A, 1, 2, 3, 5, 6, 7, 8, 11, 12, 13, 14, 15, 15ა, 15ბ, 16, 17, 17ა, 17ბ, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34ა, 34ბ, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 49, 54, B.

2. გრაფა „A“ – აღინიშნება გაფორმების საგადასახადო ორგანოს ხუთნიშნა ციფრული კოდი და დასახელება კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის შესაბამისად. ამავე გრაფაში აღინიშნება დეკლარაციის რეგისტრაციის C (სტატისტიკური) ნომერი და რეგისტრაციის თარიღი.

3. გრაფა 1 „დეკლარაცია“ – გრაფის პირველ განყოფილებაში ჩაიწერება ოპერაციის დასახელება – იმპორტი - „იმ“, მეორეში – ციფრული კოდი „4“.

4. გრაფა 2 „ექსპორტიორი“ – აღინიშნება საქონლის გამომგზავნის რეკვიზიტები: იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის ან მათი სტრუქტურული ქვედანაყოფის სახელწოდება და მისამართი, ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი. თუ საქონლის გამომგზავნი ერთზე მეტი პირია, გრაფაში მიეთითება მათგან ერთ-ერთი იმ პირის რეკვიზიტები, რომლის მიერ გამოგზავნილი საქონლის ფაქტურული ღირებულებაც ყველაზე მეტია, ხოლო შემდეგ – ექსპორტიორების საერთო რაოდენობა „.... ექსპორტიორი.

5. გრაფა 3 „ფორმები“ – გრაფის პირველ განყოფილებაში აღინიშნება ფურცლის რიგითი ნომერი, მეორეში – დეკლარაციის ფურცლების საერთო რაოდენობა მირითადი და დამატებითი ფურცლების ჩათვლით (მაგალითად, თუ გვაქვს ერთი დეკლარაცია ორი დამატებითი ფურცლით, მაშინ მირითადი ფურცლის მე-3 გრაფის პირველ განყოფილებაში უნდა აღინიშნოს - 1, მეორე განყოფილებაში - 3, პირველ დამატებით ფურცელში - 2 და 3, მეორეში - 3 და 3).

6. გრაფა 5 „საქონლის რაოდენობა“ – მიეთითება დეკლარირებული უკანასკნელი საქონლის რიგითი ნომერი.

7. გრაფა 6 „ადგილების რაოდენობა“ – აღინიშნება დეკლარირებული საქონლის სახეობათა რაოდენობა მე-5 გრაფის მიხედვით. თუ დეკლარირდება მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლი, გრაფაში ჩაიწერება – „1“.

8. გრაფა 7 „საცნობარო ნომერი“ – აღინიშნება დეკლარანტის მიერ დეკლარაციისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

9. გრაფა 8 „იმპორტიორი“ – აღინიშნება საქონლის მიმღების შესახებ მონაცემები: თუ საქონლის მიმღები იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნია, გრაფაში აღინიშნება მისი სრული სახელწოდება, მისამართი, ტელეფონის ან ფაქსის (ტელეფაქსის) ნომერი, ხოლო გრაფის ზედა ნაწილში „№“ ნიშნის შემდეგ – 9-ნიშნა საიდენტიფიკაციო ნომერი; თუ საქონლის მიმღები ფიზიკური პირია (გარდა მეწარმე ფიზიკური პირისა), გრაფაში აღინიშნება მისი სახელი, გვარი, მისამართი, გრაფის ზედა ნაწილში „№“ ნიშნის შემდეგ – პირადი ნომერი, ხოლო არარეზიდენტი ფიზიკური პირის შემთხვევაში – ცხრანიშნა საიდენტიფიკაციო ნომერი.

9<sup>1</sup>. გრაფა 11 „მოვაჭრე ქვეყანა“ – გრაფაში აღინიშნება მოვაჭრე ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

10. გრაფა 12 „დაწვრილებითი ღირებულება“ – აღინიშნება თანხა ლარებში, რომლითაც კორექტირდება დეკლარირებული საქონლის (სასაქონლო პარტიის) საერთო ფაქტურული ღირებულება საბაჟო ღირებულებამდე.

11. გრაფა 13 „მომსახურების საფასური“ – ივსება მხოლოდ ამ პუნქტში მითითებულ შემთხვევებში და აღინიშნება:

ა) ციფრი „0“ – მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებისას;

ბ) ციფრი „1“ – საქონლის (სასაქონლო პარტიის) საერთო ფაქტურული საქონლის გარდა) წინასწარი დეკლარირებისას, როდესაც დეკლარაციას ავსებს დეკლარანტი ან სასაქონლო ოპერაციისათვის საჭირო

დოკუმენტებს საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებას ან გაფორმების ეკონომიკურ ზონას ან თავისუფალი ზონის საბაჟო გამშვებ პუნქტს წარუდგენს ელექტრონულად, ან დეკლარანტი/მისი წარმომადგენელი საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებას ან გაფორმების ეკონომიკურ ზონას ან თავისუფალი ზონის საბაჟო გამშვებ პუნქტს სამუშაო დროს მიმართავს თხოვნით დეკლარაციის თაობაზე;

გ) ციფრი „2“ – საქონლის დეკლარირებისას, როდესაც დეკლარანტი/მისი წარმომადგენელი საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებას ან გაფორმების ეკონომიკურ ზონას არასამუშაო დროს მიმართავს თხოვნით დეკლარაციის შევსების თაობაზე ან როდესაც „ASYCUDA“-ში დაშვებული პირი, საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებაში ან გაფორმების ეკონომიკურ ზონაში არასამუშაო დროს ახორციელებს დეკლარირებას (გარდა წინასწარი დეკლარირებისა);

დ) ციფრი „3“ – როდესაც საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის ღირებულება აღემატება 10 000 ლარს;

ე) ციფრი „4“ – საქონლის (სასაქონლო პარტიათა ნაკრებით გადაადგილებული საქონლის გარდა) წინასწარი დეკლარირებისას, როდესაც დეკლარანტი/მისი წარმომადგენელი საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებას ან გაფორმების ეკონომიკურ ზონას არასამუშაო დროს მიმართავს თხოვნით დეკლარაციის შევსების თაობაზე;

ვ) ციფრი „5“ – როდესაც ერთი მიმღების მისამართით გაგზავნილი, იმპორტის სასაქონლო ოპერაციისათვის განკუთვნილი საქონლის წარდგენა ხორციელდება საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე და დეკლარაციას ავსებს და არეგისტრირებს დეკლარანტი, ან სასაქონლო ოპერაციისათვის საჭირო დოკუმენტებს წარუდგენს საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების განყოფილებას ან გაფორმების ეკონომიკურ ზონას სამუშაო დროს.

12. გრაფა 14 „დეკლარანტი/წარმომადგენელი“ – აღინიშნება დეკლარანტის სრული სახელწოდება და მისამართი. გრაფის ზედა ნაწილში „№“ ნიშნის შემდეგ აღინიშნება დეკლარანტის ცხრანიშნა საიდენტიფიკაციო ნომერი. იმ შემთხვევაში, თუ დეკლარანტი არის საქონლის მიმღები, მაშინ შესაძლებელია გრაფაში მიეთითოს „იხ. გრაფა 8“.

13. გრაფა 15 „გამომგზავნი ქვეყანა“ – აღინიშნება საქონლის საქართველოში გამომგზავნი ქვეყნის მოკლე დასახელება კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. გამომგზავნი ქვეყანა განისაზღვრება სატრანსპორტო დოკუმენტებში მოყვანილი ცნობების საფუძველზე, რომელთა თანახმად ხორციელდებოდა საქონლის საერთაშორისო გადაზიდვა, ხოლო სასაქონლო ოპერაციის შეცვლის დროს საქონლის დეკლარირებისას გამომგზავნ ქვეყნად მიიჩნევა წინმსწრები დეკლარაციის შესაბამის გრაფაში მითითებული ქვეყანა.

14. გრაფა 15ა „გამომგზავნი ქვეყნის კოდი“ – აღინიშნება საქონლის საქართველოში გამომგზავნი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

14<sup>1</sup>. გრაფა 15ბ „გამომგზავნი ქვეყნის კოდი“ – აღინიშნება საქონლის საქართველოში გამომგზავნი ქვეყნის ასოითი კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

15. გრაფა 16. „წარმოშობის ქვეყანა“ – ჩაიწერება საქონლის წარმოშობის ქვეყნის მოკლე დასახელება კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ დეკლარირდება რამდენიმე დასახელების საქონელი, რომელთაც წარმოშობის განსხვავებული ქვეყნები აქვთ, გრაფაში ჩაიწერება „სხვადასხვა“, ხოლო თუ დეკლარაციის მირითადი ფურცლის 34ა გრაფაში მითითებულია „999“, მე-16 გრაფაში საქონლის წარმოშობის ქვეყნის მოკლე დასახელების ნაცვლად აღინიშნება „999“.

16. გრაფა 17. „დანიშნულების ქვეყანა“ – აღინიშნება დანიშნულების ქვეყნის მოკლე დასახელება კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

17. გრაფა 17-ა „დანიშნულების ქვეყნის კოდი“ – აღინიშნება დანიშნულების ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

17<sup>1</sup>. გრაფა 17ბ „დანიშნულების ქვეყნის კოდი“ – აღინიშნება დანიშნულების ქვეყნის ასოითი კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

18. გრაფა 18 „სატრანსპორტო საშუალება დანიშნულების ადგილზე“ – გრაფის მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება იმ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა და მონაცემები, რომლითაც ხდება საქონლის მიწოდება გაფორმების საგადასახადო ორგანომდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საჰაერო ხომალდის რეისის და ბორტის ნომრები, სარკინიგზო ვაგონის ნომერი, ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო ნომერი და სხვა მსგავსი მონაცემები). გრაფის მარჯვენა განყოფილებაში უნდა ჩაიწეროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. გრაფის სრულყოფილად შევსების შეუძლებლობის შემთხვევაში, კეთდება მითითება – „იხ. უკანა გვერდზე“. დეკლარაციის ორივე ეზომპლარის უკანა მხარეს აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა ნომრები.

19. გრაფა 19 „კტ“ – აღინიშნება: თუ საქონელი იგზავნება კონტეინერით – 1, ხოლო კონტეინერის ნომრები მიეთითება დეკლარაციის 31-ე გრაფაში; თუ საქონელი არ იგზავნება კონტეინერით – 0.

20. გრაფა 20 „მიწოდების პირობები“ – გრაფის პირველ განყოფილებაში აღინიშნება მიწოდების პირობების ასოითი კოდი კლასიფიკატორის მე-7 ნაწილის შესაბამისად, მეორე განყოფილებაში მიეთითება გეოგრაფიული პუნქტი (იმ შემთხვევაში, თუ მიწოდების ადგილი რამდენიმე გეოგრაფიული პუნქტია, მიეთითება პირველი მიწოდების პუნქტი). საქონლის წინასწარი დეკლარირებისას, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ 2“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობის მიზნით, გრაფის მეორე განყოფილებაში ასევე მიეთითება დანიშნულების პუნქტის გეოგრაფიული დასახელება.

იმ შემთხვევაში, თუ დეკლარირდება სასაქონლო პარტია, რომელსაც მიწოდების რამდენიმე (სხვადასხვა)



პირობა აქვს, მე-20 გრაფაში აღინიშნება „სხვადასხვა“, ხოლო დეკლარაციის ორივე ეგზემპლარის უკანა მხარეს მიეთითება მიწოდების პირობების ასოითი კოდი კლასიფიკატორის მე-7 ნაწილის შესაბამისად.

21. გრაფა 21 „სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე“ – გრაფის მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება იმ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა და მონაცემები, რომლითაც საქონელი მიწოდებულ იქნა საქართველოს საბაჟო საზღვრამდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საპარო ხომალდის რეისისა და ბორტის ნომრები, რკინიგზის ვაგონის ნომერი, ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი და სხვა ამგვარი მონაცემები). გრაფის სრულყოფილად შევსების შეუძლებლობის შემთხვევაში, კეთდებამითითება – „იხ. უკანა გვერდზე“. დეკლარაციის ორივე ეგზემპლარის უკანა მხარეს აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა ნომრები (მაგალითად: 23 რკინიგზ. ვაგ. - იხ. უკანა გვერდზე). გრაფის მარჯვენა განყოფილებაში მიეთითება სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

22. გრაფა 22 „ვალუტა და საქონლის საერთო ფაქტურული ღირებულება“ – გრაფის მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება ხელშეკრულებაში (კონტრაქტში), ან საქონლის საერთო ღირებულების დამადასტურებელ სხვა წარმოდგენილ დოკუმენტში მითითებული ვალუტის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ხოლო მარჯვენა განყოფილებაში ციფრებით აღინიშნება ამავე დოკუმენტებში მითითებული საქონლის (სასაქონლო პარტიის) საერთო ღირებულება შესაბამის ვალუტაში.

23. გრაფა 23 „ვალუტის კურსი“ – აღინიშნება 22-ე გრაფის მარცხენა განყოფილებაში მითითებული უცხოური ვალუტის კურსი ეროვნული ვალუტის მიმართ, რომელიც დადგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის.

24. გრაფა 24 „გარიგების სახე“ – აღინიშნება გარიგების სახეობის კოდი კლასიფიკატორის მე-8 ნაწილის შესაბამისად.

25. გრაფა 25 „ტსს კოდი, – ჩაიწერება 21-ე გრაფში მითითებული სატრანსპორტო საშუალების სახეობის კოდი კლასიფიკატორის მე-9 ნაწილის შესაბამისად ან მიეთითება „0“.

26. გრაფა 26 „სატრანსპორტო საშუალება ქვეყანაში“ – აღინიშნება მე-18 გრაფაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების სახეობის კოდი კლასიფიკატორის მე-9 ნაწილის შესაბამისად ან მიეთითება „0“.

27. გრაფა 28 „ფინანსური და საბანკო მონაცემები/სხვა ინფორმაცია“ – აღინიშნება:

ა) „GM-0“ იმ შემთხვევაში, თუ ფიტოსანიტარიულ ან/და ვეტერინარულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელებისას საქონლის თანხმლები დოკუმენტით სურსათში/ცხოველთა საკვებში დასტურდება 0,9%-ზე მეტი გმო-ს შემცველობა და საქონელი ეტიკეტირებულია დადგენილი წესის შესაბამისად, რაც უფლებამოსილი პირის მიერ ასახულია საერთო ფიტოსანიტარიული ან/და ვეტერინარული შესვლის დოკუმენტის შენიშვნაში სიმბოლო „GM-0“-ს აღნიშვნით;

ბ) „GM-1“ იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი ეტიკეტირებულია, ახლავს თანხმლები დოკუმენტი გმო-ს არსებობის შესახებ და ეტიკეტირებასთან შესაბამისობა არ არის შემოწმებული;

გ) მე-9 გრაფაში მითითებული პირის საბანკო რეკვიზიტები:

გ.ა) ფინანსური და საბანკო მონაცემები, კოდი – მიეთითება ბანკის (ფილიალის კოდი), სადაც მე-9 გრაფაში მითითებულ პირს გახსნილი აქვს ანგარიში;

გ.ბ) ბანკი (ფილიალი) - მიეთითება ბანკის (ფილიალის) დასახელება, სადაც მე-9 გრაფაში მითითებულ პირს გახსნილი აქვს ანგარიში.

28. გრაფა 29 „ საბაჟო გამშვები პუნქტი“ – აღინიშნება საბაჟო გამშვები პუნქტის დასახელება, საიდანაც შემოვიდა საქონელი საქართველოში, კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის შესაბამისად ან მიეთითება „55555“.

29. გრაფა 30 „საქონლის ადგილმდებარეობა“ – საბაჟო საწყობში ან შენახვის სხვა ადგილზე დროებით შენახული საქონლის დეკლარირებისას გრაფაში აღინიშნება საქონლის შენახვის ადგილის ხუთნიშნა კოდი კლასიფიკატორის მე-12 ნაწილის შესაბამისად. საქონლის წინასწარი დეკლარირებისას გრაფაში აღინიშნება „SGP99“. თუ ერთი მიმღების მისამართით გაგზავნილი, იმპორტის სასაქონლო ოპერაციისათვის განკუთვნილი საქონლის წარდგენა ხორციელდება საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე, გრაფაში აღინიშნება „AGR99“. ერთი მიმღების მისამართით გაგზავნილი, იმპორტის სასაქონლო ოპერაციისათვის განკუთვნილი წინასწარ დეკლარირებული საქონლისათვის „ყვითელი დერეფნის“ განსაზღვრის შემთხვევაში, როდესაც საქონლის განთავსება ხორციელდება საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე, დეკლარაციისათვის შეფასების ნომრის მინიჭებამდე გრაფაში მიეთითება „AGR99“.

30. გრაფა 31 „საქონლის აღწერა და რაოდენობა“ – აღინიშნება დეკლარირებული საქონლის ზოგადი აღწერილობა სეს ესნ-ის 11-ნიშნა სასაქონლო პოზიციის დონეზე ან საქონლის დასახელება, ხოლო რაოდენობაში – 1.“;

31. გრაფა 32 „საქ. №“ – მიეთითება 31-ე გრაფაში დეკლარირებული საქონლის რიგითი ნომერი. მაგალითად: თუ დეკლარირდება რამდენიმე დასახელების საქონელი, მაშინ დეკლარაციის ძირითად ფურცელში ჩაიწერება – 1, პირველ დამატებით ფურცელზე – 2, 3, 4; მეორე დამატებით ფურცელზე – 5, 6, 7 და ა.შ. ერთი დასახელების საქონლის დეკლარირებისას გრაფაში იწერება – 1.

32. გრაფა 33 „საქონლის კოდი“ – აღინიშნება საქონლის თერმოეტნიშნა კოდი სეს ესნ-ის მიხედვით.

33. გრაფა 34 „წ.ქ. კოდი“ – აღინიშნება საქონლის წარმოშობის ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. თუ შეუძლებელია საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადგენა, გრაფაში მიეთითება – „999“.



33<sup>1</sup>. გრაფა 34ბ „წ.ქ. კოდი“ – აღინიშნება საქონლის წარმოშობის ქვეყნის ასოითი კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. თუ შეუძლებელია საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადგენა, გრაფა არ იქსება.

34. გრაფა 35 „ბრუტო (კგ)“ – მთელი რიცხვის სახით აღინიშნება 31-ე გრაფაში აღწერილი საქონლის ბრუტო წონა კილოგრამებში.

35. გრაფა 36 „პრეფ.“ – იმ შემთხვევაში, თუ:

ა) საქონელი წარმოშობილია ქვეყანაში, რომელთანაც დადებული საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებს იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებას, გრაფაში აღინიშნება ამ ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

ბ) საქონელი წარმოშობილია ევროკავშირის წევრ ქვეყანაში, გრაფაში აღინიშნება კოდი – „150“ კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

გ) საქონელი წარმოშობილია სხვა ქვეყანაში (ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულის გარდა), გრაფაში აღინიშნება კოდი – „900“.

36. გრაფა 37 „სასაქონლო ოპერაცია“ – აღინიშნება ოთხთანრიგიანი და სამთანრიგიანი კოდი. ოთხთანრიგიანი კოდის პირველი ორი ციფრი აღნიშნავს მირითად სასაქონლო ოპერაციას და ჩაიწერება „40“, მეორე ორი ციფრი – წინმსწრებ სასაქონლო ოპერაციას ან საქონლის დროებით შენახვას განაცხადით და ჩაიწერება ამ სასაქონლო ოპერაციის კოდი კლასიფიკატორის პირველი ნაწილის შესაბამისად ან განაცხადით საქონლის დროებით შენახვის კოდი – „79“. თუ წინმსწრები სასაქონლო ოპერაცია ან განაცხადი არ არსებობს, მაშინ ჩაიწერება „00“. ექსპორტში უკან დაბრუნების პირობით მოქცეული საქონლის იმპორტის შემთხვევაში მეორე ორი ციფრის ადგილზე ჩაიწერება „12“. დაბრუნებული საქონლის იმპორტის შემთხვევაში მეორე ორი ციფრის ადგილზე ჩაიწერება „10“. სამთანრიგიან კოდში ჩაიწერება გადასახადების გაანგარიშების დამხმარე კოდი კლასიფიკატორის მე-5 ნაწილის შესაბამისად.

37. გრაფა 38 „ნეტო (კგ)“ – მთელი რიცხვის სახით ჩაიწერება 31-ე გრაფაში აღწერილი საქონლის ნეტო წონა კილოგრამებში. საჭიროების შემთხვევაში, საქონლის ზუსტი წონა (კგ) შესაძლებელია გამოისახოს ათწილადებში, მიმიმის შემდეგ ორ ციფრამდე სიზუსტით.

38. გრაფა 39 „კვოტა“ – ივსება კვოტირებულ საქონელზე. ამ გრაფაში აღინიშნება კვოტის ნაშთი მიღებული ნებართვით გათვალისწინებული რაოდენობიდან გამომდინარე (მაგალითად: ნებართვის თანახმად გამოყოფილი კვოტა შეადგენს 1000000 ცალს). საქონლის პირველ პარტიად დეკლარირებულია 400000 ცალი, დეკლარაციის 31-ე გრაფაში ჩაიწერება 400000 ცალი; 39-ე გრაფაში - 1000000. საქონლის შემდგომი პარტიის დეკლარირებისას, რომელიც წარმოებს ამავე ნებართვით გამოყოფილი კვოტის ფარგლებში, 39-ე გრაფაში ჩაიწერება 600000.

39. გრაფა 40 „წინმსწრები დოკუმენტი“ – ივსება იმ შემთხვევაში, როდესაც იმპორტში გაცხადებამდე საქონლის მიმართ გამოყენებული იყო სხვა სასაქონლო ოპერაცია. გრაფაში აღინიშნება წინმსწრები საბაჟო დეკლარაციის ნომერი და გაფორმების წელი.

40. გრაფა 41. „დამ. ზომ. ერთეული“ – აღინიშნება საქონლის რაოდენობა:

ა) იმ განზომილებაში, რომელიც სეს ესნ-ში შესაბამება საქონლის თერთმეტნიშნა კოდს (მაგალითად: საქონლის დასახელებაა – „წნეხამკრეფები“, საქონლის კოდია – 8433 40 100 00, მისი ზომის დამატებითი ერთეულია სეს ესნ-ის მიხედვით – „ცალი“ და რაოდენობაა – 10, გრაფაში ჩაიწერება – 10). თუ საქონელს შესაბამება ზომის მხოლოდ მირითადი ერთეული (კგ), მაშინ გრაფა არ ივსება;

ბ) იმ შემთხვევაში, როცა საქონლის იმპორტისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია იმპორტის გადასახადის ან/და აქციზის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება საქონლის კონკრეტულ ზომის ერთეულზე, გრაფაში აღინიშნება საქონლის რაოდენობა ამ ერთეულში (მაგალითად: საქონლის დასახელება – „პიროლიზის თხევადი პროდუქტი“, სასაქონლო სუბპოზიცია – 3911 90, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის შესაბამისად იბეგრება აქციზით: 1 ტონა 400 ლარი; რაოდენობა 45 000 კგ, 45 ტონა, ჩაიწერება – 45.)

41. გრაფა 42 „საქ. ღირებულ.“ – აღინიშნება დეკლარაციის 31-ე გრაფაში მოცემული საქონლის ღირებულება ხელშეკრულების (კონტრაქტის), ან საქონლის საერთო ღირებულების დამადასტურებელი სხვა წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით 22-ე გრაფაში მითითებული ვალუტის შესაბამისად. თუ ღირებულება გამოსახულია ათწილადებში, მაშინ იგი უნდა დამრგვალდეს მიმიმის შემდეგ პირველ ორ ციფრამდე სიზუსტით.

42. გრაფა 43 „ს.ღ.მ.“ – ჩაიწერება საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდის ნომერი.

43. გრაფა 44 „დამატ. ინფორმაცია“ – აღინიშნება დეკლარაციასთან ერთად წარდგენილი ნებართვის ნომერი (ასეთის არსებობის აუცილებლობის შემთხვევაში) და დოკუმენტაციის ნომრები კლასიფიკატორის მე-10 ნაწილის შესაბამისად.

44. გრაფა 45 „კორექტირება“ – აღინიშნება საქონლის ღირებულების კორექტირების კოეფიციენტი.

45. გრაფა 46 „ საბაჟო ღირებულება“ – აღინიშნება 31-ე გრაფაში მითითებული საქონლის საბაჟო ღირებულება ლარებში. გადასახარიშება ხდება დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსით.

46. გრაფა 47 „გადასახადების გამოთვლა“ – გადასახდელების გამოანგარიშება წარმოებს გადასახდელების სახეობების მიხედვით დეკლარაციის მირითად და დამატებით ფურცლებზე გაცხადებულ საქონელზე ცალ-ცალკე:

ა) გრაფის პირველ სვეტში – „სახე“ – ჩაიწერება გადასახდელის კოდი კლასიფიკატორის მე-4 ნაწილის

შესაბამისად;

ბ) გრაფის მეორე სვეტში - „დასაბეგრი ბაზა“ –ჩაიწერება გადასახდელის გამოანგარიშების საფუძველი, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

გ) გრაფის მესამე სვეტში - „განაკვეთი“ – აღინიშნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახდელის განაკვეთი.

დ) გრაფის მეოთხე სვეტში - „თანხა“ – აღინიშნება გამოანგარიშებული გადასახდელების თანხა.

ე) გრაფის ქვედა ნაწილში „ჯამი“-ის გასწვრივ აღინიშნება მეოთხე სვეტში - „თანხა“-ში მითითებული გადასახდელების თანხების ჯამი.

47. გრაფა 49 „საწყობის დასახელება“ – ივსება იმ შემთხვევაში, როდესაც იმპორტში დეკლარირებამდე საქონლის მიმართ გამოიყენებოდა საწყობის სასაქონლო ოპერაცია ან დროებით ინახებოდა საბაჟო საწყობში/დროებით შენახვის სხვა ადგილზე. გრაფაში აღინიშნება საბაჟო საწყობის/დროებით შენახვის სხვა ადგილის საიდენტიფიკაციო კოდი.

48. გრაფა 54 „ადგილი და თარიღი“ – მიეთითება დეკლარაციის შევსების ადგილი და თარიღი.

49. გრაფა B „დაწვრ. გაანგარიშება“ – სტრიქონში „გადახდილია სულ“ – აღინიშნება დეკლარირებულ საქონლის პარტიაზე გადასახდელების ჯამი.

50. გრაფები: B (გარდა სტრიქონისა – „გადახდილია სულ“) და C ივსება მხოლოდ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ.

51. გრაფა „B“ – აღინიშნება შეფასების A ნომერი და გადახდის ქვითრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნომერი და მათი მინიჭების თარიღები. შეფასების ნომერთან ერთად დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება შტრიბ-კოდი.

52. გრაფა „C“ „გაფორმების ორგანო“ – იმ შემთხვევაში, როდესაც ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამოდეკლარაციისათვის შტრიბ-კოდის მინიჭება ავტომატურად ვერ ხორციელდება, „C“ გრაფაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი სვამს დამღას – „გაშვება ნებადართულია“, დამღაში მითითებულ ადგილზე აწერს ხელს და უთითებს გაფორმების თარიღს.

53. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანამდე სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის შემთხვევაში, გაფორმების საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი დეკლარაციის M-40 გრაფაში მიუთითებს მოწმობის ან რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობის ან TIR წიგნაკის ნომერს, რომლითაც საქონელი მიეროდება გაფორმების საგადასახადო ორგანოს, ხოლო დეკლარაციის 44-ე გრაფაში მიუთითებს მოწმობის ან რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობის ან TIR წიგნაკის კოდს კლასიფიკატორის მე-10 ნაწილის შესაბამისად.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 31 იანვრის ბრძანება №3701 - ვებგვერდი, 08.02.2013წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 25 აპრილის ბრძანება №17494 - ვებგვერდი, 25.04.2013წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 10 მაისის ბრძანება №19867 - ვებგვერდი, 10.05.2013წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 20 იანვრის ბრძანება №2516 - ვებგვერდი, 27.01.2014წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 19 მარტის ბრძანება №16174 - ვებგვერდი, 24.03.2014წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 21 ივლისის ბრძანება №34336 - ვებგვერდი, 21.08.2014წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 15 სექტემბრის ბრძანება №40053 - ვებგვერდი, 19.09.2014წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 15 მაისის ბრძანება №16554 - ვებგვერდი, 20.05.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 22 ივლისის ბრძანება №26645 - ვებგვერდი, 24.07.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 4 აგვისტოს ბრძანება №28959 - ვებგვერდი, 17.08.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №33218 - ვებგვერდი, 07.09.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 4 მარტის ბრძანება №5590 - ვებგვერდი, 10.03.2016წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება №44089 - ვებგვერდი, 03.11.2014წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 18 მაისის ბრძანება №13442 - ვებგვერდი, 19.05.2016წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №5828 - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 6 სექტემბრის ბრძანება №23635 - ვებგვერდი, 03.10.2017წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება №26822 - ვებგვერდი, 05.10.2017წ.

### მუხლი 36. ექსპორტის სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესი

1. ექსპორტის სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფები 3, 5, 6, 7, 16, 19, 20, 22, 23, 24, 25, 26, 28, 30, 31, 32, 33, 34ა, 34ბ, 35, 36, 38, 39, 40, 41, 43, 46, 47, 48, 49, 54, A, B, C ივსება იმპორტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსების წესის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი ექსპორტში ექცევა უკან დაბრუნების პირობით, 31-ე გრაფაში ჩაიწერება სიტყვები: „დაბრუნების პირობით“.

2. გრაფა 1 „დეკლარაცია“ – გრაფის პირველ განყოფილებაში ჩაიწერება ოპერაციის დასახელება – ექსპორტი – „ექ“, მეორეში – ციფრული კოდი „1“.

3. გრაფა 2 „ექსპორტიორი“ – გრაფაში აღინიშნება საქონლის გამგზავნის შესახებ მონაცემები. თუ საქონლის გამგზავნი იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნია, გრაფაში აღინიშნება მისი სრული სახელწოდება, მისამართი, ტელეფონის ან ფაქსის (ტელეფაქსის) ნომერი, ხოლო გრაფის ზედა ნაწილში „№“ ნიშნის შემდეგ – მისი 9-ნიშნა საიდენტიფიკაციო ნომერი. თუ საქონლის გამგზავნი ფიზიკური პირია (გარდა მეწარმე ფიზიკური პირისა), გრაფაში აღინიშნება მისი სახელი, გვარი, მისამართი, გრაფის ზედა ნაწილში „№“ ნიშნის შემდეგ – მოქალაქის პირადობის მოწმობაში აღნიშნული პირია ნომერი, ხოლო არარეზიდენტი ფიზიკური პირის შემთხვევაში – ცხრანიშნა საიდენტიფიკაციო ნომერი.



4. გრაფა 8 „იმპორტიორი” – გრაფაში აღინიშნება საქონლის მიმღების რეკვიზიტები - იურიდიული პირის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის (ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი და გვარი) სახელწოდება და მისამართი.

5. გრაფა 14 „დეკლარაციული” – გრაფაში აღინიშნება დეკლარაციის სრული სახელწოდება და მისამართი. გრაფის ზედა ნაწილში „№“ ნიშნის შემდეგ აღინიშნება დეკლარაციის 9-ნიშნა საიდენტიფიკაციო ნომერი. იმ შემთხვევაში, თუ დეკლარაციი არის საქონლის მფლობელი, მაშინ შესაძლებელია გრაფაში მიეთითოს „იხ. გრაფა 2“.

6. გრაფა 17 „დანიშნულების ქვეყანა” – გრაფაში მიეთითება იმ ქვეყნის მოკლე დასახელება, კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რომელიც დეკლარაციის რეგისტრაციის დღისათვის ცნობილი იქნება, როგორც საქონლის დანიშნულების ქვეყანა, რომელშიც მოიხმარება, გამოიყენება და/ან გადამუშავდება საქონელი.

7. გრაფა 17ა „დანიშნულების ქვეყნის კოდი” – გრაფაში აღინიშნება დანიშნულების ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

7<sup>1</sup>. გრაფა 17ბ „დანიშნულების ქვეყნის კოდი” – გრაფაში აღინიშნება დანიშნულების ქვეყნის ასოითი კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

8. გრაფა 18 „სატრანსპორტო საშუალება გაზიარების ადგილზე“ – გრაფის მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება იმ სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობა და შემდეგ აღინიშნება სატრანსპორტო საშუალების მონაცემები, რომლებზეც საქონელი დაიტვირთება საქართველოს საბაჟო საზღვარზე (საბაჟო გამშვებ პუნქტში) მისატანად. გრაფის სრულყოფილად შევსების შეუძლებლობის შემთხვევაში, კეთდება მითითება - „იხ. უკანა გვერდზე“; დეკლარაციის სამივე ეგზემპლარის უკანა მხარეს აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა ნომრები; (მაგალითად: 01 ა/მ RS-000-GE. 23 რკინიგზ. ვაგ. - იხ. უკანა გვერდზე.) გრაფის მარჯვენა განყოფილებაში მიეთითება სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. თუ საქონელი გადაიზიდება სხვადასხვა ქვეყნებში რეგისტრირებული რამდენიმე სატრანსპორტო საშუალებით, მაშინ ჩაიწერება - „000“. გრაფის სრულყოფილად შევსების შეუძლებლობის შემთხვევაში, კეთდება მითითება - „იხ. უკანა გვერდზე“. დეკლარაციის სამივე ეგზემპლარის უკანა მხარეს აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა ნომრები. იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოდან საზღვაო გზით გასატან საყარ საქონელზე ან შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებულ შავი ლითონის ჯართზე დეკლარაცია ივსება სატრანსპორტო საშუალებაში მის ჩატვირთვამდე, გრაფაში მიეთითება „255“.

10. გრაფა 29 „საბაჟო გამშვები პუნქტი” – გრაფაში აღინიშნება საბაჟო გამშვები პუნქტის კოდი და დასახელება, საიდანაც უნდა გავიდეს საქონელი საქართველოდან, კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ საქონელი, 29-ე გრაფაში აღინიშნულის ნაცვლად, წარედგინა სხვა საბაჟო გამშვებ პუნქტს, პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი 29-ე გრაფაში დაფიქსირებულ მონაცემებს ცვლის იმ საბაჟო გამშვები პუნქტის კოდით და დასახელებით, რომლის გავლითაც საქონელი ტოვებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიას.

10<sup>1</sup>. გრაფა 30 „საქონლის ადგილმდებარეობა” – თუ ექსპორტის სასაქონლო ოპერაციისათვის განკუთვნილი საქონლის წარდგენა ხორციელდება საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე, გრაფაში აღინიშნება „AGR99“.

11. გრაფა 37 „სასაქონლო ოპერაცია“ – აღინიშნება ოთხთანრიგიანი და სამთანრიგიანი კოდი. ოთხთანრიგიანი კოდის პირველი ორი ციფრი აღნიშნავს მირითად სასაქონლო ოპერაციას და ჩაიწერება „10“, მეორე ორი ციფრი – წინმსწრებ სასაქონლო ოპერაციას ან საქონლის დროებით შენახვას განაცხადით და ჩაიწერება ამ სასაქონლო ოპერაციის კოდი კლასიფიკატორის პირველი ნაწილის შესაბამისად ან განაცხადით საქონლის დროებით შენახვის კოდი – „79“. თუ წინმსწრები სასაქონლო ოპერაცია ან განაცხადი არ არსებობს, მაშინ ჩაიწერება „00“. გადამუშავების შედეგად მიღებული გადამუშავებული საქონლის ექსპორტის შემთხვევაში პირველი ორი ციფრის ადგილზე ჩაიწერება „10“, ხოლო მეორე ორი ციფრის ადგილზე – „51“. იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი ექსპორტში ექცევა უკან დაბრუნების პირობით, პირველი ორი ციფრის ადგილზე ჩაიწერება „12“. სამთანრიგიან კოდში ჩაიწერება გადასახადების გაანგარიშების დამხმარე კოდი კლასიფიკატორის მე-5 ნაწილის შესაბამისად.

12. გრაფა 44 „დამატებითი ინფორმაცია“ – გრაფაში აღინიშნება დეკლარაციასთან ერთად წარდგენილი ნებართვის ნომერი (ასეთის არსებობის აუცილებლობის შემთხვევაში) და დოკუმენტაციის ნომრები კლასიფიკატორის მე-10 ნაწილის შესაბამისად. გრაფაში აღინიშნება საქონელზე ან/და სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული იდენტიფიკაციის საშუალების (ნიშნის) კოდი (420 ან 421) კლასიფიკატორის მე-10 ნაწილის შესაბამისად, ხოლო დეკლარაციის უკან გვერდზე მიეთითება იდენტიფიკაციის საშუალების ნომერი. რამდენიმე იდენტიფიკაციის საშუალების შემთხვევაში მიეთითება თითოეულის ნომერი სრულად, რომლებიც



ერთმანეთისგან გამოიყოფა წილადის ხაზით, ხოლო თუ ისინი თანმიმდევრობითაა აღებული, პირველი ნომერი ჩაიწერება სრულად, მომდევნო იდენტიფიკაციის საშუალებებზე კი მხოლოდ ნომრ(ებ)ის ბოლო ორი ციფრი, რომლებიც ერთმანეთისგან გამოიყოფა წილადის ხაზებით. ამასთან, იდენტიფიკაციის საშუალებ(ებ)ის ნომერი/ნომრები მიეთითება მხოლოდ ციფრებით;

13. ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული საქონლის შემთხვევაში (შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული ან წარმოებული პროდუქტის გარდა):

ა) გრაფა „A“ –ში დეკლარაციის რეგისტრაციის C (სტატისტიკური) ნომრის მინიჭება ნიშნავს დეკლარირების დასრულებას და საქონლის გაშვებას;

ბ) გრაფა „C“ „გამშვები საგადასახადო ორგანო“ – არ შეივსება;

გ) გრაფა „B“ – გრაფა ივსება გაფორმების ორგანოს ან დანიშნულების საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ დეკლარაციისათვის შეფასების „A“ ნომრის მინიჭებით, რაც ნიშნავს დეკლარაციის მიმართ გამოყენებული საბაჟო კონტრო ლის ღონისძიების დასრულებას. შეფასების ნომერთან ერთად დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება შტრიხ-კოდი.

14. ექსპორტის დასრულება დასტურდება დანიშნულების საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ „ASYCUDA“-ს მეშვეობით ელექტრონულად და დეკლარაციის „D“ გრაფაში სპეციალური აღნიშვნით – „მოხსნილია კონტროლიდან“.

15. იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოდან საზღვაო გზით გასატან საყარ საქონელზე ან შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებულ შავი ლითონის ჯართზე დეკლარაცია შევსებულია სატრანსპორტო საშუალებაში მის ჩატვირთვამდე, ექსპორტის დასრულებამდე, დეკლარაციაში ცვლილების განხორციელების თაობაზე დეკლარანტის წერილობითი განცხადებით მიმართავის შემდეგ, გაფორმების ორგანო დეკლარაციის:

ა) 21-ე და 25-ე გრაფებში უთითებს შესაბამის მონაცემებს, ხოლო 44-ე გრაფაში – შესაბამის კოდს (მათ შორის, სატრანსპორტო დოკუმენტის კოდს) კლასიფიკატორის მე-10 ნაწილის შესაბამისად; ან/და

ბ) თუ დეკლარაციაში საქონლის წონის შესახებ დაფიქსირებული მონაცემები არ ემთხვევა საქონლის სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვისას საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის მიერ შედგენილ აქტში მითითებულ მონაცემებს – 31-ე გრაფაში მითითებულ რაოდენობას ან/და 35-ე გრაფაში ან/და 38-ე გრაფაში მითითებულ წონას ცვლის საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტში მითითებული მონაცემების გათვალისწინებით.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 21 ივლისს ბრძანება №34336 - ვებგვერდი, 21.08.2014წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 12 თებერვლის ბრძანება №3756 - ვებგვერდი, 19.02.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 22 ივლისს ბრძანება №26645 - ვებგვერდი, 24.07.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 3 აგვისტოს ბრძანება №28705 - ვებგვერდი, 17.08.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 4 მარტის ბრძანება №5590 - ვებგვერდი, 10.03.2016წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 27 ოქტომბრის ბრძანება №29290 - ვებგვერდი, 31.10.2016წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №5828 - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 7 ნოემბრის ბრძანება №29630 - ვებგვერდი, 08.11.2017წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2018 წლის 12 თებერვლის ბრძანება №2935 - ვებგვერდი, 15.02.2018წ.

### მუხლი 37. რეესპორტის სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესი

1. რეესპორტის სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფები 2, 3, 5, 6, 7, 8, 14, 16, 17, 17ა, 17ბ, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34ა, 34ბ, 35, 36, 38, 39, 40, 41, 43, 44, 46, 48, 49, 54, A და C ივსება საქონლის ექსპორტში დეკლარირებისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსების წესის შესაბამისად.

2. გრაფა 1 „დეკლარაცია“ - გრაფის პირველ განყოფილებაში ჩაიწერება ოპერაციის დასახელება – რეესპორტი - „რეე“, მეორეში – ციფრული კოდი „1“.

3. გრაფა 13 „მომსახურების საფასური“ – აღინიშნება ციფრი „0“ – მხოლოდ მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებისას.

4. გრაფა 37 „სასაქონლო ოპერაცია“ – გრაფაში აღინიშნება ოთხთანრიგიანი და სამთანრიგიანი კოდი. ოთხთანრიგიანი კოდის პირველ ორ ციფრში ჩაიწერება - „11“, მეორე ორი ციფრი აღნიშნავს წინმსწრებ სასაქონლო ოპერაციას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ჩაიწერება ამ ოპერაციის კოდი კლასიფიკატორის პირველი ნაწილის შესაბამისად. სამთანრიგიან კოდში ჩაიწერება გადასახადების გაანგარიშების დამხმარე კოდი – „002“ კლასიფიკატორის მე-5 ნაწილის შესაბამისად.

5. გრაფა „B“ – გრაფი ივსება გაფორმების ორგანოს მიერ დეკლარაციისათვის შეფასების „A“ ნომრის მინიჭებით, რაც ნიშნავს დეკლარაციის მიმართ გამოსაყენებელი საბაჟო კონტრო ლის ღონისძიების შერჩევას. შეფასების ნომერთან ერთად დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება შტრიხ-კოდი.

6. საქართველოს საქონლის რეესპორტის შემთხვევაში (როდესაც დადგინდა, რომ იმპორტში მოქცეულ საქონელს აქვთ დეფექტი, ან რომლის რაოდენობა, ხარისხი, შეფუთვა ან აღწერილობა არ შეესაბამება გარიგებას და ამ მიზეზით უბრუნდება მომწოდებელს ან მის მიერ მითითებულ სხვა პირს):

ა) გრაფა 46 „საბაჟო ღირებულება“ – გრაფაში აღინიშნება 31-ე გრაფაში გაცხადებული საქონლის, წინმსწრებ



(იმპორტის) საბაჟო დეკლარაციაში მითითებული საბაჟო ღირებულება ლარებში. თუ დეკლარირებული საქონელი წინმსწრები საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული სასაქონლო პარტიის ნაწილია, 46-ე გრაფაში მითითებული საბაჟო ღირებულება იგივე პროპორციით უნდა შეესაბამებოდეს მთლიანი პარტიის საბაჟო ღირებულებას, როგორც დეკლარირებული საქონლის რაოდენობა მთლიანი პარტიის რაოდენობას;

ბ) გრაფა 47 „გადასახდელების გამოთვლა“ – ივსება საქონლის იმპორტში დეკლარირებისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსების წესის შესაბამისად და გრაფაში მითითებული გადასახდელების თანხა ნიშნავს დასაბრუნებელ ან მომავალ ვალდებულებათა ანგარიშში ჩასათვლელ თანხას. თუ დეკლარირებული საქონელი წინმსწრები საბაჟო დეკლარაციით იმპორტში მოქცეული სასაქონლო პარტიის ნაწილია, 47-ე გრაფაში მითითებული გადასახდელების თანხა იგივე პროპორციით უნდა შეესაბამებოდეს წინა საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული იმპორტის გადასახდელების თანხას, როგორც დეკლარირებული საქონლის რაოდენობა მთლიანი პარტიის რაოდენობას.

7. რეესპორტის დასრულება დასტურდება დანიშნულების საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ „ASYCUDA“-ს მეშვეობით ელექტრონულად და დეკლარაციის „D“ გრაფაში სპეციალური აღნიშვნით – „მოხსნილია კონტროლიდან“.

8. იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოდან საზღვაო გზით გასატან საყარ საქონელზე დეკლარაცია შევსებულია სატრანსპორტო საშუალებაში მის ჩატვირთვამდე, რეესპორტის დასრულებამდე, დეკლარაციაში ცვლილების განხორციელების თაობაზე დეკლარანტის წერილობითი განცხადებით მიმართავის შემდეგ, გაფორმების ორგანო დეკლარაციის:

ა) 21-ე და 25-ე გრაფებში უთითებს შესაბამის მონაცემებს, ხოლო 44-ე გრაფაში – შესაბამის კოდს (მათ შორის, სატრანსპორტო დოკუმენტის კოდს) კლასიფიკატორის მე-10 ნაწილის შესაბამისად; ან/და

ბ) თუ დეკლარაციაში საქონლის წონის შესახებ დაფიქსირებული მონაცემები არ ემთხვევა საქონლის სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვისას საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის მიერ შედგენილ აქტში მითითებულ მონაცემებს – 31-ე გრაფაში მითითებულ რაოდენობას ან/და 35-ე გრაფაში ან/და 38-ე გრაფაში მითითებულ წონას ცვლის საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტში მითითებული მონაცემების გათვალისწინებით.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 3 აგვისტოს ბრძანება №28705 - ვებგვერდი, 17.08.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №5828 - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

### მუხლი 38. საწყობის სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესი

1. საწყობის სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფები 2, 3, 5, 6, 7, 8, 14, 15, 15ა, 15ბ, 16, 17, 17ა, 17ბ, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34ა, 34ბ, 35, 36, 38, 39, 40, 41, 42, 43, 45, 46, 47, 48, 54, A, B და C ივსება იმპორტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსების წესის შესაბამისად.

2. გრაფა 1 „დეკლარაცია“ - გრაფის პირველ განყოფილებაში ჩაიწერება ოპერაციის დასახელება - „სხვ.“, მეორეში – ციფრული კოდი „7“.

3. გრაფა 37 „სასაქონლო ოპერაცია“ – აღნიშნება ოთხთანრიგიანი და სამთანრიგიანი კოდი. ოთხთანრიგიანი კოდის პირველი ორი ციფრი აღნიშნავს ძირითად სასაქონლო ოპერაციის და ჩაიწერება „74“, მეორე ორი ციფრი – წინმსწრებ სასაქონლო ოპერაციას ან საქონლის დროებით შენახვას განაცხადით და ჩაიწერება ამ სასაქონლო ოპერაციის კოდი კლასიფიკატორის პირველი ნაწილის შესაბამისად ან განაცხადით საქონლის დროებით შენახვის კოდი – „79“. თუ წინმსწრები სასაქონლო ოპერაცია ან განაცხადი არ არსებობს, მაშინ ჩაიწერება „00“. სამთანრიგიან კოდში ჩაიწერება გადასახადების გაანგარიშების დამხმარე კოდი „004“, კლასიფიკატორის მე-5 ნაწილის შესაბამისად.

4. გრაფა 44 „დამატებითი ინფორმაცია“ - გრაფაში აღინიშნება დეკლარაციასთან ერთად წარდგენილი ნებართვის ნომერი (ასეთის არსებობის აუცილებლობის შემთხვევაში) და დოკუმენტაციის ნომრები კლასიფიკატორის მე-10 ნაწილის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ 37-ე გრაფაში მითითებულია „7474“, მაშინ 44-ე გრაფაში მიეთითება იმ საბაჟო საწყობის საიდენტიფიკაციო კოდი, საიდანაც ხდება საქონლის გამოტანა. სამთანრიგიან კოდში ჩაიწერება გადასახადების გაანგარიშების დამხმარე კოდი „004“, კლასიფიკატორის მე-5 ნაწილის შესაბამისად.

5. გრაფა 49 „საწყობის დასახელება“ – გრაფის პირველ ნაწილში აღინიშნება საბაჟო საწყობის/შენახვის სხვა ადგილის საიდენტიფიკაციო კოდი. საბაჟო საწყობში შენახულ საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემისას ახალი მესაკუთრის მიერ წარდგენილ დეკლარაციაში საბაჟო საწყობის საიდენტიფიკაციო კოდს ბოლოში ემატება – „/1..“ გრაფის მეორე ნაწილში მიეთითება ციფრი „5000..“

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 15 მაისის ბრძანება №16554 - ვებგვერდი, 20.05.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 22 ივლისის ბრძანება №26645 - ვებგვერდი, 24.07.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №5828 - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

### მუხლი 39. დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესი

1. დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფები 2, 3, 5, 6, 7, 8, 13, 14, 15, 15ა, 15ბ, 16, 17, 17ა, 17ბ, 18, 19, 20, 21, 22, 23, 25, 26, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34ა, 34ბ,



35, 36, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 54, A, B და C ივსება იმპორტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსების წესის შესაბამისად.

2. გრაფა 1 „დეკლარაცია“ – გრაფის პირველ განყოფილებაში ჩაიწერება ოპერაციის დასახელება - „დრი“, მეორეში – ციფრული კოდი „3“.

3. გრაფა 24 „გარიგების სახე“ - გრაფაში აღინიშნება გარიგების სახეობის კოდი კლასიფიკატორის კლასიფიკატორის მე-8 ნაწილის შესაბამისად.

4. გრაფა 37 „სასაქონლო ოპერაცია“ – აღინიშნება ოთხთანრიგიანი და სამთანრიგიანი კოდი. ოთხთანრიგიანი კოდის პირველი ორი ციფრი აღნიშნავს ძირითად სასაქონლო ოპერაციას და ჩაიწერება „34“, მეორე ორ ციფრი – წინმსწრებ სასაქონლო ოპერაციას ან საქონლის დროებით შენახვას განაცხადით და ჩაიწერება ამ სასაქონლო ოპერაციის კოდი კლასიფიკატორის პირველი ნაწილის შესაბამისად ან განაცხადით საქონლის დროებით შენახვის კოდი – „79“. თუ წინმსწრები სასაქონლო ოპერაცია ან განაცხადი არ არსებობს, მაშინ ჩაიწერება „00“. სამთანრიგიან კოდში ჩაიწერება გადასახადების გაანგარიშების დამხმარე კოდი კლასიფიკატორის მე-5 ნაწილის შესაბამისად.

5. გრაფა 49 „საწყობის დასახელება“ – გრაფის:

ა) პირველ ნაწილში მიეთითება საბაჟო საწყობის/შენახვის სხვა ადგილის საიდენტიფიკაციო კოდი იმ შემთხვევაში, თუ დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში დეკლარირებამდე საქონლის მიმართ გამოიყენებოდა საწყობის სასაქონლო ოპერაცია;

ბ) მეორე ნაწილში მიეთითება საქონლის დროებითი შემოტანის ვადა დღეებში.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 22 ივლისს ბრძანება №26645 - ვებგვერდი, 24.07.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №5828 - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

#### მუხლი 40. შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესი

1. შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფები 2, 3, 5, 6, 7, 8, 13, 12, 14, 15, 15ა, 15ბ, 16, 17, 17ა, 17ბ, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34ა, 34ბ, 35, 36, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 54, A, B და C ივსება იმპორტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსების წესის შესაბამისად.

2. გრაფა 1 „დეკლარაცია“ – გრაფის პირველ განყოფილებაში ჩაიწერება ოპერაციის დასახელება - „იმ“, მეორეში - ციფრული კოდი „5“.

2<sup>1</sup>. გრაფა 30 „საქონლის ადგილმდებარეობა“ – თუ ერთი მიმღების მისამართით გაგზავნილი, შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციისათვის განკუთვნილი საქონლის წარდგენა ხორციელდება საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ ტერიტორიაზე, გრაფაში აღინიშნება „AGR99“.

3. გრაფა 31 „საქონლის აღწერა და რაოდენობა“ – შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას დამატებით ჩაიწერება „გადამუშავების ვადა ..... მდე“, ხოლო საქონლის გადამუშავების ვადის გაგრძელების შემთხვევაში თავდაპირველ საბაჟო დეკლარაციაში შედის ცვლილება და გრაფაში ჩაიწერება „გადამუშავების ვადა გაგრძელებულია ..... მდე“.

4. გრაფა 37 „სასაქონლო ოპერაცია“ – გრაფაში აღინიშნება ოთხთანრიგიანი და სამთანრიგიანი კოდი. ოთხთანრიგიანი კოდის პირველი ორი ციფრი აღნიშნავს ძირითად „სასაქონლო ოპერაციას“ და ჩაიწერება „51“, მეორე ორი ციფრი – წინმსწრებ სასაქონლო ოპერაციას ან საქონლის დროებით შენახვას განაცხადით და ჩაიწერება ამ სასაქონლო ოპერაციის კოდი კლასიფიკატორის პირველი ნაწილის შესაბამისად ან განაცხადით საქონლის დროებით შენახვის კოდი – „79“. თუ წინმსწრები სასაქონლო ოპერაცია ან განაცხადი არ არსებობს, მაშინ ჩაიწერება „00“. სამთანრიგიან კოდში ჩაიწერება გადასახადების გაანგარიშების დამხმარე კოდი კლასიფიკატორის მე-5 ნაწილის შესაბამისად.

5. გრაფა 49 „საწყობის დასახელება“ – გრაფის:

ა) პირველ ნაწილში მიეთითება საბაჟო საწყობის/შენახვის სხვა ადგილის საიდენტიფიკაციო კოდი იმ შემთხვევაში, თუ შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში დეკლარირებამდე საქონლის მიმართ გამოიყენებოდა საწყობის სასაქონლო ოპერაცია;

ბ) მეორე ნაწილში მიეთითება საქონლის შიდა გადამუშავების ვადა დღეებში.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 21 ივლისს ბრძანება №34336 - ვებგვერდი, 21.08.2014წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 22 ივლისს ბრძანება №26645 - ვებგვერდი, 24.07.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 4 მარტის ბრძანება №5590 - ვებგვერდი, 10.03.2016წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №5828 - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

#### მუხლი 41. გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესი

1. გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფები 2, 3, 5, 6, 7, 8, 14, 16, 17, 17ა, 17ბ, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34ა, 34ბ, 35, 36, 38, 39, 40, 41, 44, 46, 47, 48, 54, A და C ივსება ექსპორტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსების წესის შესაბამისად.



2. გრაფა 1 „დეკლარაცია“ – გრაფის პირველ განყოფილებაში ჩაიწერება ოპერაციის დასახელება - „ექ“, მეორეში – ციფრული კოდი „6“.

3. გრაფა 31 „საქონლის აღწერა და რაოდენობა“ – გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას დამატებით ჩაიწერება „გადამუშავების ვადაა ..... მდე“, ხოლო საქონლის გადამუშავების ვადის გაგრძელების შემთხვევაში თავდაპირველ საბაჟო დეკლარაციაში შედის ცვლილება და გრაფაში ჩაიწერება „გადამუშავების ვადა გაგრძელებულია ..... მდე“.

4. გრაფა 37 „სასაქონლო ოპერაცია“ – გრაფაში აღინიშნება ოთხთანრიგიანი და სამთანრიგიანი კოდი. ოთხთანრიგიანი კოდის პირველი ორი ციფრი აღნიშნავს ძირითად სასაქონლო ოპერაციას და ჩაიწერება - „61“, მეორე ორი ციფრი – წინმსწრებ სასაქონლო ოპერაციას ან საქონლის დროებით შენახვას განაცხადით და ჩაიწერება ამ სასაქონლო ოპერაციის კოდი კლასიფიკატორის პირველი ნაწილის შესაბამისად ან განაცხადით საქონლის დროებით შენახვის კოდი – „79“. თუ წინმსწრები სასაქონლო ოპერაცია ან განაცხადი არ არსებობს, მაშინ ჩაიწერება „00“. სამთანრიგიან კოდში ჩაიწერება გადასახადების გაანგარიშების დამხმარე კოდი კლასიფიკატორის მე-5 ნაწილის შესაბამისად.

5. გრაფა „B“ – გრაფა ივსება გაფორმების ორგანოს მიერ დეკლარაციისათვის შეფასების „A“ ნომრის მინიჭებით, რაც ნიშნავს დეკლარაციის მიმართ გამოსაყენებელი საბაჟო კონტრო ლის ღონისძიების შერჩევას. შეფასების ნომერთან ერთად დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება შტრიბ-კოდი.

6. გარე გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა დასტურდება დანიშნულების საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ „ASYCUDA“-ს მეშვეობით ელექტრონულად და დეკლარაციის „D“ გრაფაში სპეციალური აღნიშვნით – „მოხსნილია კონტროლიდან“.

7. გრაფა 49 „საქუობის დასახელება“ – გრაფის მეორე ნაწილში მიეთითება საქონლის გარე გადამუშავების ვადა დღეებში.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 22 ივლისის ბრძანება №26645 - ვებგვერდი, 24.07.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №5828 - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

#### **მუხლი 42. ტრანზიტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსების წესი**

1. ტრანზიტის სასაქონლო ოპერაციის განხორციელებისას დეკლარანტი ავსებს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შემდეგ გრაფებს: A, 1, 2, 3, 5, 6, 7, 8, 14, 15, 15ა, 15ბ, 17, 17ა, 17ბ, 18, 19, 21, 25, 29, 31, 32, 33, 35, 37, 38, 40, 41, 44, 49, 50, 54. გრაფების: 9, 11, 16, 20, 22, 23, 24, 26, 27, 28, 30, 34ა, 34ბ, 36, 39, 42, 43, 46, 47 შევსება სავალდებულო არ არის და ივსება დეკლარანტის სურვილის შემთხვევაში, იმპორტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის შევსების წესის შესაბამისად.

2. გრაფა „A“ – აღინიშნება გამგზავნი საგადასახადო ორგანოს ხუთნიშნა ციფრული კოდი და დასახელება კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის შესაბამისად. ამავე გრაფაში აღინიშნება დეკლარაციის რეგისტრაციის C (სტატისტიკური) ნომერი და რეგისტრაციის თარიღი.

3. გრაფა 1 „დეკლარაცია“ – პირველ განყოფილებაში ჩაიწერება ოპერაციის დასახელება – ტრანზიტი - „ტრ“, მეორეში – ციფრული კოდი „8“.

4. გრაფა 2 „ექსპორტიორი“ – აღინიშნება საქონლის გამოგზავნის რეკვიზიტები: იურიდიული პირის, ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნის ან მათი სტრუქტურული ქვედანაყოფის სახელწოდება და მისამართი, ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი.

5. გრაფა 3 „ფორმები“ – პირველ განყოფილებაში აღინიშნება ფურცლის რიგითი ნომერი, მეორეში – დეკლარაციის ფურცლების საერთო რაოდენობა ძირითადი და დამატებითი ფურცლების ჩათვლით. (მაგალითად, თუ გვაქვს ერთი დეკლარაცია ორი დამატებითი ფურცლით, მაშინ ძირითადი ფურცლის მე-3 გრაფის პირველ განყოფილებაში უნდა აღინიშნოს - 1, მეორე განყოფილებაში - 3, პირველ დამატებით ფურცელში - 2 და 3, მეორეში - 3 და 3).

6. გრაფა 5 „საქონლის რაოდენობა“ – მიეთითება დეკლარირებული უკანასკნელი საქონლის რიგითი ნომერი.

7. გრაფა 6 „ადგილების რაოდენობა“ – აღინიშნება დეკლარირებული საქონლის (სასაქონლო პარტიის) ადგილების საერთო რაოდენობა, რაც მოცემულია სატრანსპორტო დოკუმენტებში. თუ დეკლარირდება მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონლი, გრაფაში ჩაიწერება „1“. საქონლისათვის, რომელიც გადაიზიდება კონტეინერებით, ყუთებით, ქვეშით („პოდდონი“) და ა.შ., მიეთითება რაოდენობა იმ უმცირესი შეფუთვისა, რომელიც მოცემულია სატრანსპორტო დოკუმენტებში, როგორც სატვირთო ადგილი.

8. გრაფა 7 „საცნობარო ნომერი“ – აღინიშნება დეკლარანტის მიერ დეკლარაციისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

9. გრაფა 8 „იმპორტიორი“ – აღინიშნება საქონლის მიმღების რეკვიზიტები. თუ საქონლის მიმღები იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნია, გრაფაში აღინიშნება მისი სრული სახელწოდება და მისამართი; თუ საქონლის მიმღები ფიზიკური პირია, გრაფაში აღინიშნება მისი სახელი, გვარი, მისამართი.

10. გრაფა 14 „დეკლარანტი/წარმომადგენელი“ – გრაფაში აღინიშნება დეკლარანტის სრული სახელწოდება და მისამართი. გრაფის ზედა ნაწილში „№“ ნიშნის შემდეგ აღინიშნება წარმომადგენლის ცხრანიშნა საიდენტიფიკაციო ნომერი. იმ შემთხვევაში, თუ დეკლარირებას ახორციელებს საქონლის მფლობელი, მაშინ შესაძლებელია გრაფაში მიეთითოს – „იხ. გრაფა 2“.

11. გრაფა 15 „გამოგზავნი ქვეყანა“ – აღინიშნება საქონლის გამოგზავნი ქვეყნის მოკლე დასახელება



კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის ნაწილი შესაბამისად. გამომგზავნი ქვეყანა განისაზღვრება სატრანსპორტო დოკუმენტებში მოყვანილი ცნობების საფუძველზე, რომელთა თანახმად ხორციელდებოდა საქონლის საერთაშორისო გადაზიდვა, ხოლო სასაქონლო ოპერაციის შეცვლის დროს საქონლის დეკლარირებისას, გამომგზავნი ქვეყნად მიიჩნევა წინმსწრები დეკლარაციის შესაბამის გრაფაში მითითებული ქვეყანა.

12. გრაფა 15ა. „გამომგზავნი ქვეყნის კოდი” – აღინიშნება საქონლის გამომგზავნი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის ნაწილი შესაბამისად.

12<sup>1</sup>. გრაფა 15ბ. „გამომგზავნი ქვეყნის კოდი” – აღინიშნება საქონლის გამომგზავნი ქვეყნის ასოითი კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

13. გრაფა 17 „დანიშნულების ქვეყანა” – მიეთითება დანიშნულების ქვეყნის მოკლე დასახელება კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

14. გრაფა 17ა. „დანიშნულების ქვეყნის კოდი” – აღინიშნება დანიშნულების ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

14<sup>1</sup>. გრაფა 17ბ. „დანიშნულების ქვეყნის კოდი” – აღინიშნება დანიშნულების ქვეყნის ასოითი კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

15. გრაფა 18 „სატრანსპორტო საშუალება დანიშნულების ადგილზე” – მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება სატრანსპორტო საშუალების მონაცემები, რომლითაც ხდება საქონლის მიწოდება დანიშნულების საგადასახადო ორგანომდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საჰაერო ხომალდის რეისის და ბორტის ნომრები, ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო ნომერი, სარკინიგზო ვაგონის ნომერი და სხვა მსგავსი მონაცემები). გრაფის მარჯვენა განყოფილებაში უნდა ჩაიწეროს სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად. გრაფის სრულყოფილად შევსების შეუძლებლობის შემთხვევაში, კეთდება მითითება - „იხ. უკანა გვერდზე”; დეკლარაციის სამივე ეზემპლარის უკანა მხარეს აღინიშნება სატრანსპორტო საშუალებათა ნომრები, მაგალითად: „23 რკინიგზ. ვაგ. - იხ. უკანა გვერდზე”.

16. გრაფა 19 „კონტეინერი” – აღინიშნება: თუ საქონელი იგზავნება კონტეინერით – 1, ხოლო კონტეინერის ნომრები მიეთითება დეკლარაციის 31-ე გრაფაში; თუ საქონელი არ იგზავნება კონტეინერით – 0.

17. გრაფა 21 „სატრანსპორტო საშუალება საზღვარზე” – მარცხენა განყოფილებაში აღინიშნება სატრანსპორტო საშუალების მონაცემები, რომლითაც საქონელი მიწოდებულ იქნა საქართველოს საბაჟო საზღვრამდე (საზღვაო სატრანსპორტო საშუალების დასახელება, საჰაერო ხომალდის რეისისა და ბორტის ნომრები, რკინიგზის ვაგონის ნომერი, ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო ნომერი, და სხვა ამგვარი მონაცემები). გრაფის მარჯვენა განყოფილებაში მიეთითება სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ქვეყნის ციფრული კოდი კლასიფიკატორის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

18. გრაფა 25 „ტსს კოდი” – ჩაიწერება 21-ე გრაფაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების სახეობის კოდი კლასიფიკატორის მე-9 ნაწილის შესაბამისად.

19. გრაფა 29 „ საბაჟო გამშვები პუნქტი“ – აღინიშნება საბაჟო გამშვები პუნქტის დასახელება, საიდანაც უნდა გავიდეს საქონლი საქართველოდან, კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

20. გრაფა 31 „საქონლის აღწერა და რაოდენობა” – აღინიშნება დეკლარირებული საქონლის ზუსტი მონაცემები შეფუთვასა და მარკირებაზე, რაც იძლევა საქონლის იდენტიფიცირების შესაძლებლობას. თითოეული მონაცემი ჩაიწერება ახალი სტრიქონით. გრაფაში აღინიშნება სატვირთო ადგილების, მათი შეფუთვისა და მარკირების შესახებ მონაცემები, აგრეთვე ერთი ადგილის შემცველ საქონელთა რაოდენობის, შეფუთვის, დაფასოების, მარკირების შესახებ მონაცემები; კონტეინერებით გადაზიდულ საქონელზე მიეთითება კონტეინერების რაოდენობა და წილადის ხაზის შემდეგ – მათი ნომრები. თუ საქონელს არ უკავია მთელი კონტეინერი, მისი ნომრის შემდეგ ჩაიწერება – „ნაწილი”; აღინიშნება მარკირებულ აქციზურ საქონელზე აქციზური მარკების სერია და რაოდენობა; აღინიშნება საქონლის ზუსტი აღწერილობა: დასახელება, მისი ტექნიკური და ძირითადი კომერციული მახასიათებლები.

21. გრაფა 32 „საქონელი №” – მიეთითება 31-ე გრაფაში დეკლარირებული საქონლის რიგითი ნომერი. (მაგალითად: თუ დეკლარირდება რამდენიმე დასახელების საქონელი, მაშინ დეკლარაციის ძირითად ფურცელში ჩაიწერება – 1, პირველ დამატებით ფურცელზე – 2, 3, 4; მეორე დამატებით ფურცელზე – 5, 6, 7 და ა.შ.) ერთი დასახელების საქონლის დეკლარირებისას გრაფაში იწერება – 1.

22. გრაფა 33 „საქონლის კოდი” – აღინიშნება საქონლის კოდი სეს ესნ-ის მიხედვით ორ ნიშნამდე სიზუსტით სავალდებულოდ, აქციზური საქონლის დეკლარირებისას – თერთმეტ ნიშნამდე სიზუსტით.

23. გრაფა 35 „ბრუტო (კგ)” – მთელი რიცხვის სახით აღინიშნება 31-ე გრაფაში აღწერილი საქონლის ბრუტო წონა კილოგრამებში.

24. გრაფა 37 „სასაქონლო ოპერაცია“ – აღინიშნება ოთხთანრიგიანი და სამთანრიგიანი კოდი. ოთხთანრიგიანი კოდის პირველი ორი ციფრი აღნიშნავს ძირითად სასაქონლო ოპერაციას და ჩაიწერება – „80”, მეორე ორი ციფრი – წინმსწრებ სასაქონლო ოპერაციას და ჩაიწერება ამ ოპერაციის კოდი კლასიფიკატორის პირველი ნაწილის შესაბამისად. თუ წინმსწრები სასაქონლო ოპერაცია არ არსებობს, მაშინ იწერება – „00”. სამთანრიგიან კოდში ჩაიწერება გადასახადების გაანგარიშების დამხმარე კოდი კლასიფიკატორის მე-5 ნაწილის შესაბამისად.

25. გრაფა 38 „ნეტო (კგ)” – მთელი რიცხვის სახით ჩაიწერება 31-ე გრაფაში აღწერილი საქონლის ნეტო წონა



კოლგრამებში. საჭიროების შემთხვევაში, საქონლის ზუსტი წონა (კგ) შესაძლებელია გამოისახოს ათწილადებში, მძიმის შემდეგ ორ ციფრამდე სიზუსტით.

26. გრაფა 40 „წინმსწრები დოკუმენტი” – ივსება იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანზიტში დეკლარირებამდე საქონლის მიმართ გამოიყენებოდა სხვა სასაქონლო ოპერაცია. გრაფაში აღინიშნება წინმსწრები საბაჟო დეკლარაციის ნომერი და გაფორმების წელი.

27. გრაფა 41 „დამატებითი ზომის ერთეული” – აღინიშნება საქონლის რაოდენობა იმ განზომილებაში, რომელიც სეს ეს-ში შეესაბამება საქონლის თერთმეტნიშნა კოდს (მაგალითად: საქონლის დასახელება – „წეხამკრეფები”, საქონლის კოდი – 8433 40 100 00, მისი ზომის დამატებითი ერთეული სეს ეს-ის მიხედვით – ცალი, რაოდენობა – 10, გრაფაში ჩაიწერება – 10). თუ საქონელს შეესაბამება ზომის მხოლოდ ძირითადი ერთეული (კგ), მაშინ გრაფა არ ივსება.

28. გრაფა 44 „დამატებითი ინფორმაცია” – აღინიშნება დეკლარაციასთან ერთად წარდგენილი ნებართვის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დოკუმენტაციის ნომრები კლასიფიკატორის მე-10 ნაწილის შესაბამისად.

29. გრაფა 49 „საწყობის დასახელება” – გრაფა ივსება იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანზიტში დეკლარირებამდე საქონლის მიმართ გამოიყენებოდა საწყობის სასაქონლო ოპერაცია ან დროებით დასაწყობებული იყო საბაჟო საწყობ ში. გრაფაში აღინიშნება საბაჟო საწყობის საიდენტიფიკაციო კოდი.

30. გრაფა 50 „პრინციპალი” – აღინიშნება გადამზიდველის რეკვიზიტები. „წარმომადგენლის” გასწვრივ აღინიშნება გადაზიდვაზე პასუხისმგებელი პირის (მძღოლის) სახელი, გვარი და პასპორტის (მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვის შემთხვევაში) ნომერი.

31. გრაფა 54 „ადგილი და თარიღი” – მიეთითება დეკლარაციის შევსების თარიღი. მე-14 გრაფაში მითითებული პირი ხელმოწერით ადასტურებს დეკლარაციაში ასახული ტექსტობრივი და ციფრული ინფორმაციის სისწორეს.

32. გრაფები: B, C და D ივსება მხოლოდ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ.

33. გრაფა „B” – გრაფა ივსება გაფორმების ორგანოს მიერ დეკლარაციისათვის შეფასების „A“ ნომრის მინიჭებით, რაც ნიშნავს დეკლარაციის მიმართ გამოსაყენებელი საბაჟო კონტრო ლის ღონისძიების შერჩევას. შეფასების ნომერთან ერთად დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება შტრიბ-კოდი„.

34. ტრანზიტის დასრულება დასტურდება დანიშნულების საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ „ASYCUDA“-ს მეშვეობით ელექტრონულად და დეკლარაციის „D“ გრაფაში სპეციალური აღნიშვნით – „მოხსნილია კონტროლიდან“.

35. იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოდან საზღვაო გზით გასატან საყარ საქონელზე დეკლარაცია შევსებულია სატრანსპორტო საშუალებაში მის ჩატვირთვამდე, ტრანზიტის დასრულებამდე, დეკლარაციაში ცვლილების განხორციელების თაობაზე დეკლარანტის წერილობითი განცხადებით მიმართვის შემდეგ, გაფორმების ორგანო:

ა) დეკლარაციის 21-ე და 25-ე გრაფებში უთითებს შესაბამის მონაცემებს, ხოლო 44-ე გრაფაში – შესაბამის კოდს (მათ შორის, სატრანსპორტო დოკუმენტის კოდს) კლასიფიკატორის მე-10 ნაწილის შესაბამისად, ან/და

ბ) თუ დეკლარაციაში საქონლის წონის შესახებ დაფიქსირებული მონაცემები არ ემთხვევა საქონლის სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვისას საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის მიერ შედგენილ აქტში მითითებულ მონაცემებს – 31-ე გრაფაში მითითებულ რაოდენობას ან/და 35-ე გრაფაში ან/და 38-ე გრაფაში მითითებულ წონას ცვლის საქონლის რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე სურვეირული კომპანიის აქტში მითითებული მონაცემების გათვალისწინებით.

შემთსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №5828 - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

შემთსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 20 აპრილის ბრძანება №10425 - ვებგვერდი, 25.04.2017წ.

## თავი VI. საბაჟო დეკლარაციის შემოწმება

### მუხლი 43. საბაჟო დეკლარაციის დოკუმენტური შემოწმება

1. საბაჟო დეკლარაციის შემოწმებას ატარებს საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი, რომლის არჩევასაც უზრუნველყოფს კომპიუტერული პროგრამა, ხოლო კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით არჩევის შეუძლებლობის შემთხვევაში, თანამშრომელს ირჩევს უშუალო ხელმძღვანელი წერილობითი გადაწყვეტილებით, რაც ფორმდება განაცხადზე დადებული რეზოლუციით.

2. საბაჟო დეკლარაციის შემოწმების ეტაპებია:

ა) დეკლარაციის შევსების სისწორის შემოწმება;

ბ) სეს ეს-ის კოდის განსაზღვრის პირველადი (დოკუმენტური) შემოწმება;

გ) აკრძალვების, შეზღუდვების და გაცხადებულ სასაქონლო ოპერაციაში საქონლის მოქცევის პირობების შემოწმება;

დ) საგადასახადო შეღავათების გამოყენების შემოწმება;

ე) საბაჟო ღირებულების განსაზღვრის შემოწმება;

ვ) გადასახდელების დარიცხვის შემოწმება.



#### **მუხლი 44. საბაჟო დეკლარაციის შევსების სისწორის შემოწმება**

1. საბაჟო დეკლარაციის შევსების სისწორის შემოწმებისას ყურადღება ექცევა კლასიფიკატორის გამოყენების სისწორეს, გრაფებში მონაცემთა შეტანის სისწორეს, წარმომადგენლის მიერ დეკლარირების განხორციელების შემთხვევაში – წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობას. ამავე ეტაპზე ხდება საბაჟო დეკლარაციის ვადების შემოწმება.

2. საბაჟო დეკლარაციის შეტანი მონაცემის გამოვლენისას, რომელიც იწვევს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევი-სათვის პასუხისმგებლობას, მაგრამ არ წარმოადგენს დეკლარაციის ბათილად ან/და ძალადაკარგულად ცნობის საფუძველს, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ახორციელებს შემდეგ მოქმედებებს:

ა) დადგენილი წესით ადგენს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს;

ბ) საბაჟო დეკლარაციის შეტანის შემდეგ ამობეჭდავს კორექტირებულ საბაჟო დეკლარაციის გადასცემს) დეკლარანტს;

გ) ახორციელებს საქონლის გაშვებას ამ მუხლის მე-4-მე-6 პუნქტებით განსაზღვრული წესით;

დ) საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის წარმოების ან/და სანქციის აღსრულების უზრუნველსაყოფად სამართალდარღვევის საქონლის მიმართ შესაბამისი უზრუნველყოფის ღონისძიებების – ჩამორთმევის გამოყენების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს მიერ მიიღება გადაწყვეტილება საქონლის გაშვების პროცედურების შეჩერების შესახებ სამართალდარღვევის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებით ჩანაცვლებამდე (გარანტის წარმოდგენამდე).

3. დეკლარანტს უფლება აქვს, დაეთანხმოს კორექტირებული საბაჟო დეკლარაციის მონაცემებს ან გაასაჩივროს იგი დადგენილი წესით.

4. იმ შემთხვევაში, როცა საბაჟო დეკლარაციის შეტანა იწვევს გადასახდელების თანხის ოდენობის გაზრდას:

ა) თუ დეკლარანტი ეთანხმება კორექტირებული საბაჟო დეკლარაციის მონაცემებს, იხდის კორექტირებული საბაჟო დეკლარაციის გადასახდელებსა და თავდაპირველი საბაჟო დეკლარაციის დეკლარირებულ (გადახდილ) გადასახდელებს შორის სხვაობას;

ბ) თუ დეკლარანტი არ ეთანხმება კორექტირებული საბაჟო დეკლარაციის მონაცემებს, მაგრამ ითხოვს საქონლის დაუყოვნებლივ გაშვებას, დამატებით წარმოადგენს არანაკლებ ორთვიან გარანტიას, რომლის საგარანტიო თანხა ტოლია კორექტირებული საბაჟო დეკლარაციის გადასახდელებსა და თავდაპირველი საბაჟო დეკლარაციის დეკლარირებულ (გადახდილ) გადასახდელებს შორის არსებული სხვაობისა; საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი კორექტირებული საბაჟო დეკლარაციის ყველა ეგზემპლარზე „C“ გრაფაში აკეთებს აღნიშვნას – „გაშვება ნებადართულია გარანტიით“, ანიჭებს „A“ ნომერს და უშვებს საქონელს.

5. იმ შემთხვევაში, როცა საბაჟო დეკლარაციის შეტანა არ იწვევს გადასახდელების თანხის ოდენობის გაზრდას, თუ დეკლარანტი არ ეთანხმება კორექტირებული საბაჟო დეკლარაციის მონაცემებს, მაგრამ ითხოვს საქონლის დაუყოვნებლივ გაშვებას, საქონლის გაშვება განხორციელდება კორექტირებული საბაჟო დეკლარაციით.

6. თუ დეკლარანტი დადგენილი წესით გაასაჩივრებს კორექტირებულ საბაჟო დეკლარაციას:

ა) საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს მიერ დეკლარანტის საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე მიღებული, მალაში შესული გადაწყვეტილების საგადასახადო ორგანოში წარდგენისას უფლებამოსილ თანამშრომელს ცვლილებები შეაქვს კორექტირებული საბაჟო დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში, გარანტიით გაშვებული საქონლის შემთხვევაში, დეკლარაციის „C“ გრაფაში აღნიშვნა „გაშვება ნებადართულია გარანტიით“ იცვლება აღნიშვნით „გაშვება ნებადართულია“;

ბ) საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს მიერ დეკლარანტის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული, მალაში შესული გადაწყვეტილების საგადასახადო ორგანოში წარდგენისას, გარანტიით გაშვებული საქონლის შემთხვევაში, დარიცხული გადასახდელების გადახდის ან გარანტიის შესრულების გათვალისწინებით, კორექტირებული საბაჟო დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში და დეკლარაციის ყველა ეგზემპლარზე უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ „C“ გრაფაში აღნიშვნა „გაშვება ნებადართულია გარანტიით“ იცვლება აღნიშვნით „გაშვება ნებადართულია“.

#### **მუხლი 45. სეს ესნ-ის კოდის განსაზღვრის პირველადი (დოკუმენტური) შემოწმება**

1. სეს ესნ-ის კოდის განსაზღვრის პირველადი (დოკუმენტური) შემოწმების დროს საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მოწმდება, თუ რამდენად შეესაბამება საბაჟო დეკლარაციის მითითებული საქონლის აღწერილობა მითითებულ სასაქონლო კოდს. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ კოდების გადამოწმებას, რომლებზეც ვრცელდება შეღავთები ან სასაქონლო ჯგუფების იმ კოდებს, რომლებშიც განსხვავება იძლევა სხვაობას გადასახადის განაკვეთში.

2. იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო დეკლარაციის ციასთან ერთად წარმოდგენილია სეს ესნ-ის შესაბამისად სასაქონლო კოდის განსაზღვრის შესახებ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული წინასწარი გადაწყვეტილება, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მოწმდება, რამდენად შეესაბამება დეკლარანტის მიერ საბაჟო დეკლარაციის გადასახადის გადასახადის განაკვეთში.



გადაწყვეტილებაში მოცემულ ინფორმაციას. იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანოს წარედგინება საქონელი ან/და ინფორმაცია, რომელიც არ შეესაბამება წინასწარ გადაწყვეტილებაში აღნიშნულ მონაცემებს, ან თუ გასულია წინასწარი გადაწყვეტილების მოქმედების 3-წლიანი ვადა, საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი უფლებამოსილია, დეკლარირებული საქონლის მიმართ სეს ესნ-ის შესაბამისად სასაქონლო კოდის გადამოწმებისას არ გაითვალისწინოს წინასწარი გადაწყვეტილების შინაარსი.

#### მუხლი 46. აკრძალვების, შეზღუდვების და გაცხადებულ სასაქონლო ოპერაციაში საქონლის მოქცევის პირობების შემოწმება

1. საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი ამოწმებს, აკრძალულია თუ არა დეკლარირებული საქონლის გაცხადებულ სასაქონლო ოპერაციაში მოქცევა, ან რამდენად აკმაყოფილებს საქონელი გაცხადებულ სასაქონლო ოპერაციაში მოქცევის პირობებს.

2. საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი ამოწმებს, კანონმდებლობით თუ არის დადგენილი რაიმე სახის ლიცენზიის ან ნებართვის წარდგენის ვალდებულება დეკლარირებული საქონლის გაცხადებულ სასაქონლო ოპერაციაში მოსაქცევად. თუ კანონმდებლობით ასეთი ლიცენზია ან ნებართვა მოითხოვება, მოწმდება მისი არსებობა წარმოდგენილ დოკუმენტები. ამავე დროს მოწმდება ლიცენზიის ან ნებართვის ნამდვილობა გამცემი უწყების მიერ წარმოდგენილ ნიმუშებთან და დამცავი ნიშნების აღწერილობებთან მისი შედარების გზით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნიმუშებისა და დამცავი ნიშნების აღწერილობების ან მათში შეტანილი ცვლილებების არარსებობის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს თანამშრომელს ლიცენზიებისა და ნებართვების ნამდვილობის დადასტურებაზე პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

#### მუხლი 47. საგადასახადო შეღავათების გამოყენების შემოწმება

საგადასახადო შეღავათების გამოყენების შემოწმება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო დეკლარაციაში მითითებულია ასეთი შეღავათებით სარგებლობის შესახებ. ამისათვის საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი ამოწმებს სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისას წარდგენილ დოკუმენტებს, რაც აუცილებელია შეღავათების მისაღებად საქონლის წარმოშობის ქვეყნის დადასტურებისათვის (წარმოშობის სერტიფიკატი, „ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, მეორე მხრივ, საქართველოს შორის“ ასოცირების შესახებ 2014 წლის 27 ივნისის შეთანხმების I ოქმით გათვალისწინებული „წარმოშობის დეკლარაცია“ ან „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 2007 წლის 21 ნოემბრის შეთანხმების II ოქმით გათვალისწინებული „ანგარიშფაქტურის (ინვოისის დეკლარაცია)“ და რაც წარმოადგენს საგადასახადო შეღავათების გავრცელების საფუძველს (საქონლისათვის ჰუმანიტარული ან გრანტის სტატუსის მინიჭება და სხვა).

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 25 ნოემბრის ბრძანება №33299 - ვებგვერდი, 30.11.2016წ.

#### მუხლი 48. საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის შემოწმება

1. საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი ამოწმებს დეკლარირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის მეთოდის გამოყენების სისწორეს „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანების შესაბამისად.

2. როდესაც საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი ახდენს საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირებას ან განსხვავებული მეთოდით განსაზღვრას, ადგენს „საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების აქტს“, რომელიც ეგზავნება დეკლარანტს, ამასთან:

ა) თუ დეკლარანტი იხდის კორექტირების აქტით განსაზღვრული საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ გადასახდელებსა და დეკლარირებულ (გადახდილ) გადასახდელებს შორის სხვაობას, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ საბაჟო დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში ცვლილების შეტანის შემდეგ დეკლარანტი წარადგენს კორექტირებულ საბაჟო დეკლარაციას;

ბ) თუ დეკლარანტი არ ეთანხმება კორექტირების აქტის მონაცემებს, მაგრამ დამატებით წარმოადგენს არანაკლებ ორთვიან გარანტიას, რომლის საგარანტიო თანხა ტოლია კორექტირების აქტით განსაზღვრული საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ გადასახდელებსა და დეკლარანტის მიერ დეკლარირებული საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ (გადახდილ) გადასახდელებს შორის სხვაობისა, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი საბაჟო დეკლარაციის ყველა ეგზემპლარზე C გრაფაში აკეთებს აღნიშვნას – „გაშვება ნებადართულია გარანტიით“, უსვამს „A“ ნომერს და უშვებს საქონელს;


გ) კორექტირების აქტის დადგენილი წესით გასაჩივრების შემთხვევაში:

გ.ა) საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს მიერ დეკლარანტის საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე მიღებული, ძალაში შესული გადაწყვეტილების საგადასახადო ორგანოში წარდგენისას, გარანტიით გაშვებული საქონლის შემთხვევაში „C“ გრაფაში აღნიშვნას „გაშვება ნებადართულია გარანტიით“ გადასემება ხაზი და კეთდება აღნიშვნა „გაშვება ნებადართულია“, ხოლო საბაჟო დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში ხორციელდება შესაბამისი ცვლილება;

გ.ბ) საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს მიერ დეკლარანტის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული, ძალაში შესული გადაწყვეტილების საგადასახადო ორგანოში წარმოდგენისას თავდაპირველი საბაჟო დეკლარაციის ცია ექვემდებარება ცვლილებას. დეკლარანტს ეგზავნება მოთხოვნა საბაჟო


დეკლარაციის მისი ეგზემპლარის წარმოდგენის (დაბრუნების) თაობაზე, აგრეთვე შეტყობინება დარიცხულ ვალდებულებაზე, რომელიც მოიცავს კორექტირების აქტით განსაზღვრული საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ გადასახდელებსა და დეკლარანტის მიერ დეკლარირებული საბაჟო ღირებულების საფუძველზე გაანგარიშებულ გადასახდელებს შორის სხვაობას და აღნიშნულ თანხაზე დარიცხულ საურავს საბაჟო დეკლარაციის მომდევნო დღიდან ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. დეკლარირებული გადასახდელების და შეტყობინებით დარიცხული ვალდებულებების გადახდის (მათ შორის, გარანტიის თანხის ჩამოჭრის) დადასტურების შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ახორციელებს ცვლილებებს საბაჟო დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში საქონლის საბაჟო ღირებულებისა და გადასახდელების გრაფებში. გარანტიით გაშვებული საქონლის შემთხვევაში დეკლარაციის „C“ გრაფაში აღნიშვნა „გაშვება ნებადართულია გარანტიით“ იცვლება აღნიშვნით „გაშვება ნებადართულია“.

3. იდენტური საქონლის გარიგების ფასის მეთოდით საქონლის საბაჟო ღირებულების დადგენისას, საგადასახადო ორგანოს მიერ გამოიყენება ამ მუხლის შესაბამისად განსახორციელებელი ქმედებების თანმიმდევრობის ალგორითმი:



4. მსგავსი საქონლის გარიგების ფასის მეთოდით საქონლის საბაჟო ღირებულების დადგენისას, საგადასახადო ორგანოს მიერ გამოიყენება ამ მუხლის შესაბამისად განსახორციელებელი ქმედებების თანმიმდევრობის ალგორითმი:





#### მუხლი 49. გადასახდელების დარიცხვისა და გადახდის შემოწმება

1. საბაჟო ოპერებულების გასაზღვრის შემოწმების შემდეგ საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ამოწმებს გადასახდელების დარიცხვისა და გადახდის (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გადასახდელების გადახდა გადავადებულია) სისწორეს. ამისათვის ის ამოწმებს საბაჟო დეკლარაციაში დაფიქსირებულ ვალუტის კურსს, განსაზღვრავს შესაბამისი გადასახდელით დასაბეგრ თანხას და ამოწმებს წარმოდგენილ გადახდის დოკუმენტებს.

2. სასაქონლო ოპერაციების დამთავრებისათვის გადასახდელების გადახდის ფაქტი შესაძლებელია დადასტურდეს:

ა) დეკლარანტის მიერ წარმოდგენილი, კომერციული ბანკის მიერ გაცემული საგადასახადო დავალების ეგზემპლარით, რომელიც დამოწმებული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით;

ბ) ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მონაცემებით;

გ) ან კომერციული ბანკის მიერ ელექტრონულად მოწოდებული ინფორმაციით, მხოლოდ საქონლის ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით გაფორმებისას.

3. იმ შემთხვევაში, თუ გადასახდელების გადახდისაგან ნაწილობრივ გათავისუფლებით დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში არსებული საქონლი მოქცეულ იქნა სხვა სასაქონლო ოპერაციაში, წინმსწრები საბაჟო დეკლარაციით დარიცხული გადასახდელების გადახდის დადასტურების მიზნით, დეკლარანტის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს დროებით შემოტანილი საქონლის მიმართ გადასახდელი

თანხის გადახდის განრიგის დეკლარაციანტთან არსებული ეგზემპლარი და განრიგის მიხედვით თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახდის დადასტურება შესაძლებელია გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე არსებული მონაცემებით.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი:

ა) ამოწმებს განრიგში მითითებული თანხების გადახდის სისწორეს;

ბ) დროებით შემოტანილი საქონლის იმპორტში მოქცევის შემთხვევაში, საქონლის იმპორტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციაში ასახულ ვალდებულებასა და დროებითი შემოტანის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის დღიდან საქონლის საბაჟო ტერიტორიაზე ყოფნის ყოველ სრულ და არასრულ კალენდარულ თვეზე გადახდილ იმპორტის გადასახდელები ს თანხას შორის სხვაობის თაობაზე ამზადებს წერილობით დასკვნას, რომელსაც გადაგზავნის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახვის მიზნით;

გ) დროებით შემოტანილი საქონლის მიმართ გადასახდელი თანხის გადახდის განრიგის გაუქმების/შეცვლის თაობაზე ამზადებს წერილობით დასკვნას და გადაგზავნის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე კორექტირების განხორციელების მიზნით.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 25 ივნისის ბრძანება №28763 - ვებგვერდი, 10.05.2013წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება №44089 - ვებგვერდი, 03.11.2014წ.

## მუხლი 50. საბაჟო დეკლარაციის შემოწმების დასრულება

1. შემოწმების დამთავრების შემდეგ საბაჟო დეკლარაციას მიენიჭება ნომერი (A).

2. საბაჟო დეკლარაციის შემოწმება უნდა დასრულდეს, როგორც წესი, საბაჟო დეკლარაციისა და დეკლარირებისათვის აუცილებელი დოკუმენტების მიღებიდან არა უგვიანეს ერთი საათისა, თუ საქონლის დათვალიერება, სინჯებისა და ნიმუშების აღება ან საბაჟო გაფორმების სხვა პროცედურების განხორციელება გაცილებით მეტ დროს არ საჭიროებს. სამუშაო დღის დასრულებამდე ორი საათის განმავლობაში მიღებული საბაჟო დეკლარაციების შემოწმება უნდა დასრულდეს არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 12.00 საათისა.

3. მალთუჭებადი საქონლის, ცხოველების, მასობრივი ინფორმაციის შემცველი საქონლის, სტიქიური უბედურებების, ავარიების და კატასტროფების დროს საჭირო საქონლის, წინასწარ დეკლარირებული საქონლის, ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში დეკლარირებული საქონლის, აგრეთვე საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლისა და ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის კუთვნილი/მფლობელობაში არსებული საქონლის გაფორმება ხორციელდება პრიორიტეტული წესით, მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში.

4. საგადასახადო ორგანოს მიერ მოთხოვნილი დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტების მისაღებად დეკლარანტს შესაძლებელია დასჭირდეს საგადასახადო ორგანოში წარდგენილი დოკუმენტები. ასეთ შემთხვევაში, დეკლარანტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე საგადასახადო ორგანო გასცემს დოკუმენტს, ხოლო იტოვებს დოკუმენტის ასლს, რომლის უკანა გვერდზეც აკეთებს შესაბამის აღნიშვნას ორიგინალის საქმეში არარსებობის მიზეზის შესახებ. ასლებს თან დაერთვის დეკლარანტის წერილობითი განცხადება დოკუმენტების მოთხოვნის შესახებ.

5. დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის შესახებ წერილობითი მოთხოვნის დეკლარანტისათვის გაგზავნის (გადაცემის) მომენტიდან გაფორმებისათვის დადგენილი დროის ათვლა ჩერდება მოთხოვნილი დოკუმენტების დეკლარანტის მიერ ოფიციალურად წარმოდგენამდე. დეკლარანტის მიერ დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვადის ათვლა იწყება თავიდან.

6. საგადასახადო ორგანოს მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტების წარდგენა დეკლარანტის მიერ ხდება წერილთან ერთად, რომელშიც მიეთითება საბაჟო დეკლარაციის საცნობარო ნომერი.

7. თუ დეკლარანტი დამატებითი დოკუმენტის მოთხოვნას მიიჩნევს უკანონოდ, მას უფლება აქვს გაასაჩივროს საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. დეკლარანტის მიერ დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენის ვადა სამი სამუშაო დღე, თუ დოკუმენტის გასაცემად საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული.

9. საბაჟო დეკლარაციის შემოწმების ბოლოს ან მის ნებისმიერ ეტაპზე საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი უფლებამოსილია მიიღოს ქვემოთ ჩამოთვლილიდან ერთ-ერთი ან რამოდენიმე გადაწყვეტილება:

ა) საქონლის გაშვების შესახებ;

ბ) საქონლის გაშვების აკრძალვის შესახებ;

გ) საქონლის დათვალიერების და/ან სინჯის ან/და ნიმუშის აღების შესახებ;

დ) სამართალდარღვევის ნიშნების არსებობის შესახებ;

ე) საქონლის გაშვების პროცედურების შეჩერების შესახებ;

ვ) საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების შესახებ;

ზ) საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანის ან საბაჟო დეკლარაციის ბათილად ცნობის შესახებ.

10. საქონლის გაშვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საბაჟო დეკლარაციისათვის „A“ ნომრის მინიჭებით (გარდა ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში საქონლის გაშვებისა). შეფასების ნომერთან ერთად საბაჟო დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება შტრიხ-კოდი. იმ შემთხვევაში, როდესაც ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო საბაჟო დეკლარაციისათვის შტრიხ-კოდის მინიჭება ავტომატურად ვერ ხორციელდება, გაფორმების დასრულება დასტურდება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ შტამპით



- „გაშვება ნებადართულია“, პირადნომრიანი ბეჭდით ( საბაჟო გამშვები პუნქტისშემთხვევაში), თარიღისა და ხელმოწერის მითითებით.

11 . საქონლის გაშვების აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოქმედებებს.

12. სამართალდარღვევის ნიშნების არსებობის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოქმედებებს. თუ საბაჟო დეკლარაციის შემოწმების შედეგად გამოვლინდა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევები, რაც გახდა საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, საქონელი გაიშვება შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმის დადგენილი წესით შედგენისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების შემდეგ.

13. საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი დოკუმენტების პაკეტს დაურთავს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს და პირადად წარუდგენს დეკლარანტს ხელმოსაწერად.

14. საქონლის გაშვების პროცედურების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი აღნიშნულის შესახებ წერილობით აცნობებს დეკლარანტს.

15. საქონლის გაფორმების პროცესში დანაშაულის ნიშნების გამოვლენისას, საგადასახადო ორგანოს თანამშრომელი ატყობინებს უშუალო ხელმძღვანელს. გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, საპროცესო მოქმედებების ჩასატარებლად შესაძლებელია საგადასახადო ორგანომ დახმარებისათვის მიმართოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს. საქმის მასალები დაუყოვნებლივ გადაეგზავნება შესაბამის საგამოძიებო ორგანოს ქვემდებარეობის მიხედვით, ხოლო საგადასახადო ორგანოს მიერ მიღება გადაწყვეტილება საქონლის გაშვების პროცედურების შეჩერების შესახებ.

16. საბაჟო დეკლარაციის შემოწმების დასრულების შემდეგ, დეკლარაციის ერთი ეგზემპლარი საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისი აღნიშნებით (გაცხადებული სასაქონლო ოპერაციის შესაბამისად საქონლის გაშვების ან გაშვების პროცედურების შეჩერების ან დეკლარაციის ბათილად ცნობის შესახებ) გადაეცემა დეკლარანტს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს.

17. საბაჟო დეკლარაცია და სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისას წარდგენილი დოკუმენტები ინახება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 11 ივლისის ბრძანება №19728 - ვებგვერდი, 12.07.2016წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 6 სექტემბრის ბრძანება №23635 - ვებგვერდი, 03.10.2017წ.

## **მუხლი 50<sup>1</sup>. კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებები**

1. საბაჟო დეკლარაციის შემოწმებისას კანონმდებლობის ისეთი დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, რაც არ წარმოადგენს დეკლარაციის ბათილად ცნობის საფუძველს, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ახორციელებს შემდეგ მოქმედებებს:

ა) სამართალდარღვევის გამოვლენისას, დადგენილი წესით ადგენს სამართალდარღვევის ოქმს;

ბ) საბაჟო დეკლარაციის ელექტრონულ ვერსიაში ცვლილების შეტანის შემდეგ ამობეჭდავს კორექტირებულ საბაჟო დეკლარაციას, რომელიც წარმოადგენს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებას და უგზავნის (გადასცემს) დეკლარანტს;

გ) გატარებული ღონისძიების შესახებ ინფორმაციას აფიქსირებს დეკლარაციის ინსპექტირების აქტში;

დ) ახორციელებს საქონლის გაშვებას 44-ე მუხლის მე-4 – მე-6 პუნქტებით განსაზღვრული წესით;

ე) სამართალდარღვევის საქმის წარმოების ან/და სანქციის აღსრულების უზრუნველსაყოფად სამართალდარღვევის საქონლის მიმართ შესაბამისი უზრუნველყოფის ღონისძიების – ჩამორთმევის გამოყენების შემთხვევაში, ახორციელებს საქონლის გაშვების პროცედურების შეჩერებას სამართალდარღვევის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებით ჩანაცვლებამდე (გარანტიის წარმოდგენამდე).

2. დეკლარანტს უფლება აქვს, დაეთანხმოს კორექტირებული საბაჟო დეკლარაციის მონაცემებს ან გაასაჩივროს იგი დადგენილი წესით.

3. კანონმდებლობის ისეთი დარღვევის გამოვლენისას, რაც წარმოადგენს დეკლარაციის ბათილად ცნობის საფუძველს, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

4. დეკლარაციის გაბათილების შემდგომ საქონლის ხელახალი დეკლარირების შემთხვევაში:

ა) დეკლარაციის თანდართული დოკუმენტების ჩამონათვალში მიეთითება გაბათილებული დეკლარაციის რეგისტრაციის C ნომერი და თარიღი;

ბ) „ASYCUDA-ს“ მეშვეობით დეკლარაციისათვის განსაზღვრული დერეფინის მიუხედავად, უფლებამოსილი თანამშრომელი აღარ ახორციელებს შეტყობინებით განსაზღვრულ ქმედებებს;

გ) ხორციელდება ინსპექტირების აქტის შესება და დეკლარაციისათვის „A“ ნომრის მინიჭება.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 4 მარტის ბრძანება №5590 - ვებგვერდი, 10.03.2016წ.

## **მუხლი 50<sup>2</sup>. ინსპექტირების აქტი**

1. საბაჟო დეკლარაციის ინსპექტირების აქტი ივსება დეკლარაციის შემოწმებისას კანონმდებლობის



დარღვევის გამოვლენის ან/და საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების შემთხვევაში და მასში აისახება ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების შესახებ.

2. დეკლარაციის გაბათილების შემდგომ საქონლის ხელახალი დეკლარირების შემთხვევაში ინსპექტირების აქტი ივსება როგორც გაბათილებულ, ასევე ხელახლა წარდგენილ დეკლარაციაში.

3. ინსპექტირების აქტი ივსება „ASYCUDA-ში“ ელექტრონულად.

4. ინსპექტირების აქტის შევსებისას აქტის ზედა ნაწილში ავტომატურად ჩნდება დეკლარაციის ძირითადი სეგმენტის მონაცემებით შევსებული ფანჯრები. ინსპექტირების აქტის დანარჩენი ფანჯრებიდან აუცილებლად უნდა შეივსოს ფანჯარა „ინფორმაცია“. კერძოდ, კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მასში უნდა აღიწეროს გამოვლენილი სამართალდარღვევა და შედეგი (ჯარიმის ოდენობა, დაჯარიმების დოკუმენტის (ოქმის ან ბრძანების) ნომერი და თარიღი), ხოლო საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების შემთხვევაში – ინფორმაცია კორექტირების შედეგის თაობაზე. დეკლარაციის გაბათილების შემდგომ საქონლის ხელახალი დეკლარირებისას ამავე ფანჯარაში უნდა მიეთითოს გაბათილებული დეკლარაციის რეგისტრაციის C ნომერი.

5. საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების შემთხვევაში შევსებული ინსპექტირების აქტი ამოიბეჭდება და წარედგინება დეკლარანტს, რომელიც კორექტირების აქტზე აფიქსირებს პოზიციას, რასაც ადასტურებს ხელმოწერით.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 4 მარტის ბრძანება №5590 - ვებგვერდი, 10.03.2016წ.  
შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 25 ნოემბრის ბრძანება №33122 - ვებგვერდი, 02.12.2016წ.

## თავი VII. გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია

### მუხლი 51. გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის გრაფების შევსება

გამარტივებული საბაჟო დეკლარაცია ივსება გრაფის დასახელებების შესაბამისად, ამასთან:

ა) მე-2 გრაფა ივსება უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში და მიეთითება პირის პასპორტის ნომერი და პასპორტის გამცემი ქვეყნის დასახელება;

ბ) მე-5 გრაფაში, თუ დეკლარირება ხორციელდება წარმომადგენლის მეშვეობით, მიეთითება წარმომადგენლის სრული სახელწოდება, მისამართი, ტელეფონის ან ფაქსის (ტელეფონუსის) ნომერი და საიდენტიფიკაციო ნომერი. თუ წარმომადგენელი ფიზიკური პირია, გრაფაში მიეთითება მისი სახელი, გვარი, მისამართი, პირადი ნომერი. იმ შემთხვევაში, თუ დეკლარირებას ახორციელებს უშუალოდ საქონლის მიმღები, მაშინ გრაფაში მიეთითება მისი სახელი, გვარი, მისამართი;

გ) მე-6 გრაფაში „№“-ის გასწვრივ საგადასახადო ორგანოს პასუხისმგებელი პირის მიერ მიეთითება დეკლარაციის რეგისტრაციის ნომერი შემდეგი სქემით: 00000 (საგადასახადო ორგანოს ხუთნიშნა ციფრული კოდი)/00000 (დეკლარაციის რიგითი ნომერი). როდესაც დეკლარაციის შევსება და წარდგენა ხორციელდება სწრაფი გადახდის აპარატიდან ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით, დეკლარაციას რეგისტრაციის ნომერი ენიჭება სისტემის მიერ ავტომატურად, მას შემდეგ, რაც დეკლარანტი თანხმობას განაცხადებს ელექტრონულად. რეგისტრაციის ნომრის მინიჭებასთან ერთად, დეკლარაციისათვის სისტემის მიერ განისაზღვრება მწვანე, ლურჯი, ყვითელი ან წითელი დერეფანი;

დ) მე-7 გრაფაში მიეთითება (თუ ასეთი დოკუმენტები არსებობს): საპარტო ტრანსპორტით საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის შემთხვევაში – ავიარეისის და ბარგის სარეგისტრაციო ნომრები, ხოლო გასატანი საქონლის შემთხვევაში – საფოსტო გზავნილის ნომერი;

ე) მე-8 გრაფაში (გარდა „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) არსებულ პატარა უჯრედში მიეთითება საქონლის საერთო წონა კილოგრამებში, ხოლო გრაფის სვეტებში მიეთითება საქონლის აღწერილობა, კერძოდ:

ე.ა) პირველი სვეტის უჯრებში მიეთითება საქონლის დასახელება, ხოლო ამავე სვეტის ბოლო (ქვედა) უჯრედში – ამ დეკლარაციით გაცხადებული საქონლის სახეობათა რაოდენობა;

ე.ბ.) მე-2 სვეტის უჯრებში მიეთითება საქონლის რაოდენობა სეს ესნ-ის დამატებითი ზომის ერთეულების შესაბამისად;

ე.გ) მე-3 სვეტის უჯრებში:

ე.გ.ა) მიეთითება შესაბამისი საქონლის ოთხნიშნა სასაქონლო პოზიცია საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად, ხოლო იმპორტის გადასახადის დარიცხვის ან გადასახადებისაგან გათავისუფლების შემთხვევაში მიეთითება საქონლის თერთმეტნიშნა კოდი, თუ ამ ქვეპუნქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ე.გ.ბ) თუ საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონლის იმპორტი არ იბეგრება იმპორტის გადასახადით ან/და არ სარგებლობს შეღავათებით ან/და საქონლის საბაჟო ღირებულება არ განისაზღვრება სარეზერვო მეთოდით, საქონლის კოდი არ მიეთითება;

ე.გ.გ) უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის შემოტანილი საქონლის შემთხვევაში მიეთითება საქონლის ოთხნიშნა სასაქონლო პოზიცია – 9905;

ვ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქონლზე მე-8 გრაფა ივსება მხოლოდ დიპლომატიური თანამდებობის პირის მიერ აღნიშნული საქონლის ნაწილის



დადევლარირებისას (საქონლის სხვადასხვა სასაქონლო პარტიად შემოტანისას) მაცივრის, კომპიუტერის ან ტელევიზორის შემთხვევაში:

ვ.ა) გრაფის პირველი სვეტის უჯრებში მიეთითება აღნიშნული საქონლის დასახელება, ხოლო ამავე სვეტის ბოლო (ქვედა) უჯრაში – ამ დევლარაციით გაცხადებული საქონლის სახეობათა რაოდენობა;

ვ.ბ) მე-2 სვეტის უჯრებში მიეთითება საქონლის რაოდენობა სეს ესნ-ის დამატებითი ზომის ერთეულების შესაბამისად;

ზ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის შემთხვევაში მე-8 გრაფა არ ივსება;

თ) მე-9 გრაფაში (გარდა „ი“ და „კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მიეთითება საქონლის საბაჟო ღირებულება და გადასახდელები, კერძოდ:

თ.ა) პირველი სვეტის – „საქონლის ღირებულება“ – უჯრებში მიეთითება დეკლარაციის მე-8 გრაფაში გაცხადებული შესაბამისი საქონლის ფაქტურული ღირებულება, ხოლო ამავე სვეტის ბოლო (ქვედა) უჯრაში – დეკლარაციით გაცხადებული საქონლის საერთო ფაქტურული ღირებულება. თუ საქონლის თანმხლები დოკუმენტები არ არსებობს, გრაფაში შესაძლებელია მიეთითოს საქონლის ექსპერტიზის/დათვალიერების საფუძველზე განსაზღვრული ღირებულება;

თ.ბ) მე-2, მე-3, მე-5, მე-6 და მე-7 სვეტების უჯრები დეკლარაციის მე-8 გრაფაში გაცხადებული შესაბამისი საქონლის გასწვრივ ივსება იმ შემთხვევაში, თუ ამ დეკლარაციით დეკლარირებული სხვადასხვა საქონლის მიმართ გამოიყენება დაბეგვრის განსხვავებული რეჟიმი (გადასახადისაგან გათავისუფლება ან/და განსხვავებული განაკვეთები), ხოლო ამავე სვეტების ბოლო (ქვედა) უჯრებში მიეთითება ზედა უჯრებში მითითებული მონაცემების ჯამი;

თ.გ) მე-4 სვეტის – „შეღავათები“ – შესაბამის უჯრაში მიეთითება:

თ.გ.ა) ციფრი „1“ იმ შემთხვევაში, თუ დეკლარაციის მე-8 გრაფაში დასახელებული საქონლის მიმართ გამოიყენება იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლება;

თ.გ.ბ) ციფრი „2“ იმ შემთხვევაში, თუ დეკლარაციის მე-8 გრაფაში დასახელებული საქონლის მიმართ გამოიყენება დღგ-ისაგან გათავისუფლება;

თ.გ.გ) ციფრი „3“ იმ შემთხვევაში, თუ დეკლარაციის მე-8 გრაფაში დასახელებული საქონლის მიმართ გამოიყენება იმპორტის გადასახადისაგან და დღგ-ისაგან გათავისუფლება;

თ.გ.დ) ციფრი „7“ იმ შემთხვევაში, თუ დეკლარაციის მე-8 გრაფაში დასახელებული საქონლის მიმართ გამოიყენება აქციზისაგან განთავისუფლება;

თ.გ.ე) ციფრი „8“ იმ შემთხვევაში, თუ დეკლარაციის მე-8 გრაფაში მითითებულია იმპორტის გადასახდელებისაგან გათავისუფლებული, უცხოეთის დიპლომატიურ და მათთან გათანაბრებულ წარმომადგენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი საქონლი;

ი) მე-9 გრაფაში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ ან „დ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის ერთ სასაქონლო პარტიად შემოტანის შემთხვევაში ივსება მხოლოდ მე-4 სვეტი „შეღავათები“ და შესაბამის უჯრაში მიეთითება:

ი.ა) ციფრი „4“ იმ შემთხვევაში, თუ დეკლარირებული საქონლის მიმართ გამოიყენება უცხოეთში ყოველ 6 თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ საქართველოში შემოსული ფიზიკური პირისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათი. უჯრის შევსებისას სისტემის მიერ დეკლარაციის მე-14 გრაფაში ავტომატურად ეთითება: „ვადეკლარირებ საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქონელს, რომელიც არ აღემატება დაუბეგრავ მინიმუმს და არაა განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის“, რასაც დეკლარანტი ადასტურებს ხელმოწერით დეკლარაციის მე-12 გრაფაში;“;

ი.ბ) ციფრი „5“ იმ შემთხვევაში, თუ დეკლარირებული საქონლის მიმართ გამოიყენება უცხო ქვეყანაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ან საკონსულო დაწესებულებიდან როტაციის წესით სამუშაო მივლინებიდან გამოწვეული დიპლომატიური თანამდებობის პირისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათი. უჯრის შევსებისას სისტემის მიერ დეკლარაციის მე-14 გრაფაში ავტომატურად ეთითება: „ვადეკლარირებ საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქონელს, რომელიც არ აღემატება დაუბეგრავ მინიმუმს და არაა განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის“, რასაც დეკლარანტი ადასტურებს ხელმოწერით დეკლარაციის მე-12 გრაფაში;

ი.გ) ციფრი „6“ იმ შემთხვევაში, თუ დეკლარირებული საქონლის მიმართ გამოიყენება საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემომსვლელი პირისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათი. უჯრის შევსებისას სისტემის მიერ დეკლარაციის მე-14 გრაფაში ავტომატურად ეთითება: „ვადეკლარირებ საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქონელს, რომელიც არ აღემატება დაუბეგრავ მინიმუმს და არაა განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის“, რასაც დეკლარანტი ადასტურებს ხელმოწერით დეკლარაციის მე-12 გრაფაში;

კ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ ან „დ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის ნაწილის დეკლარირებისას (საქონლის სხვადასხვა სასაქონლო პარტიად შემოტანისას) მე-9 გრაფაში



## ივსება მხოლოდ:

კ.ა) პირველი სვეტის – „საქონლის ღირებულება“ პირველი (ზედა) უჯრა და იწერება დეკლარაციით გაცხადებული საქონლის საერთო ფაქტურული ღირებულება;

კ.ბ) მე-4 სვეტი „შეღავათები“ და დეკლარაციის მე-14 გრაფა ივსება ამ მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად; ლ) მე-8 და მე-9 გრაფების გამუქებული უჯრები მონაცემების შესატანად არ გამოიყენება;

მ) მე-11 გრაფაში მიეთითება დეკლარირებულ საქონელზე გადახდილი/გადასახდელი გადასახდელების და მომსახურების საფასურის რაოდენობა. ამასთან, დეკლარაციის ამობქედვისას, დეკლარაციის ქვედა ბოლოში, გრაფებს გარეთ სისტემის მიერ ავტომატურად ეთითება გადასახდელებისა და მომსახურების საფასურის გადახდის საბოლოო თარიღი;

ნ) მე-12 გრაფაში დეკლარანტი ან მისი წარმომადგენელი ხელს აწერს მატერიალური ან/და ელექტრონული საშუალების გამოყენებით, ხოლო როდესაც დეკლარაციის შევსება და წარდგენა ხორციელდება სწრაფი გადახდის აპარატიდან ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით, დეკლარაციის მე-12 გრაფა არ ივსება და დეკლარანტი თანხმობას აცხადებს ელექტრონულად;

ო) მე-13 გრაფაში მიეთითება გადასახდელების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი და სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისას წარდგენილი სხვა დოკუმენტების რეკვიზიტები. იმ შემთხვევაში, როდესაც დეკლარანტი წარმოადგენს ოქროს სიის მონაწილეს და სარგებლობს გადასახდელების გადახდის 30-დღიანი ან 5-დღიანი ვადით, გრაფაში მიეთითება – „გადახდა გადავადებულია“.

პ) მე-14 გრაფა – „განსაკუთრებული აღნიშვნები“ – ივსება საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ საქონლის გაფორმებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მითითების შემთხვევაში; საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტის შემთხვევაში, მე-9 გრაფის მე-4 სვეტის შევსებისას, სისტემის მიერ ავტომატურად ეთითება ფიზიკური პირის მიერ შეღავათების გამოყენების თაობაზე, რასაც დეკლარანტი ადასტურებს ხელმოწერით დეკლარაციის მე-12 გრაფაში;

ჟ) მე-15 გრაფაში – „საგადასახადო აღნიშვნები“ – იმ შემთხვევაში, როდესაც ტექნიკური ან სხვა მიზეზის გამო დეკლარაციისათვის შტრიბ-კოდის მინიჭება ვერ ხორციელდება, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ, პირადნომრიანი ბეჭდით (საბაჟო გამშვები პუნქტის შემთხვევაში) და შესაბამისი შტამპით („გაშვება ნებადართულია“) დასტურდება დეკლარაციაში გაცხადებული საქონლის გაფორმების დასრულება თარიღის მითითებით. ბეჭდის დასმა შტამპის შიგნით დაუშვებელია. სრულყოფილად უნდა იკითხებოდეს ბეჭდისა და შტამპის ნომრები და წარწერა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ ან „დ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის ნაწილის დეკლარირებისას – მიეთითება „ნაწილი“. როდესაც დეკლარაციის შევსება და წარდგენა ხორციელდება სწრაფი გადახდის აპარატიდან ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით, დეკლარაციის რეგისტრაციის თარიღად ჩაითვლება დეკლარაციის ამობქედვის თარიღი;

რ) გრაფა „R. ოპერაცია“ – გრაფაში მიეთითება სასაქონლო ოპერაციის კოდი, იმპორტის შემთხვევაში – 40, ექსპორტის შემთხვევაში – 10, დროებითი შემოტანის შემთხვევაში – 34;

ს) საქონლის გაშვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება დეკლარაციისათვის შტრიბ-კოდის მინიჭებით, ამასთან:

ს.ა) დეკლარირებული საქონლის მონაცემების რისკის პროფილთან თანხვედრისას წითელი ან ყვითელი დერეფნის განსაზღვრის შემთხვევაში დეკლარაციას შტრიბ-კოდი მიენიჭება შესაბამისი საბაჟო კონტროლის ღონისძიების განხორციელების შემდეგ, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ „გაშვება ნებადართულია“ ღილაკის აქტივაციის შედეგად ;

ს.ბ) მწვანე ან ლურჯი დერეფნის განსაზღვრის შემთხვევაში დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება შტრიბ-კოდი , გარდა ამ მუხლის „ს .გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ს.გ) ლურჯი დერეფნის განსაზღვრის შემთხვევაში, თუ გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ელექტრონულად მიღებული შეტყობინება ითვალისწინებს საქონლის გაშვებამდე სინჯის ან /და ნიმუშის აღების ვალდებულებას, დეკლარაციას შტრიბ-კოდი მიენიჭება შესაბამისი ღონისძიების განხორციელების შემდეგ, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ „გაშვება ნებადართულია“ ღილაკის აქტივაციის შედეგად.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 21 ივლისის ბრძანება №34336 - ვებგვერდი, 21.08.2014წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 4 მარტის ბრძანება №5590 - ვებგვერდი, 10.03.2016წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 11 ივლისის ბრძანება №19728 - ვებგვერდი, 12.07.2016წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2018 წლის 8 თებერვლის ბრძანება №2672 - ვებგვერდი, 26.02.2018წ.

## თავი VIII. ოქროს სია

### მუხლი 52. გამარტივებული პროცედურები ოქროს სიის მონაწილის მიერ საბაჟო დეკლარაციის წინასწარ წარდგენისას

1. ოქროს სიის მონაწილის მიერ წინასწარ დეკლარირებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას საბაჟო გამშვებ პუნქტში დადგენილი წესით ხორციელდება საბაჟო კონტროლის ღონისძიებები.
2. იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობის დარღვევის ან დაულუქავი ავტოსატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში (გარდა საყარი ტვირთების, ჯართის, ცოცხალი ცხოველების, მცენარეების, სხვა სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებული ავტოტრანსპორტო საშუალებების, აგრეთვე ისეთი



მსხვილგაბარიტიანი ტვირთების, რომლებიც არ ექვემდებარება დაშლა-დანაწილებას/გადანაწილებას, გადაადგილების შემთხვევებისა, როდესაც საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების ნიშანდების გარეშე საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადაადგილება დასაშვებია), აგრეთვე გარეგნული დათვალიერების შედეგად საქონლის გაფუჭების, დაზიანების აშკარა ნიშნების არსებობისას, თუ საქონლის დათვალიერება საბაჟო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე შეუძლებელია, ხორციელდება გაფორმების ადგილამდე საქონლის საბაჟო კონტროლის ქვეშ გადაადგილება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების არარსებობისას საქონლის მფლობელის (გადამზიდველის) მიერ საბაჟო გამშვებ პუნქტში წარედგინება სატრანსპორტო დოკუმენტები ან/და საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება ან ანგარიშ-ფაქტურა ან სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტი და ეცნობება, რომ საქონლის მიმღებს (იმპორტიორს) წარმოადგენს ოქროს სიის მონაწილე, აგრეთვე გაფორმების ორგანოს კოდი და სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის C (სტატისტიკური) ნომერი.

4. სატრანსპორტო საშუალების, საქონლის გამომგზავნისა და მიმღების იდენტიფიცირების შემთხვევაში, საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომელი „ASYCUDA“-ს გამოყენებით ახორციელებს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის დამუშავებას, რის შემდეგაც დეკლარაციისათვის განისაზღვრება მწვანე, ლურჯი, ყვითელი ან წითელი დერეფანი.

#### 5. მწვანე დერეფნის შემთხვევაში:

ა) სასაქონლო საბაჟო დეკლარაციისა და წარმოდგენილი დოკუმენტების კამერალური შემოწმება და საქონლის დათვალიერება არ ხორციელდება, საბაჟო გამშვებ პუნქტში დეკლარაციას ელექტრონულად ენიჭება მხოლოდ A ნომერი და შტრიხ-კოდი, ამოიბეჭდება და საქონელი გაიშვება ოქროს სიის მონაწილის სრულ განკარგვაში გადაცემით (ნებადართულია სატრანსპორტო საშუალების მიერ საბაჟო კონტროლის ზონის დატოვება და ლუქის ან/და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების მოხსნა);

ბ) სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია იბეჭდება 2 ეგზემპლარად და ნაწილდება შემდეგნაირად: ერთი ეგზემპლარი რჩება საბაჟო გამშვებ პუნქტში, მეორე ეგზემპლარი გადაეცემა დეკლარანტს.

6. ლურჯი დერეფნის შემთხვევაში (მ.შ. გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ელექტრონულად მიღებული შეტყობინებით გათვალისწინებული სინჯის ან/და ნიმუშის აღების შემდეგ) ხორციელდება ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურები (მწვანე დერეფნის მსგავსად), ხოლო საქონლის გაშვების შემდგომ საგადასახადო ორგანო ახორციელებს შემოწმებას, რაც შეიძლება მოიცავდეს საქონლის საბაჟო ღირებულების ან/და იმპორტის გადასახდელების დარიცხვის ან/და სეს ესნ-ის კოდის განსაზღვრის ან/და საქონლის რაოდენობის ან/და საქონლის სახეობათა რაოდენობის სისწორის ან/და საქონლის მიმართ არასატარიფო ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის შემოწმებას, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ელექტრონულად მიღებული შეტყობინების შესაბამისად, რაც არ გამორიცხავს შესაბამისი ინფორმაციის მიღებისას ან/და ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო საბაჟო კონტროლის სხვა ღონისძიების განხორციელებასაც.

7. ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში ერთი სასაქონლო საბაჟო დეკლარაციით დეკლარირებული საქონელი ამავე დეკლარაციით გაიშვება, თუ ერთი სასაქონლო პარტიით გაგზავნილი საქონელი საბაჟო გამშვებ პუნქტშიწარედგინება ერთდროულად, გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

8. თუ საარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული ერთი სასაქონლო პარტიით გაგზავნილი საქონლის ერთდროულად წარდგენა ვერ ხორციელდება 1 სთ და 30 წთ-ის განმავლობაში, სასაქონლო პარტიის ყოველი წარდგენილი ნაწილის გაშვება საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ ხორციელდება მოწმობის/რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობის გამოწერით. გამოწერილი მოწმობა/რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობა ელექტრონულად დაიხურება და სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია ამოიბეჭდება მხოლოდ დეკლარირებული საქონლის ბოლო ნაწილის გაშვებისას.

#### 9. ყვითელი დერეფნის შემთხვევაში:

ა) სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია საბაჟო გამშვებ პუნქტში არ ამოიბეჭდება, საქონელი საბაჟო კონტროლის ქვეშ (რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობით ან მოწმობით, გარდა TIR წიგნაკით გადაადგილებულისა) გადაადგილდება ოქროს სიის მონაწილის საწყობამდე ან მის მიერ შერჩეულ საბაჟო საწყობამდე ან გაფორმების ადგილამდე და საგადასახადო ორგანოს წებადაურთველად არ დაიშვება სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული ლუქის ან/და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების მოხსნა;

ბ) ოქროს სიის მონაწილე ვალდებულია, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადგილზე საქონლის მიტანიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, გაფორმების ორგანოს წარუდგინოს სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისას წარსადგენი დოკუმენტები ან/და მათი დამოწმებული ასლები, თუ ისინი სასაქონლო საბაჟო დეკლარაციასთან ერთად არაა წარდგენილი ელექტრონულად;

გ) გაფორმების ორგანო ახორციელებს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციისა და დოკუმენტების სრულ ან ნაწილობრივ კამერალურ შემოწმებას, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ელექტრონულად მიღებული შეტყობინების შესაბამისად;

დ) შემოწმების შედეგების გათვალისწინებით, გაფორმების ორგანოს მიერ ხორციელდება სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის ამოიბეჭდვა და საქონლის გაშვება.

#### 10. წითელი დერეფნის შემთხვევაში:

ა) სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია საბაჟო გამშვებ პუნქტში არ ამოიბეჭდება, საქონელი საბაჟო კონტროლის



ქვეშ (რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობით ან მოწმობით, გარდა TIR წიგნაკით გადაადგილებულისა) გადაადგილდება ოქროს სიის მონაწილის საწყობამდე ან მის მიერ შერჩეულ საბაჟო საწყობამდე ან გაფორმების ადგილამდე და საგადასახადო ორგანოს ნებადაურთველად არ დაიშვება სატრანსპორტო საშუალებაზე დადებული ლუქის ან/და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების მოხსნა;

ბ) ოქროს სიის მონაწილე ვალდებულია, ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადგილზე საქონლის მიტანიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, გაფორმების ორგანოს წარუდგინოს სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისას წარსადგენი დოკუმენტები ან/და მათი დამოწმებული ასლები, თუ ისინი სასაქონლო საბაჟო დეკლარაციასთან ერთად არაა წარდგენილი ელექტრონულად;

გ) გაფორმების ორგანო ახორციელებს საქონლის დათვალიერებას, სასაქონლო საბაჟო დეკლარაციისა და დოკუმენტების სრული ან ნაწილობრივი კამერალური შემოწმებით ან მის გარეშე, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ელექტრონულად მიღებული შეტყობინების შესაბამისად, რაც არ გამორიცხავს შესაბამისი ინფორმაციის მიღებისას ან/და ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო საქონლის განმეორებითი, დამატებითი და მიზანმიმართული დათვალიერების ჩატარებასაც, ამ ინსტრუქციით განსაზღვრული წესით. შემოწმების შედეგების გათვალისწინებით ხორციელდება დეკლარაციის ამობეჭდვა და საქონლის გაშვება.

11. სასაქონლო საბაჟო დეკლარაციისთვის ლურჯი, წითელი ან ყვითელი დერეფნის განსაზღვრასთან ერთად, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ელექტრონულად იღებს შეტყობინებას გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე.

12. „ASYCUDA“-ს მეშვეობით სასაქონლო საბაჟო დეკლარაციისთვის დერეფნის განსაზღვრის მიუხედავად, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ სათანადო წერილობითი დასაბუთებით და ზემდგომ თანამდებობის პირთან შეთანხმებით, შეიძლება განხორციელდეს საქონლის დათვალიერება.

13. დეკლარირებული საქონლის მიმართ წითელი ან ყვითელი დერეფნის შესაბამისად გატარებული საბაჟო კონტროლის ღონისძიებების შედეგად კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, უფლებამოსილი თანამშრომელი ავსებს ინსპექტირების აქტს, ამ ინსტრუქციის  $50^2$  მუხლით დადგენილი წესით.

14. თუ საზღვაო გზით შემოტანილი საქონელი გაშვებამდე დროებით დასაწყობდება, მაშინ ამ მუხლის მე-5-მე-13 პუნქტებით გათვალისწინებულ პროცედურებს ახორციელებს ოქროს სიის მონაწილეთა საქონლის გაფორმებაზე უფლებამოსილი უახლოესი საგადასახადო ორგანო.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 10 მაისის ბრძანება №19867 - ვებგვერდი, 10.05.2013წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №33218 - ვებგვერდი, 07.09.2015წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 4 მარტის ბრძანება №5590 - ვებგვერდი, 10.03.2016წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 11 ივლისის ბრძანება №19728 - ვებგვერდი, 12.07.2016წ.

### მუხლი 53. გამარტივებული პროცედურები ოქროს სიის მონაწილის მიერ სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის წინასწარ წარუდგენლობისას

1. ოქროს სიის მონაწილის მიერ საქონლის წინასწარი დეკლარირების განუხორციელებლობის შემთხვევაში, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას საბაჟო გამშვებ პუნქტში ხორციელდება საქონლის ზოგადი დეკლარირება და საბაჟო კონტროლის ღონისძიებები.

2. საქონლის მფლობელის (გადამზიდველის) მიერ საბაჟო გამშვებ პუნქტს ეცნობება, რომ საქონლის მიმღებს (იმპორტიორს) წარმოადგენს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი და სურვილი აქვს ისარგებლოს ამ ინსტრუქციით დადგენილი გამარტივებული პროცედურებით.

3. საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ ივსება რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობა ან გამოიწერება მოწმობა (გარდა TIR წიგნაკით გადაადგილებისა), რომლითაც ხორციელდება ოქროს სიის მონაწილის საწყობამდე ან მის მიერ შერჩეული საბაჟო საწყობის დანიშნულებით საქონლის გადაადგილება.

4. სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის წარდგენამდე იდენტიფიკაციის საშუალებები არ იხსნება და საქონელი არ ჩამოიტვირთება.

5. ოქროს სიის მონაწილის მიერ იმპორტის სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის წარდგენისას „ASYCUDA“-ში ინტეგრირებული რისკების მართვის სისტემის მეშვეობით და შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე დეკლარაციისათვის განისაზღვრება მწვანე, ლურჯი, ყვითელი ან წითელი დერეფნი, რომელიც განსაზღვრავს საქონლის მიმართ გამოსაყენებელი საბაჟო კონტროლის ფორმას (პროცედურებს).

6. სასაქონლო საბაჟო დეკლარაციისთვის განსაზღვრული დერეფნის მიხედვით, გაფორმების ორგანოში ხორციელდება შემდეგი პროცედურები:

ა) მწვანე დერეფნის შემთხვევაში – დეკლარაციისა და წარმოდგენილი დოკუმენტების კამერალური შემოწმება და საქონლის დათვალიერება არ ხორციელდება, დეკლარაციას ელექტრონულად ენიჭება მხოლოდ A ნომერი და შერიც-კოდი, ამოიბეჭდება და საქონელი გაიშვება ოქროს სიის მონაწილის სრულ განკარგვაში გადაცემით (წებადართულია სატრანსპორტო საშუალების მიერ საბაჟო კონტროლის ზონის დატოვება და ლუქის ან/და იდენტიფიკაციის სხვა საშუალებების მოხსნა);

ბ) ლურჯი დერეფნის შემთხვევაში (მ.შ. გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ელექტრონულად მიღებული შეტყობინებით გათვალისწინებული სინჯის ან/და ნიმუშის აღების შემდეგ) ხორციელდება ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული პროცედურები (მწვანე დერეფნის მსგავსად), ხოლო საქონლის გაშვების შემდგომ საგადასახადო ორგანო ახორციელებს შემოწმებას, რაც შეიძლება მოიცავდეს საქონლის საბაჟო ღირებულების ან/და იმპორტის გადასახდელების დარიცხვის ან/და სეს ესნ-ის კოდის განსაზღვრის ან/და



საქონლის რაოდენობის ან/და საქონლის სახეობათა რაოდენობის სისწორის ან/დასაქონლის მიმართ არასატარიფო ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის შემოწმებას, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ელექტრონულად მიღებული შეტყობინების შესაბამისად, რაც არ გამორიცხავს შესაბამისი ინფორმაციის მიღებისას ან/და ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო საბაჟო კონტროლის სხვა ღონისძიების განხორციელებასაც;

გ) ყვითელი დერეფნის შემთხვევაში:

გ.ა) ოქროს სიის მონაწილე ვალდებულია, დეკლარაციის რეგისტრაციიდან 2 სამუშაო დღის ვადაში გაფორმების ორგანოს წარუდგინოს სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისას წარსადგენი დოკუმენტები ან/და მათი დამოწმებული ასლები, თუ ისინი დეკლარაციასთან ერთად არაა წარდგენილი ელექტრონულად;

გ.ბ) გაფორმების ორგანო ახორციელებს დეკლარაციისა და დოკუმენტების სრულ ან ნაწილობრივ კამერალურ შემოწმებას, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ელექტრონულად მიღებული შეტყობინების შესაბამისად;

გ.გ) შემოწმების შედეგების გათვალისწინებით, გაფორმების ორგანოს მიერ ხორციელდება დეკლარაციის ამობეჭდვა და საქონლის გაშვება;

დ) წითელი დერეფნის შემთხვევაში:

დ.ა) ოქროს სიის მონაწილე ვალდებულია, დეკლარაციის რეგისტრაციიდან 2 სამუშაო დღის ვადაში გაფორმების ორგანოს წარუდგინოს სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისას წარსადგენი დოკუმენტები ან/და მათი დამოწმებული ასლები, თუ ისინი დეკლარაციასთან ერთად არაა წარდგენილი ელექტრონულად;

დ.ბ) გაფორმების ორგანო ახორციელებს საქონლის დათვალიერებას, სასაქონლო საბაჟო დეკლარაციისა და დოკუმენტების სრული ან ნაწილობრივი კამერალური შემოწმებით ან მის გარეშე, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე ელექტრონულად მიღებული შეტყობინების შესაბამისად, რაც არ გამორიცხავს შესაბამისი ინფორმაციის მიღებისას ან/და ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო საქონლის განმეორებითი, დამატებითი და მიზანმიმართული დათვალიერების ჩატარებასაც, ამ ინსტრუქციით განსაზღვრული წესით;

დ.გ) შემოწმების შედეგების გათვალისწინებით, გაფორმების ორგანოს მიერ ხორციელდება სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის ამობეჭდვა და საქონლის გაშვება.

7. იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობის დარღვევისას, აგრეთვე გარეგნული დათვალიერების შედეგად საქონლის გაფუჭების, დაზიანების აშკარა ნიშნების არსებობისას, სასაქონლო საბაჟო დეკლარაციისათვის ამ მუხლით გათვალისწინებული დერეფნის განსაზღვრის მიუხედავად, საქონელი ექვემდებარება დათვალიერებას და დადგენილი წესით ხორციელდება სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირება, შესაბამისი ღონისძიების გატარების მიზნით.

შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 10 მაისის ბრძანება №19867 - ვებგვერდი, 10.05.2013წ.

შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №323218 - ვებგვერდი, 07.09.2015წ.

შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 4 მარტის ბრძანება №5590 - ვებგვერდი, 10.03.2016წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 11 ივლისის ბრძანება №19728 - ვებგვერდი, 12.07.2016წ.

#### მუხლი 54. განსაკუთრებული პროცედურები TIR წიგნაკით გადაადგილებული საქონლის გაშვებისას

1. იმ შემთხვევაში, როდესაც TIR წიგნაკით გადაადგილებული საქონლის გაშვება ხორციელდება საბაჟო გამშვები პუნქტიდან, საბაჟო გამშვები პუნქტი უზრუნველყოფს TIR წიგნაკის მონაცემების შეტანას მოწმობის ელექტრონულ ფორმატში და საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანმშრომლის მიერ მიეთითება:

ა) TIR წიგნაკის პირველი (თეთრი) და მეორე (მწვანე) მოსახევი ფურცლების მე-18 გრაფაში – საბაჟო გამშვები პუნქტის დასახელება; მე-19 გრაფაში – ადრე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობის დადასტურების შემთხვევაში, კვადრატში აღინიშნება სიმბოლო X; მე-20 გრაფაში – საბაჟო გამშვები პუნქტიდან საქონლის გაშვების თარიღი; 21-ე გრაფის პირველ ნაწილში – საბაჟო გამშვები პუნქტისავოდი კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის შესაბამისად; 21-ე გრაფის მეორე ნაწილში – „ASYCUDA“-ს მიერ მინიჭებული „D“ ნომერი; 22-ე გრაფაში – გაფორმების ორგანოს კოდი; 23-ე გრაფაში დაესმება დამღა – „აყვანილია კონტროლზე“, ხოლო დამღაში შესაბამის ადგილზე მიეთითება საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის (კონტროლზე აყვანის) თარიღი, უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერა და პირადნომრიანი ბეჭედი;

ბ) TIR წიგნაკის პირველი (თეთრი) ყუის პირველ გრაფაში – საბაჟო გამშვები პუნქტის კოდი კლასიფიკატორის, „კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის შესაბამისად; მე-2 გრაფაში – „ASYCUDA“-ს მიერ მინიჭებული „D“ ნომერი; მე-3 გრაფაში – სიმბოლო „---“ (ტირე); მე-4 გრაფაში – სიმბოლო „X“ ადრე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობის დადასტურების შემთხვევაში; მე-5 გრაფაში – გაფორმების ორგანოს კოდი; მე-6 გრაფაში დაესმება დამღა – „აყვანილია კონტროლზე“, ხოლო დამღაში შესაბამის ადგილზე მიეთითება ამ საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლისა ან/და სატრანსპორტო საშუალებების წარდგენის (კონტროლზე აყვანის) თარიღი, უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერა და პირადნომრიანი ბეჭედი;

გ) TIR წიგნაკის მეორე (მწვანე) ფურცლის 24-ე გრაფაში – გაფორმების ორგანოს კოდი; 25-ე გრაფაში – სიმბოლო „X“ ადრე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობის დადასტურების შემთხვევაში; 26-ე გრაფაში – სატვირთო ადგილების რაოდენობა, რომლის მიმართაც დასტურდება TIR გადაზიდვის დასრულება; 27-ე გრაფაში - „ASYCUDA“-ს მიერ მინიჭებული „R“ ნომერი; 28-ე გრაფაში დაესმება დამღა „მოხსნილია კონტროლიდან“, ხოლო დამღაში შესაბამის ადგილზე მიეთითება იმპორტში გაშვების თარიღი (კონტროლზე აყვანის), უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერა და პირადნომრიანი ბეჭედი;



დ) TIR წიგნაკის მეორე (მწვანე) ყუის პირველ გრაფაში – საბაჟო გამშვები პუნქტისკოდი (სადაც დასრულდება TIR-წიგნაკის მოქმედება) კლასიფიკატორის მე-2 ნაწილის შესაბამისად; მე-2 გრაფაში – სიმბოლო „X“ ადრე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობის დადასტურების შემთხვევაში; მე-3 გრაფაში – სატვირთო ადგილების რაოდენობა, რომლის მიმართაც დასტურდება TIR გადაზიდვის დასრულება; მე-4 გრაფაში – სიმბოლო „---“ (ტირ) ადრე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობის დადასტურების შემთხვევაში; მე-5 გრაფაში – პროგრამა „ASYCUDA“-ს მიერ მინიჭებული „R“ ნომერი; მე-6 გრაფაში დაესმება დამღა „მოხსნილია კონტროლიდან“, ხოლო დამღაში შესაბამის ადგილზე მიეთითება საქონლის იმპორტში გაშვების (კონტროლიდან მოხსნის) თარიღი, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერა და პირადნომრიანი ბეჭედი.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც TIR წიგნაკით გადაადგილებული საქონლის გაშვება არ ხორციელდება საბაჟო გამშვები პუნქტიდან, გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების TIR წიგნაკის შესახებ მონაცემები კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიტანება ელექტრონულ ბაზაში.

### თავი VIII<sup>1</sup> (ამოღებულია)

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 6 თებერვლის ბრძანება №4257 - ვებგვერდი, 18.02.2013წ.  
შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 20 იანვრის ბრძანება №2516 - ვებგვერდი, 27.01.2014წ.

### მუხლი 54<sup>1</sup>. (ამოღებულია)

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 6 თებერვლის ბრძანება №4257 - ვებგვერდი, 18.02.2013წ.  
შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 20 იანვრის ბრძანება №2516 - ვებგვერდი, 27.01.2014წ.

### მუხლი 54<sup>2</sup>. (ამოღებულია)

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 6 თებერვლის ბრძანება №4257 - ვებგვერდი, 18.02.2013წ.  
შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 20 იანვრის ბრძანება №2516 - ვებგვერდი, 27.01.2014წ.

### დანართი NVIII<sup>1</sup> –01 (ამოღებულია)

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 6 თებერვლის ბრძანება №4257 - ვებგვერდი, 18.02.2013წ.  
შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 20 იანვრის ბრძანება №2516 - ვებგვერდი, 27.01.2014წ.

### დანართი NVIII<sup>1</sup> –02 (ამოღებულია)

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 6 თებერვლის ბრძანება №4257 - ვებგვერდი, 18.02.2013წ.  
შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 20 იანვრის ბრძანება №2516 - ვებგვერდი, 27.01.2014წ.

### დანართი NVIII<sup>1</sup> –03 (ამოღებულია)

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 6 თებერვლის ბრძანება №4257 - ვებგვერდი, 18.02.2013წ.  
შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 20 იანვრის ბრძანება №2516 - ვებგვერდი, 27.01.2014წ.

### დანართი NVIII<sup>1</sup> –04 (ამოღებულია)

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 6 თებერვლის ბრძანება №4257 - ვებგვერდი, 18.02.2013წ.  
შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 20 იანვრის ბრძანება №2516 - ვებგვერდი, 27.01.2014წ.

## თავი IX. სპეციალური დებულებები

### მუხლი 55. ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია

1. ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაცია გამოიყენება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) განყოფილებების სარეგისტრაციო სამსახურების განთავსების ადგილებში შექმნილ საბაჟო კონტროლის ზონებში სეს ესნ-ის 8429, 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების (რომლის შიგაწვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ<sup>3</sup>-ზე მეტია, ხოლო ელექტრომძრავის შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) და 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელების და ნახევრადმისაბმელების (შემდგომში – ავტოსატრანსპორტო საშუალებები) იმპორტის, ექსპორტის, საწყობის, რეექსპორტის და დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციებში დეკლარირებისას.

2. ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით გაცხადებული საქონლის მიმართ საბაჟო კონტროლი ხორციელდება მწვანე ან ყვითელი დერეფნის გამოყენებით.

3. ელექტრონული სისტემის გამოყენებით შევსებული და სააგენტოს მიერ ელექტრონულად მიწოდებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის ყველა გრაფის დადგენილი წესით შევსების



შემთხვევაში, გაფორმების საგადასახადო ორგანოს მიერ დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება ნომერი, რაც ნიშნავს დეკლარირების დასრულებას და საქონლის გაშვებას მწვანე დერეფნის გამოყენებით – დოკუმენტების შემოწმებისა და საქონლის დათვალიერების გარეშე.

4. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ნიშნების არსებობისას, ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციას ნომერი არ მიენიჭება, არ ამოიბეჭდება და ავტოსატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება გაფორმებას ყვითელი დერეფნის გამოყენებით – დეკლარაციისა და სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისას წარდგენილი დოკუმენტების შემოწმებით. ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის შემოწმების პროცედურები ხორციელდება ამ ინსტრუქციის 43-ე-49-ე მუხლების შესაბამისად. თუ ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციის შემოწმების შედეგად გამოვლინდა საგადასახადო სამართალდარღვევა, ავტოსატრანსპორტო საშუალება გაიშვება სამართალდარღვევის ოქმის შედგენისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების შემდეგ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 24 ოქტომბრის ბრძანება № 22683 - ვებგვერდი, 02.11.2012 წ.

#### მუხლი 56. სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გამარტივებული წესით შევსება

1. დეკლარანტი სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გამარტივებული წესით შევსებისას ავსებს: A, 1, 2, 8, 14, 15, 15ა, 17, 17ა, 18, 19, 21, 29, 31, 44, 47, 49, 54 გრაფებს, თავისუფალ ზონაში საქონლის შეტანისას – დამატებით 13, 33, 35, 38, 42 გრაფებს, ხოლო უცხოური საქონლის, რომელიც მოქცეული იყო სხვა სასაქონლო ოპერაციაში, თავისუფალ ზონაში გადატანის დროს – დამატებით 37-ე და მე-40 გრაფებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გრაფები ივსება შესაბამის სასაქონლო ოპერაციაზე წარსადგენი სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის გრაფების წესის შესაბამისად.

3. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომელი ავსებს B გრაფას.

4. გრაფა „B“ – აღინიშნება შეფასების A ნომერი და გადახდის ქვითოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნომერი და მათი მინიჭების თარიღები. შეფასების ნომერთან ერთად სასაქონლო საბაჟო დეკლარაციას ავტომატურად ენიჭება შტრიბ-კოდი.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 10 მაისის ბრძანება №19867 - ვებგვერდი, 10.05.2013 წ.

#### მუხლი 57. საერთაშორისო ნაოსნობისათვის გახსნილ საზღვაო პორტში შემოსული/გამსვლელი მცურავი სატრანსპორტო საშუალების სასაზღვრო კონტროლი

1. საერთაშორისო ნაოსნობისათვის გახსნილ საზღვაო პორტში მცურავი საშუალების სასაზღვრო კონტროლის მიზნით, სხვა უფლებამოსილი ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად, საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლები (სანიტარიულ-საკარანტინო, ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო და ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განმახორციელებელი თანამშრომლების გარდა) გემზე ადიან მხოლოდ საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსის/მოადგილის გადაწყვეტილებით, სათანადო ინფორმაციის არსებობისას ან რისკების მართვის საფუძველზე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გემზე ასვლისას, საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილ თანამშრომლებს უფლება აქვთ, შერჩევით დაათვალიერონ გემის სათავსები.

3. სანიტარიულ-საკარანტინო, ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო და ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განმახორციელებელი, საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომლები, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირებთან ერთად, სასაზღვრო კონტროლის ჩატარების მიზნით, გემზე ადიან:

ა) გემის კაპიტნის/აგენტის დასაბუთებული მოთხოვნის ან/და სათანადო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში ან;

ბ) სათანადო ინფორმაციის არსებობისას, როცა გემი მოემართება იმ ქვეყნის ნავსადგურიდან, სადაც დაფიქსირებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის საშიში დაავადებები ან/და არსებობს დაავადების შემოტანისა და გავრცელების რისკი, ან სადაც დაფიქსირებულია ადამიანის და ცხოველთა საშიში ინფექციური დაავადებები, ან სადაც გავრცელებულია საქართველოში არარეგისტრირებული ან შეზღუდულად გავრცელებული მცენარეთა საკარანტინო ობიექტები, ან როცა არსებობს ინფორმაცია ასეთ ნავსადგურში გემის შესვლის თაობაზე.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 12 თებერვლის ბრძანება №3756 - ვებგვერდი, 19.02.2015 წ.

#### მუხლი 58. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) ოპერაციის ფარგლებში სამხედრო წვრთნების ან საგანგებო სიტუაციების შედეგებზე რეაგირებისათვის წვრთნების მიზნებისათვის შემოტანილი საქონლის დეკლარირება

1. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (NATO) ოპერაციის ფარგლებში სამხედრო წვრთნების ან საგანგებო სიტუაციების შედეგებზე რეაგირებისათვის წვრთნების მიზნებისათვის შემოტანილი საქონლის ამავე ორგანიზაციის სტანდარტიზაციის სააგენტოს მიერ „ეროვნულ საზღვრებზე გადაადგილების პროცედურებთან დაკავშირებით“ 2005 წელს მიღებული შეთანხმებით განსაზღვრული „ფორმა 302“-ის ან „კატასტროფებზე რეაგირების ევრო-ატლანტიკური ჯგუფის სტანდარტული საოპერაციო პროცედურებით“ გათვალისწინებული „საზღვრის კვეთის ფორმების“ წარდგენით დეკლარირებისას, საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ დოკუმენტის ყველა ფურცელზე კეთდება გაშვების ნებართვის დამადასტურებელი აღნიშვნა, რომელიც მოწმდება პირადნომრიანი ბეჭდითა და თარიღის მითითებით.



დოკუმენტის დამოწმებული ასლი რჩება საბაჟო გამშვებ პუნქტში, ხოლო ორიგინალი უბრუნდება დეკლარანტს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანისას, საბაჟო გამშვებ პუნქტს წარედგინება საქონლის შემოტანის დროს დამოწმებული დოკუმენტი, რომლის ყველა ფურცელზე კეთდება გაშვების ნებართვის დამადასტურებელი აღნიშვნა და მოწმდება პირადნომრიანი ბეჭდითა და თარიღის მითითებით.

3. იმ შემთხვევაში, თუ წვრთნების მიზნებისათვის შემოტანილი საქონე ლი ან მისი ნაწილი გახარჯულ იქნა წვრთნების პროცესში, ან გადაცემულ იქნა სახელმწიფო საკუთრებაში, ან სხვა დანიშნულებით გამოყენების მიზნებისათვის დეკლარირებულ იქნა იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში, საქონლის შემოტანის დროს დამოწმებული დოკუმენტის უკანა გვერდზე მიეთითება მონაცემები ასეთი საქონლის თაობაზე, რაც მოწმდება დეკლარანტის ხელმოწერითა და ბეჭდით (არსებობის შემთხვევაში).

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 19 სექტემბრის ბრძანება №18164 - ვებგვერდი, 27.09.2012წ.

დანართი №2

### დეკლარირების კლასიფიკატორი

#### ნაწილი 1. სასაქონლო ოპერაციების კლასიფიკატორი

№	დასახელება	კოდი
1	სასაქონლო ოპერაციები იმპორტი	40
2	იმპორტი ოქროს სიის მონაწილეთათვის	44
3	ექსპორტი	10
4	რეექსპორტი	11
5	ტრანზიტი	80
6	საწყობი	74
7	თავისუფალი ზონა	71
8	დროებითი შემოტანა	34
9	შიდა გადამუშავება	51
10	გარე გადამუშავება	61

#### ნაწილი 2. საგადასახადო ორგანოებისა და გაფორმების სხვა ადგილების კლასიფიკატორი

##### 1. საბაჟო გამშვები პუნქტები

№	კოდი	დასახელება
1	69001; 99001 69110; 99110 20011	საბაჟო გამშვები პუნქტი „, თბილისის აეროპორტი და თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“ ( მხოლოდ თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე ფიზიკური პირის მიერ საპერო ტრანსპორტით შემოტანილ საქონელზე გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის წარდგენისას )
2	69002; 99002	საბაჟო გამშვები პუნქტი „, წითელი ხიდი“
3	69003; 99003	საბაჟო გამშვები პუნქტი „, სადახლო - საავტომობილო“
4	69004; 99004	საბაჟო გამშვები პუნქტი „, სადახლო - სარკინიგზო“
5	69005; 99005	საბაჟო გამშვები პუნქტი „, გუგუთი“
6	69006; 99006	საბაჟო გამშვები პუნქტი „, ახვერპი“
7	69007; 99007	საბაჟო გამშვები პუნქტი „, სამთაწყარო“
8	69009; 99009	საბაჟო გამშვები პუნქტი „, გარდაბანი“
9	69021; 99021	საბაჟო გამშვები პუნქტი „, მტკვარი“
10	69010; 99010	საბაჟო გამშვები პუნქტი „, ლაგოდეხი“
11	69101; 99101	საბაჟო გამშვები პუნქტი „, ყაზბეგი“



12	69301; 99301	საბაჟო გამშვები პუნქტი „ვალე“
13	69302; 99302	საბაჟო გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა“
14	69401; 99401 69403; 99403 69404; 99404 20013	საბაჟო გამშვები პუნქტი „ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები და ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული და ქუთაისის პუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონები“  ქ. ქუთაისი, ყოფილი ავტოქარხნის ტერიტორია, ავტომშენებლის ქ. №88 ( მხოლოდ „ოქროს სიის “ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის )
15	69501; 99501 69502 69503	საბაჟო გამშვები პუნქტი „ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“
16	69601; 99601	საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფი“
17	69604; 99604	საბაჟო გამშვები პუნქტი „ბათუმის პორტი“
18	69603; 99603 20012	საბაჟო გამშვები პუნქტი „ბათუმის აეროპორტი“  საბაჟო გამშვები პუნქტი „ბათუმის აეროპორტი“  (მხოლოდ ბათუმის აეროპორტის ტერიტორიაზე ფიზიკური პირის მიერ საპერო ტრანსპორტით შემოტანილ საქონელზე გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის წარდგენისას)
19	69309; 99309	საბაჟო გამშვები პუნქტი „კარწახი-ახალქალაქი სარკინიგზო“
20	69320; 99320	საბაჟო გამშვები პუნქტი „კარწახი“

## 2. გაფორმების ეკონომიკური ზონები და გაფორმების სხვა ადგილები

№	კოდი	მისამართები
1	11111; 99111 20111 20002 69043 69250	გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი“:  გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ; გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის); გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კმ ( მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა საწყობში წარდგენილი საქონლის გაფორმებისათვის). საქართველოს საბაჟო საზღვრიდან ქ. თბილისის რკინიგზის სამგზავრო სადგურის ტერიტორიის ჩათვლით და უკუმიმართულებით მოძრავი ერევანი-ბათუმი-ერევანი, ბათუმი-ერევანი-ბათუმის საერთაშორისო სარკინიგზო მიმოსვლის ძირითადი მარშრუტის მსვლელობის სწრაფი სამგზავრო მატარებელი (იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება აღნიშნული პროცედურის მატარებელში წარმართვა, საქონლის გაფორმება განხორციელდება უახლოეს ან დეკლარანტის მიერ შერჩეულ გაფორმების ადგილზე ); ქ. გორი, მოსკოვის ქ. №1, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. გორის განყოფილების შენობა.
2		გაფორმების ეკონომიკური ზონა „ თბილისი “ (2016 წლის 1 დეკემბრამდე ):  გარდაბნის მუნიციპალიტეტი , სოფელი მარტყოფი , თბილისის შემოსავლელი გზის 36- ე კმ ;



	69221; 99221	გარდაბნის მუნიციპალიტეტი , სოფელი მარტყოფი , თბილისის შემოსავლელი გზის 36- ე კმ ( მხოლოდ საექსპორტო ან სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული საქონლის გაფორმებისათვის ).
	69000; 99000	
3	11112; 69600; 99112	გაფორმების ეკონომიკური ზონა „ ბათუმი ”:  ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი , სოფელი ადლია , სენაკი - ფოთი - სარფის საავტომობილო გზის 106- ე კმ ( მათ შორის , საფოსტო გზავნილით საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი საქონლის გაფორმებისათვის );  ქ . ბათუმი , ბაქოს ქ . №11;
	20112	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი , სოფელი ადლია , სენაკი - ფოთი - სარფის საავტომობილო გზის 106- ე კმ ( მხოლოდ „ ოქროს სიის “ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის );  ქ . ბათუმი , ბაქოს ქ . №11 ( მხოლოდ „ ოქროს სიის “ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის );
	69605	ქ . ბათუმი , ტბელ - აბუსერიძის ქ . №11, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ . ბათუმის განყოფილების შენობა .
4	11113; 69500; 99113	გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთი”:  ქ. ფოთი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №32;
	11113; 69500; 99113	ქ. ფოთი, კოკაიას ხეივანი №1 ( მხოლოდ კონტეინერით გადაადგილებული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და მასში განთავსებული საქონლის გაფორმებისათვის );
	20113	ქ. ფოთი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №32 ( მხოლოდ „ ოქროს სიის “ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის );
	69510	ქ. ფოთი, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ფოთის განყოფილების შენობა ;
	69511	ქ. ზუგდიდი, პარიზის კომუნის ქ. №7, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ზუგდიდის განყოფილების შენობა ;
		ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოზურგეთი, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს



	69555	სამმართველოს ქ. ოზურგეთის განყოფილების შენობა.
5	11114; 99114 20010 20114	გაფორმების ეკონომიკური ზონა „აეროპორტი“:  ქ . თბილისი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია ;  ქ . თბილისი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია (მხოლოდ საფოსტო გზავნილების გაფორმებისათვის);  ქ . თბილისი, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის).
6		(ამოღებულია - 04.10.2017, №26822)
7	69017; 99017 20002 69070	თელავის გაფორმების განყოფილება:  ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41;  ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41 (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის);  ქ. თელავი, ჩოლოყაშვილის ქ. №21, სსიპ –საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. თელავის განყოფილების შენობა.
8	69300; 99300 20002 69350	ახალციხის გაფორმების განყოფილება :  ქ. ახალციხე, პ. ნათენაძის ქ. №54;  ქ. ახალციხე, პ. ნათენაძის ქ. №54 (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის);  ქ. ახალციხე, ახალქალაქის გზატკეცილი №2, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ახალციხის განყოფილების შენობა.
9	69400; 99400 20004 69450	ქუთაისის გაფორმების განყოფილება :  ქ. ქუთაისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №5;  ქ. ქუთაისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №5 (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის);  სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ქუთაისის განყოფილების შენობა.
10	69014; 99014 20002	რუსთავის გაფორმების განყოფილება :  ქ. რუსთავი, კოსტავას ქ. №36;  ქ. რუსთავი, კოსტავას ქ. №36 (მხოლოდ „ოქროს სიის“ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის);



	69050	სსიპ-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თბილისის სამმართველოს სარეგისტრაციო განყოფილების შენობა.
11	11116; 99116  11115; 99115  20116	გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი 2“:  გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36- ე კმ;  გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36- ე კმ (მხოლოდ სასაქონლო პარტიათა ნაკრებით საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის გაფორმებისათვის);  გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36- ე კმ (მხოლოდ „ოქროს სიის “ მონაწილეთა კუთვნილი საქონლის გაფორმებისათვის).

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 3 ოქტომბრის ბრძანება №19621 - ვებგვერდი, 05.10.2012წ.  
 შემოსავლების სამსახურის უფროსის 2012 წლის 14 ნოემბრის ბრძანება №24708 - ვებგვერდი, 28.11.2012წ.  
 შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 25 აპრილის ბრძანება №17494 - ვებგვერდი, 25.04.2013წ.  
 შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 10 მაისის ბრძანება №19867 - ვებგვერდი, 10.05.2013წ.  
 შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 25 ივნისის ბრძანება №28763 - ვებგვერდი, 10.05.2013წ.  
 შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 18 ივლისის ბრძანება №33439 - ვებგვერდი, 29.07.2013წ.  
 შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 13 აგვისტოს ბრძანება №38672 - ვებგვერდი, 16.09.2013წ.  
 შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 20 ნოემბრის ბრძანება №59149 - ვებგვერდი, 28.11.2013წ.  
 შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 20 იანვრის ბრძანება №2516 - ვებგვერდი, 27.01.2014წ.  
 შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 1 მაისის ბრძანება №23191 - ვებგვერდი, 08.05.2014წ.  
 შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 14 მაისის ბრძანება №24989 - ვებგვერდი, 15.05.2014წ.  
 შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 1 აპრილის ბრძანება №10485 - ვებგვერდი, 15.04.2015წ.  
 შემოსავლების სამსახურის უფროსის 2015 წლის 22 ივლისის ბრძანება №26645 - ვებგვერდი, 24.07.2015წ.  
 შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 4 აპრილის ბრძანება №8829 - ვებგვერდი, 05.04.2016წ.  
 შემოსავლების სამსახურის უფროსის 2016 წლის 28 აპრილის ბრძანება №12187 - ვებგვერდი, 06.05.2016წ.  
 შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 6 სექტემბრის ბრძანება №23635 - ვებგვერდი, 03.10.2017წ.  
 შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 4 ოქტომბრის ბრძანება №26822 - ვებგვერდი, 05.10.2017წ.

### ნაწილი 3. ქვეყნების, ტერიტორიებისა და ვალუტების კლასიფიკატორი

ქვეყნის ციფრული კოდი	ქვეყნის ან ტერიტორიის შემოკლებული დასახელება	ქვეყნის ასოთი კოდი	ვალუტის დასახელება	ვალუტის კოდი
				ასოთი ციფრული
036	ავსტრალია	AU	ავსტრალიური დოლარი	AUD 036
040	ავსტრია	AT	ევრო	EUR 978
004	ავღანეთი	AF	ავღანი	AFN 971
031	აზერბაიჯანი	AZ	აზერბაიჯანული მანათი	AZM 031
248	ალანდის კუნძულები	AX	ევრო	EUR 978
008	ალბანეთი	AL	ლეკი	ALL 008



012	ალჟირი	DZ	ალჟირული დინარი	DZD	012
016	ამერიკის სამოა	AS	აშშ დოლარი	USD	840
840	ამერიკის შეერთებული შტატები	US	აშშ დოლარი	USD	840
024	ანგოლა	AO	კვანზა	AOA	973
660	ანგუილა	AL	აღმოსავლეთკარიბული დოლარი	XCD	951
020	ანდორა	AD	ევრო	EUR	978
010	ანტარქტიდა	AQ			
028	ანტიგუა-ბარბუდა	AG	აღმოსავლეთკარიბული დოლარი	XCD	951
784	არაბთა გაერთიანებული საამიროები	AE	დირჰემი	AED	784
032	არგენტინა	AR	არგენტინული პესო	ARS	032
533	არუბა	AW	არუბული გულდენი	AWG	533
554	ახალი ზელანდია	NZ	ახალზელანდიური დოლარი	NZD	554
540	ახალი კალედონია	NC	ფრანკი CFP	XPF	953
050	ბანგლადეში	BD	ბაკა	BDT	050
052	ბარბადოსი	BB	ბარბადოსული დოლარი	BBD	052
044	ბაჰამები	BS	ბაჰამური დოლარი	BHD	044
048	ბაჰრეინი	BH	ბაჰრეინული დინარი	BHD	048
112	ბელარუსი	BY	ბელარუსული რუბლი	BYR	112
056	ბელგია	BE	ევრო	EUR	978
084	ბელიზი	BZ	ბელიზური დოლარი	BZD	084
204	ბენინი	BJ	ფრანკი CFA BCEAO	XOF	952
060	ბერმუდა	BM	ბერმუდული დოლარი	BMD	060
068	ბოლივია	BO	ბოლივიანო	BOB	068
535	ბონეირი, სინტ- ესტატიუსი და საბა	BQ	აშშ დოლარი	USD	840



070	ბოსნია-ჰერცეგოვინა	BA	კონვერტირებადი მარკა	BAM	977
072	ბოტსვანა	BW	ფულა	BWP	072
076	ბრაზილია	BR	ბრაზილიური რეალი	BRL	986
086	ბრიტანეთის ტერიტორია ინდოეთის ოკეანეში	IO	აშშ დოლარი	USD	840
096	ბრუნეი-დარუსალამი	BN	ბრუნეის დოლარი	BND	096
100	ბულგარეთი	BG	ლევი	BGN	975
074	ბუვეს კუნძული	BV	ნორვეგიული კრონა	NOK	578
854	ბურკინა-ფასო	BF	ფრანკი CFA BCEAO	XOF	952
108	ბურუნდი	BI	ბურუნდული ფრანკი	BIF	108
064	ბუტანი	BT	ნგულტრუმი	BTN	064
			ინდური რუპი	INR	356
266	გაბონი	GA	ფრანკი CFA BCEAO	XAF	950
826	გაერთიანებული სამეფო	GB	გირვანქა სტერლინგი	GBP	826
328	გაიანა	GY	გაიანური დოლარი	GYD	328
270	გამბია	GM	დალასი	GMD	270
288	განა	GH	სედი	GHC	288
276	გერმანია	DE	ევრო	EUR	978
831	გერნზი	GG	გირვანქა სტერლინგი	GBP	826
312	გვადელუპა	GP	ევრო	EUR	978
320	გვატემალა	GT	ქვეთსალი	GTQ	320
324	გვინეა	GN	გვინეური ფრანკი	GNF	324
624	გვინეა-ბისაუ	GW	გვინეა-ბისაუს პესო	GWP	624
292	გიბრალტარი	GI	გიბრალტარული ფუნტი	GIP	292
308	გრენადა	GD	აღმოსავლეთკარიბული დოლარი	XCD	951
304	გრენლანდია	GL	დანიური კრონა	DKK	208



316	გუამი	GU	აშშ დოლარი	USD	840
208	დანია	DK	დანიური კრონა	DKK	208
732	დასავლეთი საქარა	EH	მაროოკული დირჰემი	MAD	504
212	დომინიკა	DM	აღმოსავლეთკარიბული დოლარი	XCD	951
214	დომინიკელთა რესპუბლიკა	DO	დომინიკანური პესო	DOP	214
818	ეგვიპტე	EG	ეგვიპტური ფუნტი	EGP	818
150	ევროპა				
231	ეთიოპია	ET	ეთიოპიური ბირი	ETB	230
218	ევვადორი	EC	აშშ დოლარი	USD	840
226	ევროპული გვინეა	GQ	ფრანგი CFA BEAC	XAF	950
368	ერაყი	IQ	ერაყული დინარი	IQD	368
232	ერიტრეა	ER	ნაკფა	ERN	232
724	ესპანეთი	ES	ევრო	EUR	978
233	ესტონეთი	EE	კრონი	EEK	233
548	ვანუატუ	VU	ვატუ	VUV	548
862	ვენესუელა	VE	ბोლივარი	VEB	862
704	ვიეტნამი	VN	დონგი	VND	704
850	ვირჯინის კუნძულები, აშშ	VI	აშშ დოლარი	USD	840
092	ვირჯინის კუნძულები, ბრიტანეთი	VG	აშშ დოლარი	USD	840
894	ზამბია	ZM	კვაჩა	ZMK	894
716	ზიმბაბვე	ZW	ზიმბაბვის დოლარი	ZWD	716
796	თერქისის და ქაიქოსის კუნძულები	TC	აშშ დოლარი	USD	840
792	თურქეთი	TR	თურქული ლირა	TRL	792
795	თურქმენეთი	TM	მანათი	TMM	795
388	იამაიკა	JM	იამაიკური დოლარი	JMD	388
392	იაპონია	JP	იენი	JPY	392
887	იემენი	YE	იემენის რიალი	YER	886



356	ინდოეთი	IN	ინდური რუპი	INR	356
360	ინდონეზია	ID	ინდონეზიური რუპი	IDR	360
400	იორდანია	JO	იორდანული დინარი	JOD	400
364	ირანი, ისლამური რესპუბლიკა	IR	ირანული რიალი	IRR	364
372	ირლანდია	IE	ევრო	EUR	978
352	ისლანდია	IS	ისლანდიური კრონა	ISK	352
376	ისრაელი	IL	ახალი ისრაელური შეკელი	ILS	376
380	იტალია	IT	ევრო	EUR	978
132	კაბო-ვერდე	CV	კაბოვერდეს ესკუდო	CVE	132
136	კაიმანის კუნძულები	KY	კაიმანის კუნძულების დოლარი	KYD	136
116	კამბოჯა	KH	რიელი	KHR	116
120	კამერუნი	CM	ფრანკი CFA BEAC	XAF	950
124	კანადა	CA	კანადური დოლარი	CAD	124
404	კენია	KE	კენიური შილინგი	KEđ	404
196	კვიპროსი	CY	კვიპროსული ფუნტი	CYP	196
296	კირიბატი	KI	ავსტრალიური დოლარი	AUD	036
531	კიურასაო	CW	ნიდერლანდის ანტილების გუილდენი	ANG	532
170	კოლუმბია	CO	კოლუმბიური პესო	COP	170
174	კომორები	KM	კომორების ფრანკი	KMF	174
178	კონგო	CG	ფრანკი CFA BEAC	XAF	950
180	კონგო, დემოკრატიული რესპუბლიკა	CG	კონგოს ფრანკი	CDF	976
410	კორეა, რესპუბლიკა	KR	ვონი	KRW	410
408	კორეა, სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა	KP	ჩრდილო-კორეული ვონი	KPW	408
188	კოსტა-რიკა	CR	კოსტარიკული კოლონი	CRC	188



384	კოტ-დივუარი	CI	ფრანგი CFA BCEAO	XOF	952
192	კუბა	CU	კუბური პესო	CUP	192
184	კუკის კუნძულები	CK	ახალზელანდიური დოლარი	NZD	554
833	კუნძული მენი	IM	გირვანქა სტერლინგი	GBP	826
418	ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა	LA	კიპი	LAK	418
428	ლატვია	LV	ლატვიური ლატი	LVL	428
426	ლესოთო	LS	ლოტი	LSL	426
			რენდი	ZAR	710
422	ლიბანი	LB	ლიბანური ფუნტი	LBP	422
430	ლიბერია	LR	ლიბერიული დოლარი	LRD	430
434	ლიბია	LY	ლიბიური დინარი	LYD	434
440	ლიტვა	LT	ლიტვური ლიტი	LTL	440
438	ლიხტენშტაინი	LI	შვეიცარიული ფრანკი	CHF	756
442	ლუქსემბურგი	LU	ევრო	EUR	978
450	მადაგასკარი	MG	მალაგასიური ფრანკი	MGF	450
480	მავრიკი	MU	მავრიკიული რუპი	MUR	480
478	მავრიტანია	MR	უგია	MRO	478
446	მაკაუ	MO	ჰატიკა	MOP	446
807	მაკედონია, იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა	MK	დინარი	MKD	807
454	მალავი	MW	კვაჩა	MWK	454
458	მალაიზია	MY	მალაიზიური რინგიტი	MYR	458
462	მალდივები	MV	რუფია	MVR	462
466	მალი	ML	ფრანკი CFA BCEAO	XOF	952
470	მალტა	MT	მალტური ლირა	MTL	470
504	მაროკო	MA	მაროკოული დირჰემი	MAD	504
474	მარტინიკა	MQ	ევრო	EUR	978



584	მარშალის კუნძულები	MH	აშშ დოლარი	USD	840
175	მეიოტი	YT	ევრო	EUR	978
484	მექსიკა	MX	მექსიკური პესო	MXN	484
104	მიანმარი	MM	კიატი	MMK	104
583	მიკრონეზია, ფედერალური შტატები	FM	აშშ დოლარი	USD	840
508	მოზამბიკი	MZ	მეტიკალი	MZM	508
498	მოლდოვა	MD	მოლდოვური ლეი	MDL	498
492	მონაკო	MC	ევრო	EUR	978
500	მონსერატი	MS	აღმოსავლეთკარიბული დოლარი	XCD	951
499	მონტენეგრო	ME	ევრო	EUR	978
496	მონღოლეთი	MN	ტუგრიკი	MNT	496
516	ნამიბია	NA	რენდი	ZAR	710
			ნამიბიური დოლარი	NAD	516
520	ნაურუ	NR	ავსტრალიური დოლარი	AUD	036
524	ნეპალი	NP	ნეპალის რუპი	NPR	524
562	ნიგერი	NE	ფრანკი CFA BCEAO	XOF	952
566	ნიგერია	NG	ნაირა	NGN	566
528	ნიდერლანდები	NL	ევრო	EUR	978
558	ნიკარაგუა	NI	კორდობა ორო	NIO	558
570	ნიუე	NU	ახალზელანდიური დოლარი	NZD	554
578	ნორვეგია	NO	ნორვეგიული კრონა	NOK	578
574	ნორვეგიის კუნძული	NF	ავსტრალიური დოლარი	AUD	036
512	ომანი	OM	ომანის რიალი	OMR	512
586	პაკისტანი	PK	პაკისტანური რუპია	PKR	586
585	პალაუ	PW	აშშ დოლარი	USD	840



275	პალესტინის სახელმწიფო	PS	ახალი ისრაელური შეკელი ეგვიპტური ფუნტი იორდანული დინარი აშშ დოლარი	ILS EGP JOD USD	376 818 400 840
591	პანამა	PA	აშშ დოლარი	USD	840
598	პაპუა-ახალიგვინეა	PG	კინა	PGK	598
600	პარაგვაი	PY	გვარანი	PYG	600
604	პერუ	PE	ახალი სოლი	PEN	604
612	პიტკერნი	PN	ახალზელანდიური დოლარი	NZD	554
616	პოლონეთი	PL	ზლობი	PLN	985
620	პორტუგალია	PT	ევრო	EUR	978
630	პუერტო-რიკო	PR	აშშ დოლარი	USD	840
638	რეიუნიონი	RE	ევრო	EUR	978
646	რუანდა	RW	რუანდის ფრანკი	RWF	646
642	რუმინეთი	RO	ლეი	ROL	642
643	რუსეთის ფედერაცია	RU	რუსული რუბლი	RUB	643
300	საბერძნეთი	GR	ევრო	EUR	978
222	სალვადორი	SV	სალვადორული კოლონი	SVC	222
			აშშ დოლარი	USD	840
882	სამოა	WS	ტალა	WST	882
710	სამხრეთი აფრიკა	ZA	რენდი	ZAR	710
728	სამხრეთი სუდანი	SS	სამხრეთ სუდანური ფუნტი	SSP	728
239	სამხრეთი ჯორჯია და სამხრეთი სენდვიჩის კუნძულები	GS	გირვანქა სტერლინგი	GBP	826
674	სან-მარინო	SM	ევრო	EUR	978
678	საუ-ტომე და პრინსიპი	ST	დობრა	STD	678
682	საუდების არაბეთი	SA	საუდური რიალი	SAR	682
250	საფრანგეთი	FR	ევრო	EUR	978



254	საფრანგეთის გვიანა	GF	ევრო	EUR	978
260	საფრანგეთის სამხრეთი ტერიტორიები	TF	ევრო	EUR	978
258	საფრანგეთის პოლინეზია	PF	ფრანკი CFP	XPF	953
268	საქართველო	GE	ლარი	GEL	981
690	სეიშელები	SC	სეიშელის რუპი	SCR	690
652	სენ-ბართელემი	BL	ევრო	EUR	978
686	სენეგალი	SN	ფრანკი CFA BCEAO	XOF	952
663	სენ-მარტინი (საფრანგეთის ნაწილი)	MF	ევრო	EUR	978
670	სენტ-ვინსენტი და გრენადინები	VC	აღმოსავლეთკარიბული დოლარი	XCD	951
659	სენტ-კიტსი და ნევისი	KN	აღმოსავლეთ კარიბული დოლარი	XCD	951
662	სენტ-ლუსია	LC	აღმოსავლეთ კარიბული დოლარი	XCD	951
666	სენ-პიერი დამიკელონი	PM	ევრო	EUR	978
688	სერბეთი	RS	სერბიული დინარი	CSD	891
748	სვაზილენდი	SZ	ლილანგენი	SZL	748
744	სვალბარდი და იან- მაიენი	SJ	ნორვეგიული კრონა	NOK	578
694	სიერა-ლეონე	SL	ლეონე	SLL	694
702	სინგაპური	SG	სინგაპურის დოლარი	SGD	702
534	სინტ-მაარტენი (ნიდერლანდის ნაწილი)	SX	ევრო	EUR	978
760	სირიის არაბთა რესპუბლიკა	SY	სირიული ფუნტი	SYP	760
703	სლოვაკეთი	SK	სლოვაკური კრონა	SKK	703
705	სლოვენია	SL	ტოლარი	SIT	705
090	სოლომონის	SB	სოლომონის	SBD	090



	კუნძულები		კუნძულების დოლარი		
706	სომალი	SO	სომალიური შილინგი	SOS	706
051	სომხეთი	AM	სომხური დრამი	AMD	051
729	სუდანი	SD	სუდანური დინარი	SDD	736
740	სურინამი	SR	სურინამული გულდენი	SRG	740
158	ტაივანი, ჩინეთის პროვინცია	TW	ახალი ტაივანური დოლარი	TWD	901
764	ტაილანდი	TH	ბატი	THB	764
834	ტანზანია, გაერთიანებული რესპუბლიკა	TZ	ტანზანიური შილინგი	TZS	834
762	ტაჯიკეთი	TJ	სომონი	TJS	972
626	ტიმორ-ლესტე	TL	აშშ დოლარი	USD	840
768	ტოგო	TG	ფრანკი CFA BCEAO	XOF	952
772	ტოკელაუ	TK	ახალზელანდიური დოლარი	NZD	554
776	ტონგა	TO	პაანგა	TOP	776
780	ტრინიდადი და ტობაგო	TT	ტრინიდად-ტობაგოს დოლარი	TTD	780
798	ტუვალუ	TV	ავსტრალიური დოლარი	AUD	036
788	ტუნისი	TN	ტუნისური დინარი	TND	788
800	უგანდა	UG	უგანდური შილინგი	UGX	800
860	უზბეკეთი	UZ	უზბეკური სუმი	UZS	860
804	უკრაინა	UA	გრივნა	UAH	980
348	უნგრეთი	HU	ფორინტი	HUF	348
876	უოლისი და ფუტუნა	WF	ფრანკი ₣	XPF	953
858	ურუგვაი	UY	ურუგვაის პესო	UYP	858
234	ფარერის კუნძულები	FO	დანიური კრონა	DKK	208
608	ფილიპინები	PH	ფილიპინური პესო	PHP	608
246	ფინეთი	FI	ევრო	EUR	978
242	ფიჯი	FJ	ფიჯის დოლარი	FJD	242



238	ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულები	FK	ფოლკლენდის კუნძულების ფუნტი	FKP	238
166	ქარენსის (ვილინგის) კუნძულები	CC	ავსტრალიური დოლარი	AUD	036
414	ქუვეითი	KW	ქუვეითური დინარი	KWD	414
398	ყაზახეთი	KZ	ტენგე	KZT	398
634	ყატარი	QA	ყატარის რიალი	QAR	634
417	ყირგიზეთი	KG	სომი	KGS	417
581	შეერთებული შტატების შორსმდებარე მცირე კუნძულები	UM	აშშ დოლარი	USD	840
756	შვეიცარია	CH	შვეიცარიული ფრანკი	CHF	756
752	შვედეთი	SE	შვედური კრონა	SEK	752
162	შობის კუნძული	CX	ავსტრალიური დოლარი	AUD	036
144	შრი-ლანკა	LK	შრილანკური රුපි	LKR	144
148	ჩადი	TD	ფრანკი CFA BEAC	XAF	950
203	ჩეხეთი	CZ	ჩეხური კორუნა	CZK	203
152	ჩილე	CL	ჩილეს პესო	CLP	152
156	ჩინეთი	CN	იუანრენმინბი	CNY	156
580	ჩრდილოეთ მარიანას კუნძულები	MP	აშშ დოლარი	USD	840
140	ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	CF	ფრანკი CFA BEAC	XAF	950
336	წმიდა საყდარი	VA	ევრო	EUR	978
654	წმინდა ელენე, ამაღლება და ტრისტან- სა-კუნია	SH	სენტელენის ფუნტი	SHP	654
191	ხორვატია	HR	კუნა	HRK	191
832	ჯერზი	JE	გირვანქა სტერლინგი	GBP	826
262	ჯიბუტი	DJ	ჯიბუტის ფრანკი	DJF	262
332	ჰაიტი	HT	აშშ დოლარი	USD	840



334	ჰერდის კუნძული და მაკონალდის კუნძულები	HM	ავსტრალიური დოლარი	AUD	036
340	ჰონდურასი	HN	ლემპირა	HNL	340
344	ჰონ-კონგი	HK	ჰონკონგური დოლარი	HKD	344

შენიშვნა:	ფრანკი C AC	ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოთა ბანკის ფულის ერთეული
	ფრანკი C BCE	დასავლეთი აფრიკის სახელმწიფოთა ბანკის ფულის ერთეული

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 15 სექტემბრის ბრძანება № 40053 - ვებგვერდი, 19.09.2014წ.

შემოსავლების სამსახურის უფროსის 2017 წლის 6 მარტის ბრძანება №5828 - ვებგვერდი, 13.03.2017წ.

#### ნაწილი 4. იმპორტის/ექსპორტის გადასახდელების სახეობების კლასიფიკატორი

კოდი	დასახელება
20	იმპორტის გადასახადი
27	აქციზი
28	დღგ

#### ნაწილი 5. გადასახდელების გაანგარიშების დამხმარე კოდების კლასიფიკატორი

კოდი	დასახელება
000	დამხმარე კოდი
001	ექსპორტი (იმპორტის გადასახადელებისგან გათავისუფლება)
002	რეექსპორტი (იმპორტის გადასახადისაგან, აქციზისაგან და დღგ-ისგან გათავისუფლება)
